

ადგილობრივი/რეგიონული ეკონომიკური განვითარების ქსელი როგორც
კონკურენტუნარიანობის ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში (LRED NET)

სომხეთის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეროვნული ცენტრი

პროექტის პარტნიორი საქართველოში: კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, CIESR

პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი საქართველოში: გიორგი ყუფარაძე, Mail: g.kuparadze@ciesr.org

აპრილი, 2015 წ.

„წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სომხეთის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეროვნული ცენტრს და მასში არანაირად არ აისახება ევროკავშირის ხედვა.“

CROSS BORDER COOPERATION

Project funded by the EUROPEAN UNION

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

ადგილობრივი/რეგიონული ეკონომიკური განვითარების ქსელი როგორც კონკურენტუნარიანობის ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში (LRED NET) კონკურენტუნარიანობის ამაღლება თანამონაწილეობის გზით (PACA) - გაერთიანებული გამოცემა

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

CROSS BORDER COOPERATION

Project funded by the
EUROPEAN UNION

საერთო საზღვრები.

საერთო გადაწყვეტილებები

ადგილობრივი/რეგიონული ეკონომიკური განვითარების ქსელი როგორც
კონკურენტუნარიანობის ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი შავი ზღვის
აუზის ქვეყნებში (LRED NET)
კონკურენტუნარიანობის ამაღლება თანამონაწილეობის გზით
(PACA) - გაერთიანებული გამოცემა

Common Borders, Common Solutions

თბილისი 2015

ადგილობრივი/რეგიონული ეკონომიკური განვითარების ქსელი როგორც კონკურენტუნარიანობის ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში (LRED NET)

სომხეთის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეროვნული ცენტრი

პროექტის პარტნიორი საქართველოში: კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, CIESR

პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი საქართველოში: **გიორგი ყუფარაძე,** g.kuparadze@ciesr.org

პროექტის ოფიცრები: **ნათია დაღელიშვილი**
მიხეილ ძაგანია

"წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სომხეთის მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეროვნული ცენტრს და მასში არანაირად არ აისახება ევროკავშირის ხედვა."

თარგმანი ინლისურიდან: "დელტა დეველოპმენტ გრუპი", LTD Delta Development Group, info@delta-group.ge

"Local/Regional Economic Development Network as decisive leverage point for enhanced competitiveness in the Black Sea Basin regions" (LRED NET)

Small and Medium Entrepreneurship Development National Center of Armenia

Project partner in Georgia: Caucasian Institute for Economic and Social Research, CIESR

Project Coordinator in Georgia: **Giorgi Kuparadze,** g.kuparadze@ciesr.org

Project Officers: **Natia Daghelishvili,**
Michael Dzagania

"This publication has been produced with the assistance of the European Union. The content of this publication are the sole responsibility of Small and Medium Entrepreneurship Development National Center of Armenia and can in no way reflect the views of the European Union"

Translation from English: LTD Delta Development Group, info@delta-group.ge

შინაარსი

სომხეთი 4

PACA ნორატუსის, სარუხანის და ნოემბერიანის თემებში.....5

საბერძნეთი..... 18

PACA ლიტოჩოროს, დიონის და პეტრა-პიერიას თემებში, პიერიას რეგიონალურ ერთეულში 19

მოლდოვა..... 38

PACA კიშკარენის, სიპკას და დომულგენის თემებში.....39

საქართველო..... 69

PACA მარტვილის, სამტრედიის და დმანისის თემებში.....70

ბულგარეთი 101

PACA ობშტინა დობრიჩკას, დოლნი ჩიფლიკის და სატარო ორიაჰოვოს თემებში 102

სომხეთი

სომხეთის რესპუბლიკა მთიანი ქვეყანაა ევრაზიაში, სამხრეთ კავკასიის რეგიონში. მდებარეობს დასავლეთ აზიის ჩრდილოეთში, მას ესაზღვრება თურქეთი დასავლეთიდან, საქართველო ჩრდილოეთიდან, აზერბაიჯანი აღმოსავლეთიდან და ირანი სამხრეთიდან. სომხეთის რესპუბლიკა, რომლის ფართობია 29 743 კვ. კილომეტრი (11 844 კვ. მილი) მდებარეობს სომხეთის მთიანეთის ჩრდილო-დასავლეთში. რელიეფი ძირითადად მთაგორიანია, სწრაფი მდინარეებით და მცირე რაოდენობის ტყეებით. ჰავა მთის კონტინენტურია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში იცის ცხელი ზაფხული და ცივი ზამთარი. რელიეფის სიმაღლე ზღვის დონიდან 4 090 მეტრს აღწევს (13 419 ფუტი) არაგაწის მთის შემთხვევაში, და არც ერთი წერტილი არ არის ზღვის დონიდან 390 მ-ზე (1 280 ფუტი) ქვემოთ.

PACA ნორატუსის, სარუხანის და ნოემბერიანის თემებში

ნორატუსის თემი

სოფელი ნორატუსი დაარსებულია 1829 წელს, თუმცა ბრინჯაოს და რკინის ხანის, ისევე როგორც შუა საუკუნეების ეპოქის დროინდელი აღმოჩენილი ნივთები მიუთითებს იმაზე, რომ დასახლება ძველ დროშიც არსებობდა. ლეგენდის თანახმად, ამჟამინდელ სოფელს სახელი დაერქვა გეღამ ნაჰაპეტის (მეფე გეღამის) მიერ აშენებული ციხე-ქალაქის მიხედვით, რომელსაც მან ნორატუნსი უწოდა, რაც ნიშნავს „ახალ სახლს“. ეს ადგილი სამეფო დინასტიის რეზიდენცია და ადმინისტრატიული ცენტრი იყო.

ნორატუსის თემი მდებარეობს გეღარქუნიქის რეგიონში, მდინარე გავარაგეტის მარჯვენა ნაპირზე, ზღვის დონიდან 1934 მეტრის სიმაღლეზე. ის 5 კმ-ით არის დაშორებული ქალაქ გავარიდან. ნორატუსი ცნობილია ქვაჯვარების (ხაჩკარების) დიდი რაოდენობით, რომლებიც ღია ცის ქვეშ უნიკალურ მუზეუმს ჰქმნიან. ეს არის ქვაჯვარების ხელოვნების იშვიათი კოლექცია. ლეგენდის თანახმად, თათარ-მონღოლთა რეგულარული შემოსევების დროს, ასობით ქვაჯვარი მეომრის სამოსით იყო შემოსილი და მტერი უკან იხევდა, როცა ხედავდა ამ „უზარმაზარ არმიას“. ჩვენს დროშიც სოფლის მცხოვრებთა პატივისცემა ხაჩკარების მიმართ დიდია. ისინი მათთვის ფასდაუდებელია. „ჩვენი წინაპრები ამ სასაფლაოზე არიან დაკრძალული, იმ უძველესი დროიდან მოყოლებული ისინი აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ. აქედან მოდის ჩვენი ოჯახების დასაბამი და ქვაჯვარების დაცვა თითოეული ჩვენი თანასოფლელისთვის ღირსების საქმეა“, - აცხადებენ ნორატუსის მკვიდრნი.

სოფლის მცხოვრებნი სხვადასხვა გზით ირჩენენ თავს: უმეტესობა მეთევზეა, მათ შორის ბევრი ჩართულია თევზის დაფასოებაში და ექსპორტში, ზოგიერთი კი - თევზის დამუშავებაში. რამდენიმე ადამიანმა საქონლის სანაშენე მეურნეობები დააფუძნა, ხოლო იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებშია დასაქმებული, ძალზე მცირეა. დანარჩენები საზღვარგარეთ არიან წასული საშოვარზე.

სარუხანის თემი

გეღარქუნიაწის ქედის თვალწარმტაცი მთებით გარშემორტყმული, ეს თემი მთელს ქვეყანაში ცნობილია მიწის ნაყოფიერებით და აქ მოყვანილი კარტოფილის მაღალი ხარისხით და გემოთი. სარუხანის მოსახლეობის ნაწილი ჩართულია სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში ან მომსახურებაში. დანარჩენები საზღვარგარეთ არიან წასული, პირველ რიგში, რუსეთის ფედერაციაში, სეზონურ სამუშაოებზე. არის რამდენიმე ადამიანი ადგილობრივი თემიდან, რომლებიც რუსეთში ცხოვრობენ და საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან თემში. ისინი თემის მოსახლეობას საზღვარგარეთ სეზონური სამუშაოთიც უზრუნველყოფენ.

თემი დაარსებულია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1-ელ ათასწლეულში, ციკლოპური ციტადელის სამხრეთ ნაწილში, რომელსაც ეწოდება წაღკავანქის ბორცვი. ეს იყო წმაქის რეგიონის ცენტრი შუა საუკუნეებში. ამჟამად სარუხანის თემი სოფელია გავარის რეგიონში. მანძილი სარუხანიდან ქალაქ გავარამდე 7 კმ-ია. თემი სამხრეთისკენ არის განფენილი. ის მდებარეობს მდინარე კუკუძორის ნაპირას, რომელიც მდინარე გავარაგეტის შენაკადია.

სოფელი მთლიანად დაინგრა 1732-1733 წლებში ლეკების შემოსევის დროს. ის ხელახლა აშენდა 1830 წელს დასავლეთ სომხეთის ბაიაზეთის პროვინციიდან დევნილების შთამომავლების მიერ. სარუხანს სახელი შეეცვალა 1928 წელს გმირის, ოვანეს სარუხანიანის საპატივსაცემოდ. ის ერთ-ერთი უდიდესი სოფელია სომხეთში.

საოჯახო მეურნეობები ამ თემში შემდეგ სამ ძირითად სექტორში საქმიანობენ:

- კარტოფილის მოყვანა,
- მეფუტკრეობა,
- ვაჭრობა.

ნოემბერიანის თემი

ნოემბერიანის თემი მდებარეობს ტავუშის რეგიონის ჩრდილოეთში, ზღვის დონიდან 800-900 მეტრის სიმაღლეზე, ვოსკეპარის ქედის დაბალ ნაწილში, მდინარე კოღბის მარჯვენა ტოტის ხეობაში. ნოემბერიანი 22 კმ-ით სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს აირუმის სარკინიგზო სადგურიდან, სომხეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორის გზატკეცილზე.

ქალაქ ნოემბერიანიდან ერევნამდე მანძილი 185 კმ-ია, ხოლო თბილისამდე - 98 კმ. ქალაქის მოსახლეობა 5560 ადამიანს შეადგენს.

ნოემბერიანი მდებარეობს ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ზონაში და მთის ტყიანი ზონის ტიპიური მახასიათებლები აქვს, ანუ ზომიერად ცივი და ტენიანი ზამთარი, თბილი და ცხელი, შედარებით ნოტიო ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურაა 10.4°C. მზის ნათების წლიური ხანგრძლივობაა დაახლოებით 2100 საათი. გაზაფხული მოკლეა და წვიმიანი; ზაფხული გრძელია და შედარებით გრილი; ირგვლივ არსებული ტყეები მუდმივად აწვდიან სუფთა ჰაერს ქალაქს. შემოდგომა ასევე გრძელია და რბილი. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 541 მმ-ია.

ნოემბერიანის თემის ტერიტორია ძირითადად გარშემორტყმულია ტყეებით. ტყეების ნაპირი ქალაქიდან 500-600 მეტრის დაშორებითაა.

ქალაქში არის ერთი სასტუმრო, საზკვების ობიექტი და მომსახურების სხვა სახეები, რომლებიც ტიპიურია ქალაქის ტიპის დასახლებისთვის, ანუ ელექტრობა, გაზი (თითქმის 100%-იანი დაფარვა) და ინტერნეტი. სასმელი წყლის ქსელის პრობლემა ქალაქში გადაწყდა 2014 წელს.

თემების კონკურენტული უპირატესობები

ნორატუსი

თემის კონკურენტული უპირატესობები ჩამოთვლილია ქვემოთ.

- კულტურულ-ისტორიული ძეგლები.

ნორატუსის სასაფლაო: ნორატუსი ცნობილია თავისი სასაფლაოთი, რომლის უძველეს ნაწილში დაახლოებით 800 ქვაჯვარი მდებარეობს, დამზადებული მე-9-მე-17 საუკუნეებში.

ხაჩკარები სხვადასხვა სახისაა, რაც დამოკიდებულია მათი დამზადების ხელოვნების განვითარებაზე. გამოიყოფა ქვაჯვარების ხელოვნების განვითარების სამი ძირითადი პერიოდი: მე-9-მე-10 საუკუნეები, მე-11-მე-12 საუკუნეები და მე-13-მე-16 საუკუნეები.

ნორატუსის სასაფლაო მეორეა სიდიდით ნახჭევანში მდებარე ჯულფის (ჯუღის) ისტორიული სასაფლაოს შემდეგ, სადაც დაახლოებით 2500 ხაჩკარი შეგნებულად განადგურდა აზერბაიჯანის მიერ 1998-2005 წლებში. ჯულფას სასაფლაოს დანგრევის შემდეგ, ნორატუსის სასაფლაო ქვაჯვარების უდიდესი კომპლექსია მსოფლიოში.

წმ. ასტვაწაწინის ეკლესია (ნახევრად დანგრეული). ის სოფლის ცენტრში მდებარეობს და აგებულია მე-9 საუკუნის ბოლოს, მეფე საჰაკ გეღარქუნიქის მიერ. ეკლესიის გუმბათოვანი დარბაზი მთლიანად აგებულია დიდი თლილი ქვებით; ეზოში რამდენიმე ქვაჯვარი და საფლავის ქვაა. უძველესი წარწერა (თარიღდება 996 წლით) ამოტვიფრულია ერთ-ერთ ქვაჯვარზე, რომელიც ამჟამად გამოფენილია სომხეთის ისტორიის მუზეუმში.

წმ. გრიგოლის ანუ დოპუწის მონასტერი. ის მდებარეობს სოფლის სამხრეთ განაპირას. თუმცა ის ოფიციალურად მე-13 საუკუნით თარიღდება, წარწერები და არქიტექტურა მოწმობს, რომ შენობა აგებულია მე-10 საუკუნემდე. მონასტრის დასავლეთ კედელზე არის ძველი, კარგად შენახული წარწერა, გაკეთებული ფეოდალ ჰერაკლე ჰავნუნის მიერ. კათოლიკოს სიმეონ ერევანცის თანახმად, ძველად მას ერქვა დოპუწის (დაპუნწი, დაჰირა) მონასტერი და ქალთა მონასტერი იყო.

სოფელში უძველესი ქვაჯვარი ეძღვნება ხიდის აშენებას და თარიღდება 1211 წლით. არის ასევე ქვაჯვარების ჯგუფი საფლავის ქვებთან ერთად, წმ. ასტვაწაწინის ეკლესიის აღმოსავლეთით. სავარაუდოდ, ეს იყო ჯულფის ერთ-ერთი ოჯახის სასაფლაო; ერთ-ერთი ქვაჯვარი თარიღდება 1553 წლით.

სამრეკლო. ის მდებარეობს სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, 2 კმ-ის სიმაღლეზე. ის აგგებულია თლილი ქვებით. შემონახულია სამრეკლოს მხოლოდ ქვედა ნაწილები. დასავლეთის კედელი აგებულია ქვაჯვარებით და ეზოს გარშემო კელიების ნანგრევებია. უძველესი წარწერა 1560 წელს მიეკუთვნება, მაგრამ შენობის ძველი ნაწილი მე-13 საუკუნეშია აგებული.

- სევან-მარტუნი-გეტაპის გზატკეცილი გადის თემის ახლოს, რაც ქმნის წარმოებული საქონლის გაყიდვის შესაძლებლობას.

სოფლის მცხოვრებნი ძირითადად დაკავებული არიან მეთევზეობით. მეთევზეები ჩვეულებრივ მანქანებით დგანან გზატკეცილის გასწვრივ და დაჭერილ თევზს ჰყიდიან შუადღემდე. მათ გარდა არის რამდენიმე გადამყიდველი, რომელიც კომფორტულ პირობებს ქმნის ვაჭრობისთვის, როგორებიცაა ქვის შენობები, მაცივრები და ა.შ. ისინი ადრე დილით ყიდულობენ ახალ თევზს მეთევზეებისგან და შემდეგ ჰყიდიან მას კონკურენტულ ფასებში.

- მდებარეობა სევანის ტბის პირას, ისევე როგორც დიდი მნიშვნელობის ისტორიული და კულტურული ძეგლები ქმნიან კარგ პირობებს ტურისტული და სარესტორნო ბიზნესებისთვის.
- ზაფხულის მზიანი დღეების დიდი რაოდენობა საშუალებას აძლევს მოსახლეობას მოაშენონ მზის მოყვარული მცენარეები სასოფლო-სამეურნეო

სავარგულებზე. ამჟამად, გარდა ტრადიციული ნათესებისა, მოჰყავთ ბარდა, სელი, სიმინდი და სხვა კულტურები.

სარეხანი

- გავარ-გეღარქუნიქის გზა გადის ამ თემზე და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვაჭრობის განვითარებაში.
- ეს არის ქვერეგიონის უდიდესი თემი, მცხოვრებთა დიდი რაოდენობა დაკავებულია ვაჭრობის და მომსახურების სფეროში.
- კარტოფილის მოყვანა ძალზე ეფექტიანია თემისთვის. სახნავი მიწები ერთობ გამოსადეგია კარტოფილისთვის და უზრუნველყოფენ მაღალ მოსავლიანობას.
- თემში არსებობს კომფორტული საქორწინო დარბაზები, რომლებიც ემსახურება აგრეთვე ახლომდებარე თემებს.
- ბუნებრივი წყაროების დიდი რაოდენობა ხელს უწყობს მეთევზეობის განვითარებას თემში.
- თემს გააჩნია განვითარებული მეფუტკრეობის სექტორი, სპეციალისტების და ალპური მდელოების არსებობის წყალობით.
- თემის ფინანსური რესურსების დიდი ნაწილი საზღვარგარეთიდან მოდის.

ნოემბერიანი

- კენკრით და ხილით მდიდარი ტყის რესურსები (ტყიანი ფართობი დაახლოებით 24 ათასი ჰექტარია),
- ვერტიკალური ზონალობის მრავალფეროვნება,
- ფელზიტის, ბაზალტის და ცეოლიტის მარაგები,
- სუფთა გარემო და ბუნება,
- რბილი და თბილი კლიმატი,
- მზიანი დღეების რაოდენობა (მზის ნათების 2100 საათი),
- სატრანსპორტო კვანძი (ერევან-თბილისის რკინიგზა, ერევან-ალავერდი-თბილისის და ერევან-იჯევან-თბილისის გზატკეცილები),
- ხის დამუშავება,
- ტრადიციული რეწვის ოსტატები,
- მებაღეები,
- ყველის დამამზადებლები,
- მეფუტკრეები,
- მხატვრები,
- თანამშრომლობის გარემო თემში,
- სამოქალაქო ჩართულობა,
- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ეროვნული ცენტრის (SME DNC) და CARD-ის მიერ დაფუძნებული ცენტრი,
- სახლში დამზადებული ღვინის და არყის ტრადიციული ტექნოლოგიები,
- სახლში დამზადებული ხილის კონსერვების ტრადიციული ტექნოლოგიები.

თემების ეკონომიკების მიმოხილვა

ნორატუსი

სოფლის მეურნეობა

თითოეულ ოჯახს ნორატუსში აქვს საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთი, რომლის ფართობი მერყეობს 300-დან 1500 კვ. მ.-მდე. საკარმიდამო ნაკვეთები ძირითადად მტვრიანი ნიადაგებია. მოსახლეობის უმეტესობა ამუშავებს მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთებს და მოჰყავს კარტოფილი, კომბოსტო, სტაფილო, ჭარხალი და სხვა ბოსტნეული.

საბჭოთა პერიოდში თემის სახნავი მიწები მთლიანად იყო დამუშავებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიწის დიდი მასივები დაიყო ძალზე პატარა ნაკვეთებად და განაწილდა სოფლის მცხოვრებთა შორის, ოჯახის სულადობის მიხედვით. თავდაპირველად, მეზობელი ნაკვეთების მესაკუთრეები თავიანთ ნაკვეთებს ერთობლივად ხნავდნენ და ამუშავებდნენ. ისინი იკრიბებოდნენ ნათესავებთან და მეზობლებთან ერთად - ერთს ტრაქტორი ჰქონდა, მეორეს კომბაინი, მესამე ფიზიკური ძალით ეხმარებოდა, ასე რომ, ერთად შრომობდნენ. მოგვიანებით, ცუდი ორგანიზაციის შედეგად, ჯგუფებში უთანხმოებები წარმოიშვა, კოოპერატიული ფერმები დაიშალა და ყველამ საკუთარი მიწის დამუშავება დაიწყო.

მცირე ნაკვეთის დამუშავება არ იყო მომგებიანი: ტრაქტორის მძღოლი მცირე ნაკვეთს უფრო მაღალ ფასადხნავდა და თესავდა, ვიდრე დიდ ნაკვეთებს. მთელი სახნავი მიწა თანდათან დაუმუშავებელი ხდებოდა. სოფლის მცხოვრებნი სხვა გზებს ირჩევდნენ თავის სარჩენად, როგორებიცაა მეთევზეობა, საზღვარგარეთ მუშაობა, საქონლის მოშენება, კიბორჩხალების შენახვა და გადაყიდვა და ა.შ.

წლიდან წლამდე საწვავის და მომსახურების ფასები იზრდებოდა; სასუქები არ გამოიყენებოდა მიწის დამუშავების დროს. ნაკვეთები ითესებოდა და ბედის ანაბარა იყო მიტოვებული: თუ წელი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით გამოირჩეოდა, მოსავალს იღებდნენ, თუ არა, ხალხი გულაცრუებული იყო, თავს ანებებდა მიწაზე მუშაობას და უცხოეთში მიდიოდა. ასე რომ, მიწა აღარ კვებავდა ადამიანებს.

ათი წლის განმავლობაში სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობას არ დაუმუშავებია თავისი მიწა. წინათ, მიწები იმის მიუხედავად მუშავდებოდა, იყო თუ არა ეს მომგებიანი, რადგან უფროსები აიძულებდნენ თავიანთ შვილებს ამის გაკეთებას - მიწის არდამუშავება სირცხვილად ითვლებოდა. თემის კუთვნილის სახნავი მიწის 70% საძოვრად გადაიქცა.

სოფლის ყველა მცხოვრებს ესმის მიწის დამუშავების აუცილებლობა (მარცვეული, მრავალწლიანი კულტურები, მზის მოყვარული მცენარეები). სოფელს გააჩნია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის საკმარისი რაოდენობა. მთავარი პრობლემაა მიწის დანაწევრება. ხარისხიანი თესლის შეძენა ასევე პრობლემაა; ეს დამოკიდებულია მომწოდებლების შესახებ საჭირო ინფორმაციის ნაკლებობაზე, ისევე როგორც ფინანსების სიმცირეზე.

თემის სახნავი მიწები უწყლოა. მოყვანილი ნათესები არ ირწყვება, ფერმერები მხოლოდ ხელსაყრელი ამინდის იმედზე არიან, და მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნებათ მათ შემოსავალი მიწის დამუშავებისგან. თუმცა, ამინდი ხშირად ჭირვეულობს და ბევრი ადამიანი გულაცრუებული თავს ანებებს მიწის დამუშავებას.

ძირითადი მარცვლეული, რომელიც ნორატუსში მოჰყავთ, არის ხორბალი და ქერი. ამის გარდა ესპარცეტს, იონჯას და ერთწლიან კულტურებს თესავენ.

დათესილი კულტურებიდან მხოლოდ ხორბალი გამოიყენება საკვებად, პურის ცხობის პროცესში. მარცვლეულს აშრობენ, სორტირებას უკეთებენ და წისქვილში მიაქვთ. აქ სამი სახის ფქვილს და ქატოს იღებენ. ფერმერები ფქვილს საკუთარი პურის საწარმოებლად იყენებენ, ხოლო ქატოს - პირუტყვის საკვებად.

ზღვის პროდუქტები, მეთევზეობა და ვაჭრობა

ნოტარუსი საუკუნეების განმავლობაში ჩართული იყო მეთევზეობაში, იმის გამო, რომ სევანის ტბის ნაპირას მდებარეობს. ტბა წარმოადგენდა შემოსავლის ძირითად წყაროს თემის მოსახლეობისთვის. ადამიანები მრავალი წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას ახალგაზრდებს გადასცემდნენ. ამჟამად სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 90% ჩართულია ამ სფეროში.

სევანის ტბაში ბინადრობენ ორაგულისებრთა, სიგისებრთა და კობრისებრთა ოჯახის თევზები. სევანის კალმახი (Salmo ischchan Kessler) ტბის ენდემური სახეობაა 4 ფორმით: ზამთრის ბახტაკი, ზაფხულის ბახტაკი, გეღარქუნი და ბოჯაქი. ჩვეულებრივი სიგი ტბაში შეყვანილი იყო 1920-1930 წლებში. იმისთვის, რომ გაზრდილიყო სარეწი სახეობების რაოდენობა, ლადოგის და ჩუდსკოეს ტბებიდან ჩვეულებრივი სიგი იქნა შემოყვანილი, რომელმაც ტბაში დაფუძნების შემდეგ ჩვეულებრივი სიგის ჰიბრიდული სახეობა შექმნა.

ტბის დონის ხელოვნური დაწევის შედეგად, კალმახის ბინადრობის ბიოლოგიური პირობები უკიდირესად გაუარესდა. ყოველ წელს, დაწყებული 1990-იანი წლებიდან, მცირდება მოზრდილი თევზების რაოდენობა, რომლებიც შედიან მდინარეებში ქვირითობის ადგილებში, რამაც გამოიწვია ახალგაზრდა თევზის რაოდენობის შემცირება 100-ჯერ და მეტად. ამჟამად კალმახს არ შეუძლია ბუნებრივად გამრავლება. ოთხიდან ორი ფორმა თითქმის მთლიანად გაქრა, ხოლო გეღარქუნი და ზაფხულის კალმახი იშვიათად გვხდებიან. 1960-იანი წლებიდან სევანის ტბაში ასევე გვხვდება კიბორჩხალა. ის შეყვანილი იყო ტბაში და მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებამდე არ არსებობდა ტბაში, ასე რომ ის არ განიხილება ტბის ენდემურ სახეობად. კიბორჩხალა მხოლოდ მცირე ხნის წინ გამრავლდა ამ ბუნებაში.

სომხეთის ზღვის პროდუქტების ექსპორტი ძირითადად რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში და საქართველოში ხორციელდება, სხვა ბაზრების მკაცრი სტანდარტების გამო საკვების უსაფრთხოების და ხარისხის მიმართ (ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა). თუმცა, კიბორჩხალის მცირე რაოდენობა იგზავნება ბელგიაში, საფრანგეთში და გერმანიაში.

ნორატუსში გზისპირა ვაჭრობა ზღვის პროდუქტებით ყოველთვის განვითარებული იყო, მისი მდებარეობის გამო სევანის ტბის ნაპირას, სევან-მარტუნი-გავარის გზის ახლოს.

არსებობდა ზღვის პროდუქტების გზისპირა ბაზარი, სადაც სოფლის მეთევზეები ჰყიდდნენ მათ მიერ დაჭერილ თევზს. ბაზარი დაიკეტა თევზის შემცირებული მარაგების გამო, მაგრამ დღემდე არის რამდენიმე გადამყიდველი გზისპირა მიდამოებში, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა სახის თევზი. ისინი ძირითადად ყიდიან ზუთხს, კალმახს, კობრს, სიგს და კიბორჩხალებს.

თევზის მოშენების ადგილობრივი მრეწველობა სწრაფად ვითარდება. კიბორჩხალა, სიგი და კობრი მოეწოდება ნორატუსის და სხვა ტბისპირა თემების მეთევზეების მიერ, ხოლო კალმახი და ზუთხი - სევანის ტბიდან, ვარდენისის ხელოვნური ტბებიდან და თევზსაშენებიდან, რომლებიც არარატის ხეობაში ფუნქციონირებენ. როდესაც სიგი არ არის ხელმისაწვდომი სევანიდან, ის მიეწოდება ჯერმუკიდან.

საქონლის მოშენება

თუმცა საქონლის მოშენება სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, ის არ არის განვითარებული ნორატუსში. საქონლის მოშენება არ არის ფართოდ გავრცელებული სოფლის მოსახლეობაში. საოჯახო მეურნეობების დიდ რაოდენობას საერთოდ არ ჰყავთ ძროხები, სხვებს 1-2 ძროხა ჰყავთ, თუმცა არის რამდენიმე მსხვილი ფერმერი თემში, რომლებიც ჩართული არიან ექსტენსიურ და ინტენსიურ მესაქონლეობაში. ნოტარუსში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის 1940 სულია.

ქვემოთ მოცემულია საქონლის განაწილება ფერმის სიდიდის მიხედვით.

ფერმერები (მსხვილფეხა საქონლის მოშენება)	რაოდენობა/ადამიანი
დიდი (25 და მეტი სული)	**10**
საშუალო (10-25 სული)	**45**
მცირე (10 სულამდე)	**540**

ფერმერები, რომლებსაც 10 და მეტი სული პირუტყვი ჰყავთ, მათ ინახავენ შორს მდებარე ადგილებში, სადაც წყალი და ელექტრობა ხელმისაწვდომია. ფერმერებმა გააუმჯობესეს პირობები საქონლის სადგომებში და შეიძინეს გარკვეული მოწყობილობები ფიზიკური სამუშაოს შესამცირებლად. ბევრ მსხვილ ფერმერს საკუთარი აგრო-მექანიზმები აქვს. ფერმებში, სადაც 10-ზე ნაკლები სულია, პირუტყვი საძროხეებში არის მოთავსებული. გაზაფხულის შუა პერიოდიდან შემოდგომის შუამდე ძროხები საძოვრებზე იკვებებიან და პირიქით.

ძირითადი სახეობაა კავკასიური წაბლა ძროხა, რომელიც საშუალოდ 1 600 ლიტრს იძლევა წელიწადში. საბჭოთა პერიოდის დროს კავკასიურ წაბლა ძროხებს საშუალოდ 2800-3000 ლიტრის პროდუქტიულობა ჰქონდათ. რძის პროდუქტიულობის მკვეთრი დაცემა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მოხდა, რადგან ძროხები მხოლოდ ბალახით იკვებებოდნენ, რაც არ იყო საკმარისი ზემოთ ნახსენები რაოდენობის რძის მისაღებად. გარდა ბალახისა, ძროხას სჭირდება დამატებითი კვება, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის საკვებ ერთეულს მაღალპროდუქტიული წველისთვის.

რეკომენდაციები და ინიციატივები

1. ხელმისაწვდომი მიწის ეფექტური გამოყენება.
2. დახმარება მარცვლეულის და მზის მოყვარული მცენარეების ხარისხიანი თესლეულის შეძენაში.
3. სარწყავი სისტემის აგება, რომ სახნავი მიწა მოირწყას.
4. სამაცივრო კომპანიების გაფართოება, საფინანსო და ტექნოლოგიური დახმარება ახალი მაცივრების დაყენებაში.
5. ტბორების გაფართოება ან აშენება, დახმარება მშენებლობაში.
6. ახალი ბაზრების იდენტიფიკაცია, ექსპორტის დივერსიფიკაცია, დახმარება ზღვის პროდუქტების ექსპორტში.
7. საექსპორტო კომპანიების რეფორმირება, დახმარება ახალი მოწყობილობების შეძენაში და ლოგისტიკური ქსელის და მიმართულებების გაუმჯობესება.
8. დახმარება შემფუთავი და გადამამუშავებელი კომპანიებისთვის ახალ ტექნოლოგიებთან, ფინანსებთან წვდომაში და სხვა სფეროებში.
9. ტბის ფრთხილი გამოყენება, მეთევზეობის დაგეგმვა და ერთობლივი მონიტორინგი.
10. საქონლის სადგომების გაუმჯობესება, რომ შემცირდეს ფიზიკური შრომა.
11. ცოდნის გაზრდა და გამოცდილების გაზიარება დარგში.
12. საქონლის ახალი ჯიშების შეძენა.
13. თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.
14. საექსპორტო შესაძლებლობების ანალიზი.
15. კონტროლის სისტემების დაყენება.
16. კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება აგრარულ სფეროში.

სარუხანი

კარტოფილის მოყვანა

სარუხანში მოსახლეობის 99%-ს კარტოფილი მოჰყავს საკარმიდამო ნაკვეთებზე და 1%-ს - სათემო სახნავ მიწებზე. სახნავი მიწის 50 ჰა და საკარმიდამო ნაკვეთების 250 ჰა კარტოფილს აქვს დაკავებული. სოფლის მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის მონაცემების თანახმად, წლიდან წლამდე სულ უფრო ნაკლები ადამიანია დაკავებული კარტოფილის მოყვანით, მიგრაციის და საზღვარგარეთ სეზონურ სამუშაოზე წასვლის გამო.

კარტოფილის მოსავალი კონკურენტულია ქვეყანაში. ყოველწლიურად წარმოებული 30-60 ათ. ტონა კარტოფილით სარუხანის თემი ლიდერობს კარტოფილის მწარმოებელ ფერმებს შორის არარატის რეგიონში, რომელიც ამ დარგში წამყვანად ითვლება. ჯელლი, მილვა და ძირითადად გრანოლის ტიპის კარტოფილის თესლია გამოყენებული, რომელთა ფასი 200-250 სომხური დრამის ფარგლებშია.

სარუხანის მოსახლეობის უმრავლესობა მოსავლის 80%-ს ჰყიდის გადამყიდველებზე, რომლებიც სოფელში მოდიან და მიაქვთ მოსავალი სატვირთო მანქანებით. ზოგიერთი მოსახლე კარტოფილს ერევნის ბაზრებში ჰყიდის. თესლი იცვლება ან ივაჭრება სოფლის მოსახლეობას შორის. კარტოფილის დანარჩენი ნაწილი იცვლება ხილზე და ბოსტნეულზე, რომელიც თემში მოაქვთ.

მრავალი წლის განმავლობაში მიწები ნოყიერდებოდა მხოლოდ აზოტოვანი სასუქებით, რამაც გამოწვია ნიადაგის შემადგენლობის დარღვევა, ეს კი გავლენას ახდენს ნიადაგის ხარისხზე და კარტოფილის მოსავალზე. ადგილობრივი ნიადაგის შემადგენლობა მდიდარია, ასე რომ სასუქები დიდ გავლენას არ ახდენენ მოსავლიანობაზე და ხარისხი არ მცირდება.

სახნავი მიწები სარუხანში უწყლოა. უმეტესობა მათგან ირწყვება დამდნარი თოვლის საშუალებით, რომელიც ზაფხულობით მოედინება მთებიდან. დღემდე ამ წყლის გამოყენება კონტროლდებოდა ცალკეული პირების მიერ. ამჟამად საკითხი რეგულირდება მუნიციპალიტეტის მიერ და მოსახლეობას საშუალება აქვს მოახდინოს მათი მიწების ირიგაცია.

მეფუტკრეობა

მეფუტკრეობა განიხილება, როგორც ყველაზე მომგებიანი დარგი სარუხანის აგრარულ სფეროში. საბჭოთა დროიდან მოყოლებული, მოსახლეობამ გააცნობიერა, რომ დარგი მომგებიანია და ჩაერთო მეფუტკრეობაში.

საოჯახო მეურნეობების დაახლოებით 10% სარუხანის თემში მეფუტკრეა, და მათი ნაწილი ამას განიხილავს თავის ძირითად საქმიანობად. თემის მეფუტკრეები აღნიშნავენ - „საკმარისია რამე აგერიოს, ან არასწორად გააკეთო, ან არასწორ დროს, და ყველაფერი იკარგება“. ეს დარგი გამოცდილებას და ცოდნას მოითხოვს. ფუტკრები სხვადასხვა დაავადებით ავადდებიან; და იმისთვის, რომ არ დაუშვან დაავადების გავრცელება, გამოიყენება როგორც ტრადიციული (ჭინჭარი, ნიორი და სხვა), ასევე თანამედროვე წამლები.

ზოგიერთ მეფუტკრეს თავიანთი სკები გადააქვს არარატის ხეობაში იმისთვის, რომ უფრო მეტი მოსავალი მიიღოს უფრო ხანგრძლივი სეზონის საშუალებით. ამ შემთხვევაში ხარჯები იზრდება, მაგრამ თაფლის წარმოება ასევე იზრდება.

ვაჭრობის და მომსახურების სფერო

როგორც აღნიშნული იყო კონკურენტული უპირატესობების თავში, გავარ-გეღარქუნიქის გზა თემის ტერიტორიაზე გადის, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ვაჭრობის დარგის განვითარებაში. სარუხანი ერთადერთი თემია ამ ადგილებში, რომელსაც ბაზარი გააჩნია. გარდა ადგილობრივებისა, გარშემო მდებარე თემების (გეღარქუნიქი და ლანჯაღბიური) სოფლის მოსახლეობა მოდის აქ ვაჭრობისთვის, რადგან მათ სამჯერ უფრო მეტი მანძილის გავლა სჭირდებათ ქალაქ გავარამდე.

თემზე გამავალი გზის გასწვრივ დიდი და მცირე სავაჭრო ცენტრები და რამდენიმე საქორწინო დარბაზია აშენებული. სულ არის 28 სავაჭრო ცენტრი, მათ შორის 22 სასურსათო მაღაზია, რომლებიც მუშაობენ თემში. საქორწინო დარბაზები ფეშენებელურია. ისინი ასევე ახლომდებარე თემების მოსახლეობას ემსახურება.

სავაჭრო ცენტრებს თავიანთი მომხმარებელი ჰყავთ, რომელიც შედგება ადამიანებისგან და ოჯახებისგან და ასევე მეზობელი თემის მცხოვრებთაგან, რომლებიც არ ყიდულობენ დიდი რაოდენობით საქონელს. ადგილობრივების აზრით, მომსახურების ხარისხი მაღაზიებში გაუმჯობესებას საჭიროებს. გარდა სასურსათო მაღაზიებისა, არის სპეციალიზებული მაღაზიები ავეჯის და ყვავილების სპეციალიზაციით. ასევე არის მცირე ბარი, სამშენებლო მასალების მაღაზია, ავტოგასამართი სადგური და აფთიაქი.

რეკომენდაციები და ინიციატივები

1. კარტოფილის ახალი თესლების შეძენა და გამოცდა.
2. ნიადაგის განოყიერება მხოლოდ იმ სასუქებით, რომლებიც შესაბამისია და აუცილებელი მოცემული ნიადაგისთვის.
3. სახნავი მიწების ფართობის გაზრდა.
4. სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების დაყენება.
5. ახალი ტრაქტორების შეძენა.
6. აგრარული დაზღვევის დაფუძნება.
7. სარწყავი არხის აშენება.
8. ტექნოლოგიური სემინარების ორგანიზაცია მოსავლიანობის გაზრდის გზების შესახებ.
9. ხარისხის სტანდარტების შექმნა და ხარისხიანი თაფლის წარმოება.
10. სუბსიდირებული აგრარული სესხების მიღების ხელშეწყობა უფრო მეტი ფერმერისთვის.
11. ტრენინგების ორგანიზაცია მეფუტკრეობის და მოსავლიანობის გზების გაზრდის შესახებ.
12. კავშირების და მექანიზმების შექმნა, რომ მოხდეს თაფლის ექსპორტის ხელშეწყობა.
13. ინფორმაციის გავრცელება საგადასახადო და სხვა შესაბამის კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ.
14. საკონსულტაციო და საადვოკატო მომსახურების უზრუნველყოფა მეწარმეებისთვის.

ნოემბერიანი

მებაღეობა

ნოემბერიანის ეკონომიკის ერთ-ერთი საკვანძო დარგია მებაღეობა, რომელიც ამჟამად ფოკუსირებულია ხილის მოყვანაზე. მთლიანობაში, ნოემბერიანს 155 ათ. მრავალწლიანი ნარგავი აქვს, მათ შორის ატამი, ყურძენი, ქლიავი და ანანასი. არსებობს საწარმოების ნაკლებობა, რომლებიც დამატებით ღირებულებას შეიტანდნენ ჯაჭვში, ანუ ხილის და კენკრის გადამამუშავებელი ქარხნები, გადამზიდავი კომპანიები, საბითუმო მოვაჭრეები და ზემოთ ნახსენები ჯაჭვების სხვა მონაწილეები.

აღსანიშნავია, რომ 1990-იან წლებში თემში იწარმოებოდა 1200 ტონა კენკრა და 40 ტონა ბოსტნეული. ახლა ეს რაოდენობა ათჯერ და მეტად არის შემცირებული. ამჟამად, გარდა ომისა, სხვა წინაღობაც არის - მექანიკური სარწყავი სისტემის არარსებობა, რადგან ნოემბერიანში მხოლოდ 30-35 ჰექტარი ირწყვება თვითდინების მორწყვით.

მეხილეობის პროდუქტიულობა ნოემბერიანის ქვერეგიონში დაახლოებით ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მეზობელ ქვერეგიონებში, ხელსაყრელი ჰავის გამო.

აშკარაა, რომ ატმის ტრადიციული დარგის მოსავლიანობა უფრო დაბალია, ვიდრე ვაშლის და ანანასის. გასაკვირი არ არის, რომ ამჟამად ბევრი მებაღე და ბიზნესმენი ფოკუსირდება ხილის ახალი სახეობების მოყვანაზე და ახალ ბაღებს აშენებს.

ატმის ნარგავების რაოდენობა და მოსავლის აღების მცირე დრო იწვევს ფასების შემცირებას. ატმის ფასი შეიძლება მერყეობდეს 50-დან 600 სომხურ დრამამდე, მოსავლის რაოდენობის მიხედვით.

ნოემბერიანის ქვერეგიონი სომხეთში საუკეთესოდ ითვლება ატმის მოსავლიანობის მიხედვით. სხვა ხილებისთვის, ნოემბერიანის მოსავლიანობა დაახლოებით იგივეა, რაც არარატის ველზე.

საქონლის მოშენება

დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით, საქონლის მოშენება ნოემბერიანის ეკონომიკის ასევე ერთ-ერთი წამყვანი დარგია.

საქონლის მოშენება მნიშვნელოვნად ჩამორჩება მებაღეობა-მეხილეობას პროდუქტიულობის თვალსაზრისით. თუმცა, ნოემბერიანის ქვერეგიონის ზონალობა საშუალებას იძლევა საქონლის მოშენება უფრო მაღალ რეგიონებშიც მოხდეს.

ღორების მოშენების კუთხით, პროდუქტიულობის მაჩვენებელი ნოემბერიანში ერთ-ერთი უმაღლესია სომხეთში. სამწუხაროდ, ფართოდ გავრცელებულმა დაავადებამ ღორების მთელი პოპულაცია გაანადგურა წინა წლებში. დღეს ახალი მიდგომებია საჭირო ამ დარგის განვითარებისთვის, ანუ ღორების საკმარისი იზოლაცია, ფერმების შექმნა. მას შემდეგ, რაც დაავადება დაიძლევა, ღორების რაოდენობის გასამმაგება შეიძლება რამდენიმე თვეში და ღორების მოშენება შემოსავლის წყარო გახდება დაახლოებით 300 ოჯახისთვის ნოემბერიანში.

საქონლის მოშენების დარგი ნოემბერიანში ჩამორჩება ამ სფეროს ძირითად რეგიონებს სომხეთში. ამჟამინდელი შესაძლებლობებით, დარგს შეუძლია ადგილობრივი მოთხოვნის მხოლოდ ნაწილის დაკმაყოფილება. თემში 2080 სული პირუტყვია, რომლიდანაც 1723 ძროხაა და 350 სახორცე ხბო. რძის წარმოების პროდუქტიულობა ძალიან დაბალია. ერთი ძროხის მიერ წარმოებული რძის საშუალო წლიური რაოდენობა 1800-2200 ლიტრია, რაც ერთობ დაბალი მაჩვენებელია.

სიტუაცია განსხვავებულია მეფუტკრეობის დარგში. ნოემბერიანს შეუძლია კონკურენცია მეფუტკრეობის ყველა რეგიონთან სომხეთში, როგორც პროდუქტიულობაში, ისე პროდუქციის ხარისხში.

მწარმოებელი კომპანიების არსებობა ადგილზე არასაკმარისია ხორცის წარმოების ჯაჭვის ფუნქციონირებისთვის. პირველ რიგში, საქონლის ტრადიციული მოშენება უნდა გარდაიქმნას თანამედროვე აგრარულ წარმოებად, დაავადებებისგან და სხვა რისკებისგან სრულყოფილი დაცვით. გარდა ამისა, ვეტერინარია, საჯიშე მომსახურება, განათლების დაწესებულებები, ტექნოლოგიური ინოვაციები, ისევე როგორც საბითუმო ვაჭრობა ჩართული უნდა იყოს ეფექტურ პარტნიორობაში იმისთვის, რომ გაიზარდოს დარგის კონკურენტულობა.

ვაჭრობა

ნოემბერიანის თემს საკვანძო მნიშვნელობა აქვს როგორც ადგილობრივი ქვერეგიონალური ვაჭრობისთვის, ასევე რეგიონალური პროდუქტების გაყიდვისთვის, გეოგრაფიული მდებარეობის დამსახურებით, ისევე როგორც ქალაქის ტრადიციული როლის გამო, რომელიც იყო ვაჭრობის კატალიზატორი. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქალაქში და ქვერეგიონში არ იყო სპეციალიზებული აგრარული ბაზრები, რამაც უარყოფითი ეფექტი იქონია დარგის განვითარებაზე. ამჟამად, არსებობს ახლახან აშენებული სავაჭრო ცენტრი ბაზრით, დაახლოებით სამი ათეული სასურსათო მაღაზია, მოწყობილობების სამი მაღაზია, რომლებიც ამარაგებენ მთელ რეგიონს, სამშენებლო მასალების სამი მაღაზია, ტანსაცმლის და სხვა საოჯახო ნივთების მაღაზიები. ხილი ძირითადად იყიდება ბაღებში ან მისი მიტანა კერძო მანქანებით ხდება, თუმცა ხალხი თანდათან ეჩვევა ახლად აშენებულ ბაზარში ვაჭრობას.

ხილის გადამუშავება

ხილის გადამუშავების ინდუსტრია არის მებაღეობის განვითარების საფუძველი. მას საკუთრივ შეიძლება ჰქონდეს უფრო მაღალი მწარმოებლურობა, ვიდრე როგორც მეხილეობის ნაწილს.

გეღარქუნიქის სავაჭრო პალატის, მცირე და საშუალო მეწარმოების განვითარების ეროვნული ცენტრის (SME DNC) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ძალისხმევით, რეგიონში დაფუძნდა ხილის საშრობები. ამ გამოცდილების გადატანა სხვა ადგილებში დადებით გავლენას იქონიებს ინდუსტრიის ფორმირებაზე.

საბჭოთა ეპოქის დროს არსებობდა ხილის შესანახი და გადამამუშავებელი ცენტრები, თუმცა ისინი არ იყო გამოყენებული ბოლო წლებში.

უფრო დეტალური ინფორმაცია ხილის გადამუშავების შესახებ მოცემულია განყოფილებაში „ინიციატივები“.

ტვირთების ტრანსპორტირება

ტვირთების ტრანსპორტირება სტრატეგიული მნიშვნელობისაა ნოემბერიანის ეკონომიკური განვითარებისთვის, მისი ინდუსტრიული პოტენციალის და საქართველო-სომხეთის შემაერთებელ სახელმწიფოთაშორის გზატკეცილზე მდებარეობის გამო. ამჟამად, თემში არ არსებობენ სპეციალიზებული ორგანიზაციები; ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება კერძო პირების მიერ ან მომწოდებლების მანქანებით.

მას შემდეგ, რაც სომხეთი საბაჟო კავშირის წევრი გახდა, დარგში გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. მაგალითად, ტაქსების მომსახურების სფერო, რომელიც მანამდე უკვე გაჯერებულ სექტორად ითვლებოდა, ამჟამად ფართოვდება: მერსედეს VITO-ს ტიპის სამ მიკროავტობუსს მგზავრები გადაჰყავს ერევან-მოსკოვი-ერევნის მარშრუტზე. სამარშრუტო ტაქსების მფლობელები და მძღოლები ნოემბერიანიდან არიან; ბილეთები სპეციალიზებული კომპანიების მიერ იყიდება ერევანში. მსგავსი ცვლილებებია ტვირთის გადაზიდვის სფეროშიც.

რეკომენდაციები და ინიციატივები

ინიციატივა 1. მებაღეობის რესურსების ცენტრი

მებაღეობის ზრდა და ეფექტურობა პირდაპირ არის დამოკიდებული მაღალი ხარისხის მომწოდებლებზე, პროფესიულ ჩვევებზე და მყარ ურთიერთობებზე ბაზარზე. სამწუხაროდ, ამჟამად თემს მოეწოდება ძირითადად დაბალი ხარისხის პროდუქტები (წამლები, ქიმიკატები, ნერგები და ა.შ.), რასაც პირდაპირი გავლენა აქვს როგორც მოსავლის რაოდენობაზე, ასევე მის ხარისხზე.

თემში იგრძნობა სპეციალიზებული ცოდნის ნაკლებობა ხილის მოყვანის თითოეულ ეტაპზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს არამკაცრ მოთხოვნებს მოწოდებულ რესურსებზე.

ინიციატივა 2. გზისპირა ბაზარი

იმისთვის, რომ ადამიანმა შეიძინოს ცნობილი „ნოემბერიანის ატამი“, იგი ან მაღაზიაში უნდა შევიდეს ან თავად ბაღს მიაშუროს, რაც მნიშვნელოვან დროს და ძალისხმევას მოითხოვს.

არსებობს წინადადება, რომ შეიქმნას ბაზარი გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც მოემსახურება როგორც რეგიონულ შემსყიდველებს და გამყიდველებს, ასევე შემსყიდველებს, გამყიდველებს და სატრანზიტო მგზავრებს სომხეთის სხვა რეგიონებიდან.

ასევე შესაძლებელი იქნება ფასიანი მომსახურების უზრუნველყოფა ბაზარში, როგორიცაა შეფუთვა და პროდუქციის შენახვა მაცივრებში, გადაზიდვის მომსახურება საქონლისთვის.

ინიციატივა 3. პროფესიული სერტიფიცირებული განათლება

საკმაოდ დიდი მოთხოვნაა ჩამოყალიბებლი თემში ისეთ პროფესიებზე, როგორიცაა შემდუღებელი, სამაცივრო დანადგარების სპეციალისტი და მოწყობილობის ოპერატორი, ახალგაზრდა ფერმერები. სამწუხაროდ, ნოემბერიანის სახელმწიფო კოლეჯს არ გააჩნია შესაბამისი ბაზა და არ შეუძლია განათლების მიცემა ამ სპეციალობებზე. ცალკე პრობლემაა აგრარული გადამუშავების სფეროში განათლება, მათ შორის ხილის გახმობა, გაყინვა, კონსერვირება, რძის და ხორცის გადამუშავება და ა.შ.

პროფესიული განათლება ამ სფეროში საშუალებას იძლევა, რომ გაიზარდოს აგრარული სფეროს პროდუქტიულობა და ეფექტურობა, ისევე როგორც შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები.

ინიციატივა 4. მცირე გადამამუშავებელი საწარმოები (დაფასოებული და შეფუთული ხილის, გაყინული ხილის, ჯემების, კონფიტურების, კომპოტების, ჩირის წარმოება)

იმ ჯაჭვების უქონლობა ან სიმცირე, რომლებიც ქმნიან დამატებით ღირებულებას ნოემბერიანის ეკონომიკის ისეთ საკვანძო სექტორებში, როგორებიცაა მებაღეობა და საქონლის მოშენება (ხილის და კენკრის გადამამუშავებელი კომპანიები, ტრანსპორტირება, საბითუმო ვაჭრობა, რძის და ხორცის მწარმოებლები, რომლებიც მუშაობენ ხარისხის ერთი და იმავე სტანდარტზე) არ იძლევა უფრო მეტი ღირებულების შექმნის და ეფექტურობის მიღწევის საშუალებას ჯაჭვის თითოეულ ეტაპზე.

ამავე დროს, გადამამუშავებელი საწარმოების სიმცირეს უარყოფითი გავლენა აქვს ბაზარზე ფასების ფორმირებაზე და მაღალი მოსავლის წლებში დანაკარგები იზრდება იმის გამო, რომ არ არის შესაძლებლობა მთელი მოსავალი გაიყიდოს.

მცირე საწარმოები, რომლებიც მუშაობენ ხარისხის იგივე სტანდარტებით, საკმაოდ წარმატებული შეიძლება იყვნენ ნოემბერიანში. არსებობს მსგავსი გამოცდილება ჩირის წარმოებაში, რომელიც ამჟამად წარმატებით ინერგება ბაგრატაშენში და ახლომდებარე თემებში.

საბერძნეთი

საბერძნეთი ანუ ოფიციალურად ელინთა რესპუბლიკა, რომელიც ცნობილია უძველესი დროიდან, როგორც ელადა, არის ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე ქვეყანა. 2011 წლის აღწერის მიხედვით, საბერძნეთის მოსახლეობა დაახლოებით 11 მილიონი ადამიანია. ათენი ქვეყნის დედაქალაქი და უმსხვილესი ქალაქია, ხოლო თესალონიკი სიდიდით მეორე ქალაქია და თანადედაქალაქად მოიხსენიება. ეგეოსის ზღვა ქვეყნის ძირითადი სახმელეთო ტერიტორიის აღმოსავლეთით მდებარეობს, იონიის ზღვა დასავლეთით, ხოლო ხმელთაშუა ზღვა სამხრეთით. საბერძნეთს ყველაზე გრძელი სანაპირო ზოლი აქვს ხმელთაშუა ზღვის აუზში, რომელიც მსოფლიოში მეთერთმეტეა სიგრძით, შეადგენს რა 13 676 კმ-ს (8 498 მილს). ის შედგება კუნძულების დიდი რაოდენობისგან (დაახლოებით 1400, რომლიდანაც 227 დასახლებულია). საბერძნეთის ტერიტორიის 80% მთიანი რეგიონებია, ხოლო ოლიმპოს მთა უმაღლესი მწვერვალია 2 917 მ სიმაღლით (9 570 ფუტი).

PACA ლიტოჩოროს, დიონის და პეტრა-პიერიას თემებში, პიერიას რეგიონულ ერთეულში.

ლიტოჩორო-პიერია

პიერია მდებარეობს ცენტრალური მაკედონიის რეგიონში, ჩრდილოეთ საბერძნეთში და ფლობს თერმაიკოსის ყურის დასავლეთ სანაპირო ზოლს. მთა ოლიმპო, საბერძნეთის უმაღლესი მწვერვალი, ქმნის მის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრები ეგეოსის ზღვის მიერ განისაზღვრება.

ლიტოჩორო პატარა ქალაქია სამხრეთ პიერიაში, 170 კვ. კმ ფართობით და 7 259 მცხოვრებით. ის მდებარეობს 300 მეტრის სიმაღლეზე ლეგენდარული მთა ოლიმპოს კალთებთან და მხოლოდ 5 კმ-ის დაშორებით თერმაიკოსის ყურიდან.

ადგილის კონკურენტული უპირატესობები

ადგილი გამორჩეულია მისი მდებარეობით, უნიკალური ბუნებრივი გარემოთი და კლიმატური პირობებით. ლიტოჩოროს კონკურენტული უპირატესობები მოცემულია ქვემოთ:

- უნიკალური ბუნებრივი გარემო, მითიური მთა ოლიმპო, თვალწარმტაც სანაპირო ზოლთან ერთად
- მოკლე მანძილი მთასა და ზღვას შორის
- ცენტრალური მდებარეობა საბერძნეთის ტერიტორიაზე და ქვეყნის განვითარების მთავარ ღერძზე
- სიახლოვე თესალონიკთან, რომელიც არის ქვეყნის მეორე ქალაქი სიდიდით
- ადვილი წვდომა გზასთან, რკინიგზის ქსელთან კომბინირებული ტრანსპორტირებისთვის
- ტურიზმი მთელი წლის განმავლობაში
- იდეალური მიკროკლიმატი - თერაპიული ჰავა
- სხვადასხვა სახის ტურიზმის განვითარებისთვის მეტად ხელსაყრელი პირობები
- სასოფლო ტრადიციები - აგრარული, საქონლის და თევზის პროდუქტების მრავალფეროვნება
- კულტურული მემკვიდრეობა და კულტურული აქტივობები
- მრავალრიცხოვანი მონასტრები და ბიზანტიური ეკლესიები

პლატამონის ციხე

ეკონომიკური აქტივობის ძირითადი დარგები

დასაქმება ლიტოჩოროში ეკონომიკის დარგების მიხედვით მსგავსია ქვეყნის საშუალო სურათისა. მოსახლეობის უმრავლესობა (55%) დასაქმებულია მესამეულ სექტორში (ვაჭრობა, მომსახურება) და ყველაზე მცირე რაოდენობა (16%) პირველად სექტორში (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეთევზეობა), როგორც ეს ჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

დასაქმება დარგების მიხედვით			
	პირველადი სექტორი	მეორადი სექტორი	მესამეული სექტორი
საბერძნეთი	14%	22%	59%
პიერიას რეგ. ერთეული	31%	17%	47%
ლიტოჩორო	16%	24%	55%

დასაქმება პროფესიული დარგების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

პროფესიული დარგი	*ადამიანები*
მთლიანად:	**2.179**
მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მონადირეობა, მეტყევეობა	281
მეთევზეობა	39
წარმოება	158
ელექტროენერგიის, გაზის და წყლის სერვისები	5
მშენებლობა	326
საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომანქანების შეკეთება, პირადი და საოჯახო საქონელი	247
სასტუმროები და რესტორნები	193
ტრანსპორტი, საწყობები და კავშირგაბმულობა	107
საშუამავლო ფინანსური ორგანიზაციები (ბანკები)	24
უძრავი ქონება, გაქირავება და სამეწარმეო საქმიანობა	67
საჯარო ადმინსტრირება და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაზღვევა	206
განათლება	174
ჯანდაცვა და სოციალური დაცვა	44
სოციალური და პირადი სერვისების მიწოდება	63
დასაქმება ოჯახში	14
ახალგაზრდები	122

ადგილობრივი ეკონომიკის მთავარი სექტორები, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მოსახლეობის შემოსავლებში, არის ტურიზმი, როგორც ძირითადი ან სეზონური დასაქმების დარგი ზაფხულის თვეებში, ვაჭრობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოება (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მეთევზეობა).

ამ ადგილის ეკონომიკა ბოლო წლებში, ისევე როგორც დანარჩენ ქვეყანაში, განიცდის უპრეცედენტო ფინანსური კრიზისის ზეგავლენას, რამაც საბერძნეთის ეკონომიკა რეცესიაში

შეიყვანა და გააუარესა ეკონომიკური მაჩვენებლები ყველა დარგში, შემოსავლების შემცირებით.

ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი დარგების კონკურენტულობა

ტურიზმი

ტურიზმი ძლიერ განვითარებული იყო ბოლო წლებში და მიუხედავად სხვადასხვა პრობლემებისა, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთლიან შიდა პროდუქტში და დასაქ-მებაში. ეს არის მოსახლეობის შემოსავლების ძირითადი წყარო, პირდაპირ ანუ მიწოდებული სერვისების საშუალებით ან არაპირდაპირ, დაკავშირებული პროფესიების საშუალებით.

ტურიზმის სექტორის კონკურენტულობის ანალიზი აჩვენებს შემდეგ ძლიერ მხარეებს და სისუსტეებს:

ძლიერი მხარეები	სისუსტეები
▪ ტურისტების განთავსების ადგილების სიჭარბე, როგორც ზღვის სანაპიროზე, ასევე მთებში ▪ ტურიზმის სხვადასხვა ფორმის განვითარების პოტენციალი (აგროტურიზმი, რელიგიური ტურიზმი, მთამსვლელობა, საფეხმავლო ტურიზმი და ა.შ.) ▪ მაღალი ხარისხის სტრუქტურირებული საბინაო გარემო ▪ ძალიან სტუმართმოყვარე ადგილობრივი მოსახლეობა	▪ ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ტურისტული ნაკადის მხარდასაჭერად (კონფერენც-დარბაზები, გოლფის მოედნები, სპორტული ობიექტები) ▪ ინფრასტრუქტურის არარსებობა ან არასაკმარისობა ოლიმპოს მთის ვიზიტორებისთვის (რეგისტრაცია, ინფორმაცია და ა.შ.) ▪ არ არსებობს გეგმა ოლიმპოს ზომიერი ტურისტული განვითარებისთვის ▪ ზედმეტად გადატვირთული საზაფხულო დასვენების ადგილები

დაფიქსირებულია შემდეგი დარგობრივი პრობლემები:

- შიდა ბაზრის შემცირება ეკონომიკური რეცესიის გამო
- სეზონური ტურიზმი ნაცვლად მთელი წლის განმავლობაში ტურიზმის პოტენციალის გამოყენებისა
- კერძო მანქანების გაძნელებული გამოყენება საწვავის მაღალი ფასის და გადასახადების გამო
- დამოკიდებულება ტუროპერატორებზე
- სტიმულირების მნიშვნელოვანი ქმედებების გატარების ჩავარდნა ადგილობრივი ორგანოების სუსტი მუშაობის გამო
- გამწყდარი კავშირი ადგილობრივ წარმოებასა და ტურიზმს შორის
- ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების შეზღუდული გამოყენება

ამავე დროს, სახელმწიფო ორგანოებთან დაკავშირებული პრობლემებია:

- არასტაბილური საგადასახადო სისტემა და მაღალი გადასახადები
- ლიცენზირების მოუქნელი სისტემა (არქეოლოგია, მეტყევეობა და ა.შ.)
- ტურისტული განვითარების ნაკლებობა მუნიციპალურ დონეზე

ტურისტული სფეროს კონკურენტულობის ანალიზი აჩვენებს შემდეგ ძლიერ და სუსტ მხარეებს:

ძლიერი მხარეები	სისუსტეები
▪ ინფრასტრუქტურა არსებობს ▪ მისვლა გზების და რკინიგზის საშუალებით ▪ განთავსების ადგილები ყველა საფასო სეგმენტში ▪ მთის და ზღვის აქტივობების მრავალფეროვნება ▪ ახალი ბაზრები თურქეთში, ბულგარეთში, სერბიაში	▪ შიდა ბაზრის შემცირება ▪ დიდი ნაგებობების ინფრასტრუქტურის ნაკლებობა (საკონფერენციო ცენტრები, გოლფის მოედნები, სპორტული ნაგებობები) ▪ მკვეთრი სეზონურობა ▪ კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა ▪ ადგილობრივ მწარმოებლებთან ურთიერთობის ნაკლებობა ▪ ახალი ტექნოლოგიების (დაჯავშნის) შეზღუდული გამოყენება ▪ უფრო ფართო რეკლამის და ხელშეწყობის აუცილებლობა

ვაჭრობა - მომსახურეობა

ვაჭრობა და მომსახურეობა (კაფეები, რესტორნები, და ა.შ.) ძლიერ არის მიბმული ადგილობრივ ტურისტულ აქტივობაზე.

ბიზნესების უმრავლესობა პატარა საოჯახო ბიზნესებია დაქირავებული პერსონალის გარეშე (გარდა თვითდასაქმებულებისა). რესტორნების და კაფეების უმეტესობა (80%) ჩვეულებრივ 1-2 ადამიანს ქირაობს. ზაფხულში, ვიზიტორთა გაზრდილი ნაკადის გამო, ისინი სამზე მეტ ადამიანს ქირაობენ.

სოფლის მეურნეობა - საქონლის მოშენება

შესწავლის ადგილი არ ითვლება ძლიერ განვითარებული სოფლის მეურნეობის ადგილად და დასაქმება სოფლის მეურნეობის სფეროში მხოლოდ 16%-ია.

აგრარულ სექტორში იდენტიფიცირებული მთავარი **პრობლემებია:**

- აგრარული მასალების მაღალი საფასური, როგორებიცაა პესტიციდები და სასუქები
- დაბალი საბაზრო ფასები პროდუქციაზე
- გადამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა
- კოოპერატიული ორგანიზაციების ნაკლებობა

მესაქონლეობას რეგიონში შემდეგი **პრობლემები** აქვს:

- მოძველებული ბაგები
- საქონლის საკვებზე მაღალი ფასები
- გაღარიბებული საძოვრები
- პროდუქციაზე დაბალი საბაზრო ფასები

ოლიმპოს მთა - ბუნებრივი გარემო

შესწავლის არეალში დომინირებს ლეგენდარული და სიმბოლური მნიშვნელობის მქონე მთა ოლიმპო, საბერძნეთის უმაღლესი და ყველაზე საკრალური მთა, ძველი საბერძნეთის 12 ღმერთის ბინადრობის ადგილი, რომელიც განდიდებულია ჰომეროსის პოემაში.

ყოველ წელს ათასობით ვიზიტორი და მთამსვლელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან ადის უმაღლეს მწვერვალ მიტიკასზე (2 917 მ). ოლიმპო დაცვის სპეციალური რეჟიმის ქვეშ იმყოფება, ამ ადგილის ეროვნულ პარკად გამოცხადების შემდეგ 1938 წელს.

ოლიმპოს მთა გლობალურ ტურისტულ ღირშესანიშნაობას წარმოადგენს, ამგვარად, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადგილობრივ ეკონომიკაში, ზრდის რა მცირე ბიზნესის შემოსავლებს ისეთ დარგებში, როგორიცაა კვება და დასვენება.

ოლიმპოს მთის უმაღლესი მწვერვალები

ოლიმპოს **უპირატესობები:**

- საერთაშორისო დონეზე ცნობადი მითი
- გეოლოგიური ისტორია მდიდარი ფლორის და ფაუნის ეკოსისტემებით
- რელიეფის სილამაზე - სიახლოვე ზღვასთან

ქმნის მიზიდვის წერტილს ტურისტული და სამეცნიერო თვალსაზრისით ათასობით ვიზიტორისთვის ყოველწლიურად. თუმცა, შემდეგი პრობლემები წარმოიშვება ინფრასტრუქტურის და ხელშეწყობის პროგრამების ნაკლებობის შედეგად:

- ინფრასტრუქტურის არარსებობა ან არასაკმარისობა განთავსების და ინფორმაციულ მომსახურებასთან მიმართებაში
- ზომიერი ტურისტული განვითარების დაგეგმვის ნაკლებობა - მიდგომა
- ოლიმპოს ბუნებისმცოდნეობის მუზეუმის გახსნის გადადება
- შემდგომი რეკლამირების საჭიროება

რეკომენდაციები და ინიციატივები

ბუნებრივი გარემოს ხარისხი და უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა ქმნის მდიდარ და ნაკლებად გამოყენებულ ტურისტულ ღირშესანიშნაობებს, რომლებიც არასოდეს ყოფილა სათანადოდ რეკლამირებული, შესაბამისად, ისინი სერიოზულად უნდა იყვნენ განხილული ადგილობრივი ეკონომიკის სტიმულირებისთვის.

ლეგენდარული ოლიმპოს მთა, განსაკუთრებული სილამაზის და თვალწარმტაცი სანაპიროს შეხამებით, ქმნის ყველა საჭირო პირობას ადგილის კრეატიული, მრავალგანზომილებიანი განვითარებისთვის, სხვადასხვა ვარიანტებით და ალტერნატიული გადაწყვეტებით.

ადგილის ეკონომიკური ზრდის მთავარი მიმართულება უნდა იყოს ტურიზმის ინფრასტრუქტურის შექმნა ტურიზმის ალტერნატიული ფორმების განვითარებისთვის და მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება მაღალშემოსავლიანი ტურისტების მოსაზიდად.

ტურიზმის სახეობები, რომლებიც შეიძლება განვითარდეს ამ ადგილას, მრავალფეროვანია, და ქმნიან ურთიერთჩანაცვლების სიტუაციას, რითაც თავიდან იშორებენ პლაჟის ტურიზმის სეზონურობას:

- ზაფხულის ტურიზმი
- კლდეზე ცოცვა - საფეხმავლო ტურიზმი
- ეკოტურიზმი

- ❖ რელიგიური ტურიზმი
- ❖ არქეოლოგიურ-კულტურული ტურიზმი
- ❖ ტურიზმი ხანშიშესული ხალხისთვის ან ინვალიდებისთვის

ადგილის ეკონომიკური განვითარების პოტენციალი საკმაოდ დიდია, თუ გავითვალისწინებთ მრავალმიმართულებიანი განვითარების ვარიანტებს, რომლებიც ეფუძნება ან სანაპირო ზოლს (ზაფხულის ტურიზმი, მეთევზეობა, და ა.შ.) ან შიდა ტერიტორიას (ზამთრის ტურიზმი, კომერცია, მომსახურების სფერო და ა.შ.).

თუმცა რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდა, მაგრამ არის გადაუდებელი მოთხოვნილება უფრო მეტ პროექტზე (ნარჩენების ბიოლოგიური გადამუშავება, გზები, დაშრობის პროექტები და ა.შ.).საკვანძო პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას, არის მიწის გამოყენება, რადგან ის ლიტოჩოროს ართმევს განვითარების ყოველგვარ პერსპექტივას.

შეთავაზებული ქმედებები და ინიციატივები ლიტოჩოროს ადგილის ეკონომიკური განვითარებისთვის:

- ✓ ტურიზმის რეკლამირების განახლება, როგორც პროდუქტის და იდენტობის
- ✓ საზოგადოებრივი კვების, დასვენების და განთავსების სერვისების განახლება
- ✓ ტურიზმში ჩართული მუდმივი ან სეზონური პერსონალის პროფესიული ტრენინგები
- ✓ მომავალ მომხმარებელთან კონტაქტი თანამედროვე ელექტრონული საშუალებებით (ინტერნეტი, ინტერაქტიული ვიდეო, კომპაქტ-დისკები)
- ✓ პროფესიონალთა ადგილობრივი ასოციაციის მიერ კერძო კომპანიის დაარსება, რომლის მიზანი იქნება ადგილის რეკლამირება საზღვარგარეთის ტურისტული სააგენტოებისთვის, ღონისძიებების და ტურების მოწყობა და ტურისტული ინფორმაციის მოწოდება
- ✓ ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვის ადგილების რეკლამირება
- ✓ არქეოლოგიური გათხრების განახლების პროექტების ხელშეწყობა
- ✓ ლიტოჩოროში ოლიმპოს ბუნებისმცოდნეობის მუზეუმის დასრულება
- ✓ საკონფერენციო ცენტრის დასრულება
- ✓ ვიზიტორების და სერვისების მართვის გეგმა ოლიმპოს აღკვეთილისთვის (ნაკრძალისთვის)
- ✓ სანაპიროს და მთების სისტემატური დასუფთავება
- ✓ პლაჟის დაცვა ინფრასტრუქტურული პროექტების საშუალებით, როგორიცაა საკანალიზაციო წყლების გაწმენდა
- ✓ ინვესტიციების მოზიდვა, მეწარმეობის სტიმულირება, ბარიერების მოხსნა (ეკონომიკური და სხვა)
- ✓ ადგილობრივი პროდუქტების ხელშეწყობა სპეციალიზებულ დარგებთან ერთად (ენერგოეფექტურობა და განახლებული ენერგიის წყაროები)

შეთავაზებული ქმედებები/ჩარევები:

- ➢ რეკლამა ინტერნეტში
- ➢ ონლაინ მარკეტინგი
- ➢ ტურაგენტების მასპინძლობა მიზნობრივი ქვეყნებიდან
- ➢ კავშირი ტურაგენტებთან/ოპერატორებთან სპეციალიზებული ტურისტული პაკეტების შესაქმნელად
- ➢ ბროშურების ბეჭდვა და გავრცელება
- ➢ ოლიმპოს ფოტოალბომები
- ➢ ლოგოს ან დევიზის შექმნა
- ➢ ღირშესანიშნაობების და გზების მონიშვნა
- ➢ ზომიერი ჩარევები ბუნებრივ გარემოში დასასვენებელი და გასაჩერებელი ადგილების შექმნით ოლიმპოზე
- ➢ კულტურული აქტივობების ხელშეწყობა

➢ ფოლკლორული მუზეუმების / გამოფენების რეკლამირება და ხელშეწყობა, როგორებიცაა საზღვაო მუზეუმი, ბიზანტიური ტრადიციის წმ. დიონისეს მონასტერი

➢ აგროპროდუქტების რეკლამირება და წარმოების ნოუ-ჰაუს ხელშეწყობა (ზეთისხილის პროდუქტები, თაფლის პროდუქტები, ჯემები, ტრადიციული ტკბილეული)

➢ ბრენდული და სერტიფიცირებული აგროპროდუქტების რეკლამირება და მხარდაჭერა წარმოების ნოუ-ჰაუს და საჭირო მოწყობილობების შესახებ ტრენინგების ჩატარებით (რძის პროდუქტები, მაგალითად, ყველი, ასევე ღვინო)

➢ სპეციალიზებული პროდუქტების ხელშეწყობა ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის წყაროების დარგში, ნოუ-ჰაუს გადაცემასთან ერთად

დიონი

პიერია მდებარეობს ცენტრალური მაკედონიის რეგიონში ჩრდილოეთ საბერძნეთში და ფლობს თერმაიკოსის ყურის დასავლეთ სანაპირო ზოლს. მთა ოლიმპო, საბერძნეთის უმაღლესი მწვერვალი, ქმნის მის სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრები ეგეოსის ზღვის მიერ განისაზღვრება.

დიონის მუნიციპალური ერთეული პიერიას რეგიონულ ერთეულში ფარავს 172.74 კვ. კმ ფართობს და 10 066 მოსახლე ჰყავს. ის შედგება 6 დასახლებისგან / სოფლისგან, რომელთა შორის არის დიონი, იმავე სახელწოდების არქეოლოგიურ ადგილთან ერთად. დიონი სოფლის ტიპის დასახლებაა და მდებარეობს ლეგენდარული მთის ოლიმპოს ძირას დაბლობზე, ზღვის დონიდან საშუალოდ 55 მეტრის სიმაღლეზე. ის მხოლოდ 5 კმ-ით არის დაშორებული პიერიას სანაპიროს და ეს ფაქტი პოზიტიურად აისახება ადგილობრივ ეკონომიკაზე. ანტიკურ ეპოქაში დიონი საკრალურ ქალაქად ითვლებოდა მაკედონიელებისთვის.

ადგილის კონკურენტული უპირატესობები

დიონის კონკურენტული უპირატესობები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- გეოგრაფიული მდებარეობა ქვეყნის განვითარების მთავარ ღერძზე
- წვდომა სატრანსპორტო ხაზებთან და კომბინირებული ტრანსპორტის შესაძლებლობა
- სიახლოვე თესალონიკთან, რომელიც არის ქვეყნის სიდიდით მეორე ურბანული ცენტრი
- დინამიური სასოფლო-სამეურნეო ადგილი, დაბლობის რელიეფით და მაღალი მოსავლიანობით
- წარმოებული აგრარული პროდუქტების მრავალფეროვნება
- სერტიფიცირებული ხარისხიანი პროდუქტების წარმოება, როგორიცაა კივი (დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა - PGI) და ფეტა (წარმომავლობის დაცული აღნიშვნა - PDO)
- კულტურული მემკვიდრეობა, კულტურული ინფრასტრუქტურა და აქტივობები
- არქეოლოგიური პარკი (არქეოლოგიური ადგილი, რომლის მონახულება შესაძლებელია) და არქეოლოგიური მუზეუმი
- მონასტრები და ბიზანტიური ეკლესიები რელიგიური ტურიზმის განვითარებისთვის

- წვდომა ოლიმპოს ნაციონალურ პარკთან და სამთო კურორტთან
- ალტერნატიული ტურიზმის შესაძლებლობა (მდინარე ურლიასზე)

ეკონომიკური აქტივობების ძირითადი დარგები

დიონი დაბლობის აგრარული ადგილია და წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ ადგილს მთელ საბერძნეთში.

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (64%) დასაქმებულია პირველად სექტორში (მიწათმოქმედება, საქონლის მოშენება), რომლის შესაბამისი პროცენტული წილი აღემატება რეგიონული ერთეულის დონეს. დასაქმება მესამეულ სექტორში (მომსახურება, ვაჭრობა) შეზღუდულია (23%), რაც უფრო მცირეა, ვიდრე საშუალოდ პრეფექტურაში და ქვეყანაში.

ამ ადგილას ძირითადად მემინდვრეობის კულტურები იწარმოება, როგორიცაა თამბაქო, მარცვლეული და იონჯა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „კატერინი“-ის ჯიშის თამბაქოს მოყვანა - მიუხედავად ნათესების ფართობის შემცირებისა სათემო გრანტების შემცირების გამო. ეს ჯიში მხოლოდ პიერიას რეგიონში მოდის. ხილის და ბოსტნეულის წარმოება დაახლოებით 10%-ს იკავებს მთლიან დამუშავებულ ფართობში. ძირითადი კულტურებია კივის ხეები, სუფრის ყურძენი, ზეთისხილის ხეები.

„კატერინის“ ჯიშის თამბაქო

ამ ადგილას ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურაა თამბაქო (კატერინის ჯიშის), რომელზეც ზონის დამუშავებული მიწების 14.6% მოდის. კატერინის თამბაქო მხოლოდ პიერიაში მოჰყავთ და მრავალი წლის განმავლობაში მას ყველაზე დიდი შემოსავალი მოჰქონდა დიონის მცხოვრებთათვის, ძირითადად თემის დახმარების და თამბაქოზე მაღალი ფასის გამო.

ბოლო ათწლეულში, სუბსიდიების დარგში ევროკავშირის პოლიტიკის მიზეზით და თამბაქოს მოწევის საწინააღმდეგო კამპანიების გამო, მოხდა თამბაქოს მოყვანის მკვეთრი ვარდნა 50%-ით, რამაც ფერმერების შემოსავლებზე შესაბამისი ზეგავლენა მოახდინა და აიძულა ახალგაზრდა თაობა თავი დაენებებინა ამ პროფესიისთვის. ევროკავშირის ახალი აგრარული პოლიტიკის (CAP)-ის გამო, რომელიც მოითხოვს სუბსიდიების შემდგომ შემცირებას, მოსალოდნელია თამბაქოს წარმოების შემდგომი დაცემა.

პიერია კივი - დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა

კივის მოყვანა ძალიან მნიშვნელოვანია დიონის და პიერიას მუნიციპალურ ერთეულებში. პიერიაში ის პირველად დაინერგა 1973 წელს და მას შემდეგ გავრცელდა საბერძნეთის სხვადასხვა რეგიონებში. ეს ერთადერთი პროდუქტია, რომელიც სერტიფიცირებულია, როგორც დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა და მიიღო სახელი „პიერია კივი“ (2066/2002 რეგულაციის ნორმის გამოყენებით). პროდუქტთან დაკავშირებული გამოწვევები მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ხარისხთან და უსაფრთხოებასთან.

კომპანია ZEUS-მა - საპილოტე ერთეული - განახორციელა მნიშვნელოვანი ინვესტიციები სტანდარტიზაციაში და შეფუთვაში და ასევე განავითარა ინტენსიური საექსპორტო აქტივობა სხვადასხვა ბაზრებზე, მათ შორის პირველია ექსპორტი რუსეთში, ხოლო მეორე კი სუპერმარკეტების ქსელში დიდ ბრიტანეთში.

თამბაქოს მოყვანა

კივის კულტივაცია

ადგილობრივი ეკონომიკის დარგების კონკურენტულობა

სოფლის მეურნეობა

აგრარული კოოპერატივი

დიონის მუნიციპალურ გაერთიანებაში თამბაქოს 2 ჯგუფია - კოოპერაციული სტრუქტურები თამბაქოს მწარმოებელთა უფლებების დასაცავად, 772 წევრით.

კოოპერატივებში აქტიურად და არსებითად მონაწილეობით მწარმოებლებს

- აქვთ საშუალება, რომ:

o გაზარდონ მათი უფლებები მოლაპარაკებების დროს და

o ამგვარად თავად განსაზღვრონ ფასები პროდუქტზე და მისი გაყიდვის პირობები

- შეუძლიათ მიაღწიონ:

o დამაკმაყოფილებელ შემოსავლებს,

o მნიშვნელოვან მოგებას და ნამატებს კოოპერატივებისთვის და შესაბამისად, შესაძლებლობას, რომ ჩადონ ინვესტიციები და გააფართოვონ მათი აქტივობები სხვა კომერციულ ფუნქციებში.

აგრარული სექტორის კონკურენტულობის ანალიზი გვიჩვენებს შემდეგ უპირატესობებს და სისუსტეებს:

ძლიერი მხარეები	სისუსტეები
▪ ძირითადი აგრარული პროდუქტები ბრენდირებულია: თამბაქო (კატერინის ჯიში) და პიერიას კივი (PGI) ▪ თამბაქოს და კივის კულტივირება ხდება სერტიფიცირებული, გარემოს მიმართ მეგობრული, AGRO-ს ინტეგრირებული მენეჯმენტით ▪ დინამიური შემოსავალი მიწათმოქმედებისგან ▪ კივის შენახვის - გაცივების - სტანდარტიზაციის და ვაჭრობის დინამიური ობიექტი, ZEUS SA კომპანიის, დასახლება კარიცაში ▪ თამბაქოს მწარმოებლების ორი კარგად ორგანიზებული ჯგუფი	• აგრარული მეურნეობების მცირე ზომები • კოოპერატივების ასოციაციის დაშლა - მწარმოებლების ორგანიზაციის სტრუქტურების ცენტრალური ორგანოს დაშლის გამო პიერიაში ▪ აგრარული მასალების, სასუქების, პესტიციდების და ა.შ. მაღალი ფასი, რაც აისახება პროდუქციის თვითღირებულებაზე ▪ მოწეული პროდუქტების დაბალი გასაყიდი ფასები

აგრარული სექტორის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები და შეთავაზებული ჩარევები მოცემულია ქვემოთ:

სისუსტეები	წინადადებები
პროდუქციის დაბალი ფასი	➢ შენახვის ადგილების შექმნა აგრარული პროდუქტებისთვის ➢ პროდუქტების სტანდარტიზაცია და შესაბამისი შეფუთვა, რომ მოხდეს მათი გარჩევა სხვა მსგავსი პროდუქტებისგან ➢ პირველადი პროდუქციის გადამუშავება დამატებითი ღირებულების გაზრდისთვის ➢ ხარისხის მართვის სისტემების განვითარება - წარმოების პროცესის ხარისხის სერტიფიკაცია, მაგ. ინტეგრირებული მენეჯმენტი ➢ ორგანული მეურნეობების განვითარება, ძირითადად ზეთისხილის ხეების, იმისთვის, რომ წარმოებული ორგანული პროდუქცია გაიყიდოს უფრო მაღალ ფასად და მასზე მაღალი მოთხოვნა იყოს ➢ პროდუქტების დისტრიბუცია მწარმოებლების ჯგუფების საშუალებით, უკეთესი ფასების მისაღწევად
მიწის ნაკვეთების ინტენსიური ფრაგმენტაცია	➢ მებაღეობაში მონაწილეობა უფრო მეტ უპირატესობას შეიცავს
მცირე - ოჯახური ტიპის აგრარული მეურნეობები	➢ ევროკავშირის სუბსიდირების პროგრამების გამოყენება ფერმერებისთვის და აგრარული პროდუქტებისთვის
წარმოების დამოკიდებულება ამინდზე (ყინვა, სეტყვა)	➢ ყინვისგან დაცვის გამოყენება, ბაღებში გამათბობლების ან ინჟექტორების საშუალებით
კოოპერატიული სტრუქტურების დაშლა	➢ მწარმოებლების მცირე ჯგუფების დაფუძნება

საქონლის მოშენება

თემებში, რომლებიც არიან დიონის გეოგრაფიული ერთეულის ნაწილები, საქონლის მოშენება წარმოადგენს მთლიანი აგრარული სფეროს მნიშვნელოვან ნაწილს.

პრობლემები - წინადადებები

დარგის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები და შეთავაზებული ჩარევები მოცემულია ქვემოთ:

სისუსტეები	წინადადებები - შეთავაზებული ჩარევები
არამოდერნიზებული საქონლის ფერმები პრობლემებით	➢ ევროკავშირის სუბსიდირების პროგრამების გამოყენება (გაუმჯობესების გეგმები) საქონლის ფერმების დაფუძნებისთვის - მოდერნიზაციისთვის
კონფლიქტები მიწის სხვა მესაკუთრეებთან, საძოვრები, ტყეები და ა.შ.	➢ მიწის სარგებლობის განსაზღვრა საქონლის მოშენებასა და მიწათმოქმედებას შორის, ისე რომ საკმარისი მიწა იყოს საძოვრებისთვის
მაღალი ფასი წამლებზე და საქონლის საკვებზე	➢ საქონლის საკვების და წამლების მიწოდება ადგილობრივი კოოპერატივების საშუალებით, უფრო დაბალი შესასყიდი ფასების მისაღწევად
საჯიშე საქმის სპეციალისტების შეზღუდული ცოდნა	➢ სემინარების განხორციელება საჯიშე საქმის სპეციალისტების ტრენინგებისთვის, სპეციფიურ პრობლემებზე, ისევე როგორც მეურნეობების მართვის ზოგად პრობლემებზე

მეორადი სექტორი

ადგილობრივი ინდუსტრია ამჟამად ორიენტირებულია ორი საბაზო მიმართულებით:

ა) პირველი მოიცავს ადგილობრივი აგრარული პროდუქციის გადამამუშავებელ ობიექტებს, როგორებიცაა დამუშავებული ხორცის, ყველის პროდუქტების მწარმოებელი, რძის, აგრარული პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნები;

ბ) მეორე მოიცავს ქარხნებს, რომლებიც ხასიათდება მცირე კავშირით ადგილობრივ პროდუქტებთან, როგორებიცაა ელექტრომექანიკური მოწყობილობების, ავეჯის წარმოება, რკინის, ალუმინის დამუშავება.

დასკვნის სახით:

- ადგილზე არის ოჯახური ტიპის ხალხური რეწვის ობიექტები, ხშირად სეზონური მუშახელით.
- შეზღუდული საინვესტიციო აქტივობის და აგრარული და სხვა პროდუქტების გადამუშავების სფეროს აქტივობების არსებობა ქმნის მეორად სექტორში უფრო ფართო ჩარევების დაგეგმვის აუცილებლობას, იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რესურსების გადინება სხვა ადგილებისკენ.

ჩარევები უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული მიწათმოქმედების და მესაქონლეობის პროდუქციის გამოყენებაზე, ადგილობრივი პირველადი პროდუქტების და სხვა საქონლის გადამუშავების, წარმოების, სტანდარტიზაციის და ვაჭრობის საშუალებით.

მესამეული სექტორი

მიწოდებული მომსახურება მჭიდროდ არის დაკავშირებული ადგილზე დაფიქსირებულ არქეოლოგიურ ინტერესთან.

ყველა ბიზნესი ერთად აკმაყოფილებს დაახლოებით 120 000 ვიზიტორის მოთხოვნილებებს არქეოლოგიურ პარკში და მუზეუმში, ზაფხულში ოლიმპოს ფესტივალის 25 000 ვიზიტორს, ასევე მათ. ვინც დაინტერესებულია ოლიმპოში ალტერნატიული ტურიზმის ფორმებით, როგორიცაა რაფტინგი და საფეხმავლო ტურიზმი მდინარე ურლიასზე.

ისტორია - კულტურა

ადგილი ინარჩუნებს მის კულტურულ იდენტობას და იყენებს ხელმისაწვდომ კულტურულ ინფრასტრუქტურას. აქ არის მნიშვნელოვანი არქეოლოგიური კერები, როგორებიცაა არქეოლოგიური კერა და ანტიკური თეატრი დიონში, ასევე არქეოლოგიური მუზეუმი - ერთადერთი მუზეუმი პიერიაში, სადაც ინახება ადგილზე შესრულებული გათხრების დროს ნაპოვნი ნივთები. გარდა ამისა, მდიდარი კულტურული რესურსების გამოყენების ფარგლებში ტარდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ოლიმპოს ფესტივალი, რომელიც ყოველწლიურად იმართება 43 წლის განმავლობაში.

დიონის არქეოლიგიურ კერაში ნაპოვნი მოზაიკებით მოტივირებული ბევრი მცხოვრები დაინტერესდა მოზაიკების კეთებით. ამგვარად, შეიქმნა დიონის მოზაიკის ხმელთაშუა ზღვის ცენტრი, არქეოლოგიური მუზეუმის გვერდით. აქ ყოველ წელს სოფლის მცხოვრებნი და სხვა

ადგილებიდან მოსული ხალხი სწავლობს მოზაიკის კეთების ხელოვნებას და აწარმოებენ მოზაიკის პროექტებს.

ამგვარად, ადგილი, რომელიც არის დინამიური აგრარული რაიონი, იძენს ყველა იმ პირობას - კულტურულ-არქეოლოგიური ინფრასტრუქტურის არსებობის გამო - რაც საჭიროა ტურიზმის განვითარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ადგილზე შემოსავლების ზრდას.

რეკომენდაციების და ინიციატივები

თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულს, როცა ის ცდილობს საკუთარი განვითარების შესაძლებლობებში ჩარევას და ზეგავლენის მოხდენას, სჭირდება სტრატეგია, რომელიც ეყრდნობა ადგილობრივი ეკონომიკის ცალკეული ფაქტების დიაგნოზს და შეფასებას, და ასევე მას სჭირდება არსებული კონკურენტული უპირატესობების გაძლიერება წამყვან დარგებში. მან არსებითად უნდა მოაგვაროს ადგილზე არსებული სისუსტეები, რომლებიც დაკავშირებულია წარმოების სტრუქტურასთან, ადამიანურ რესურსებთან და ინფრასტრუქტურასთან.

შესაბამისად, დიონის განვითარების სტრატეგიამ უნდა შექმნას პირობები მეწარმეობის წახალისებისთვის - ძირითადად პირველად სექტორში, საწარმოო ბაზის გამდიდრებისთვის და გაფართოებისთვის, ადგილის რეკლამირებისთვის თანამედროვე მარკეტინგის მოთხოვნების შესაბამისად.

და ბოლოს, ყოველი სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ფართო სოციალურ თანხმობას, უნდა იყოს დამარწმუნებელი და მოტივაციის მიმცემი ყველა სოციალური და ეკონომიკური ფენისთვის, რომელიც ჩართულია განვითარების პროცესში. ეს შეიძლება გაკეთდეს მონაწილეთა ჩართულ ჯგუფთან ერთად PACA-ს განვითარების პროექტში.

ადგილი, მისი გეოგრაფიული მდებარეობის, არქეოლოგიური პარკის, მითიური ოლიმპოს და პირველადი წარმოების საშუალებით, დიდწილად განსაზღვრავს მის სოციალურ ევოლუციას და ეკონომიკურ განვითარებას. ოლიმპოს ბუნებრივი სილამაზის შეხამება არქეოლოგიურ მონუმენტებთან და დიონის მუზეუმთან ქმნის ხელსაყრელ პირობებს ტურისტული აქტივობების განვითარებისთვის და ალტერნატიული ტურიზმის ფორმებისთვის. გარდა ამისა, არსებობს იდეალური პირობები მაღალი ხარისხის პროდუქტების წარმოებისთვის, როგორებიცაა კივი, სუფრის ყურძენი და ყველის პროდუქტები.

დიონის ზონის სტრატეგიული განვითარების ფარგლებში, როგორც ნაჩვენები იყო არსებული სიტუაციის მონაცემების ანალიზით, შეთავაზებულია ქმედებები, რომლებიც მიმართულია შემდეგი მიზნებისკენ:

- მდგრადი ურთიერთობა აგრარულ აქტივობას, ბუნებრივ გარემოს და ტურიზმს შორის;
- აგრარული წარმოების ტიპი, რომელიც ფოკუსირებულია ბაზარზე, სერტიფიცირებულ ხარისხზე და ტრადიციაზე.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, დიონის ზონაში შემდეგი შესაძლებლობები / ქმედებები არის დადგენილი:

- ადგილის რეკლამირება / ჟურნალისტების მოწვევა, რომლებიც წერენ ეროვნული / დარგობრივი მასმედიისთვის
- ტურიზმის სპეციალური ფორმების განვითარება, როგორებიცაა რელიგიური, კულტურული, მთამსვლელობითი, კლდეზე ცოცვა და ა.შ.
- საფეხმავლო მარშრუტების ორგანიზებული ქსელის განვითარება ოლიმპოს მთაზე
- კავშირი სხვა ქვეყნების და საბერძნეთის სხვა რეგიონების ტურისტულ სააგენტოებთან, ტურისტების მოსაზიდად დიონში
- ადგილობრივი ხალხური რეწვის პროდუქტების წარმოების და გაყიდვის გაძლიერება, როგორებიცაა მოზაიკა და ხალხური ქსოვის ნივთები

- სემინარები მცხოვრებთათვის ადგილობრივი ხალხური რეწვის პროდუქტების წარმოებაზე, როგორებიცაა მოზაიკა, თიხის ჭურჭელი, ხალხური ნაქარგები
- ადგილობრივი ხელნაკეთი პროდუქტების რეკლამირება და მათი წარმოების ნოუ-ჰაუს გავრცელების ხელშეწყობა (მოზაიკები, თიხის ჭურჭელი, ქსოვილები, ჯემები, ტრადიციული ტკბილეული)
- ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვის წერტილების შექმნა და ამ პროდუქტების ინტეგრაცია კულტურულ-ტურისტულ მარშრუტებში
- „ფერმერების ბაზრობის“ გაძლიერება
- ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება / ტრენინგი ახალი ტექნოლოგიების შესახებ (ინტერნეტი)
- ბრენდირებული და სერტიფიცირებული აგრარული პროდუქტების რეკლამირება / დაჯ-გუფება და ხელშეწყობა წარმოების ნოუ-ჰაუს და წარმოებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარების (კივი, რძის პროდუქტები, როგორიცაა ყველი, ღვინო) შესახებ ტრენინგების საშუალებით
- აგრარული პროდუქტების და წარმოების ნოუ-ჰაუს (თაფლის პროდუქტები, ჯემები, ტრადიციული ტკბილეული) რეკლამირება / დაჯგუფება
- სპეციალიზებული პროდუქტების რეკლამირება ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის წყაროების დარგში, ნოუ-ჰაუს გადაცემასთან ერთად

პეტრას და პიერიას მუნიციპალური ერთეულები

ჩარევის ადგილი შედგება პიერიას მთიანი ზონის დასახლებებისგან, რაც წარმოადგენს ფუნქციონალურ გაფართოებას ქვეყნის უმაღლესი მთის ოლიმპოს ჩრდილოეთით, და შეიცავს პიერიას მუნიციპალური ერთეულის დასახლებებს და პეტრას მუნიციპალური ერთეულის დასახლებებს.

ეს არის ყველაზე მთიანი და მეჩხერად დასახლებული ადგილები პიერიაში, მოსახლეობის ყველაზე დაბალი სიმჭიდროვით რეგიონულ ერთეულში, რომელიც შეადგენს 26.88 ადამიანს კვ. კმ.-ზე პეტრას მუნიციპალური ერთეულისთვის და 22.55-ს პიერიას მუნიციპალური ერთეულისთვის (პრეფექტურაში მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე 83.35 ადამიანია კვ. კმ.-ზე). ტექნიკური ინფრასტრუქტურის ნაკლებობის გამო პრობლემები განსაკუთრებით გაიზარდა.

ადგილის მთიანი ხასიათი, ინფრასტრუქტურის ნაკლებობა, კავშირის არარსებობა პეტრას და პიერიას მთიან დასახლებებს შორის და მიწის დაბალი ნაყოფიერება იწვევს პრობლემების დაგროვებას. დემოგრაფიულ დონეზე პოპულაცია არ იზრდება, რის გამოც ხდება მოსახლეობის დაბერება.

ადგილის კონკურენტული უპირატესობები ქვემოთ არის მოყვანილი:

- მდიდარი ბუნებრივი გარემო პიერიას მთიან ზონაში
- ელატოჩორის სამთო-სათხილამურო კურორტი
- მოკლე მანძილი სანაპირო ზოლამდე და საქალაქო ცენტრებამდე
- სიახლოვე თესალონიკთან, რომელიც არის სიდიდით მეორე ქალაქი ქვეყანაში

- ტრადიციული დასახლებები, ტრადიციული არქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუშებით
- განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები აგროტურიზმის განვითარებისთვის
- მიწათმოქმედების და მესაქონლეობის ხარისხიანი პროდუქტების წარმოება
- მწარმოებლების ორგანიზებული კოოპერატივები
- კომპანიების სპეციალიზაცია ადგილობრივი განვითარების პრობლემებზე
- ინტეგრირებული განვითარების საკითხებში მგრძნობიარე ადგილობრივი მოსახლეობა
- კულტურული მემკვიდრეობა და კულტურული ღონისძიებები
- მონასტრები და მრავალრიცხოვანი ბიზანტიური ეკლესიები
- იდეალური მიკროკლიმატი რეგიონში - თერაპიული ჰავა
  http://pieria-tourism.gr/dimos-petras.html - #

ეკონომიკური აქტივობების ძირითადი სექტორები

შესწავლის არეალში პირველად სექტორში (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მეტყევეობა) დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი მაღალია და 70%-ს აჭარბებს, აშკარა განსხვავებით პიერიასა და დანარჩენ ქვეყანას შორის. ადგილობრივი ეკონომიკა ძირითადად პირველად სექტორს ეყრდნობა, რეგიონის მთიანი რელიეფის გამო.

ადგილის უდიდესი ნაწილი ხასიათდება, როგორც ტყიანი ზონა. დამახასიათებელი ელემენტია ტყიანი მიწების საკუთრების რამდენიმე ფორმა, რადგანაც არის სახელმწიფო საკუთრება, კერძო ტყეები და ტყეები შერეული სახელმწიფო-კერძო საკუთრებით.

ბოლო დეკადის განმავლობაში, აგროტურიზმის დარგი განვითარდა ელატოჩორიში არსებული სამთო-სათხილამურო კურორტის წყალობით. რეგიონს აქვს ტურისტების განსა-თავსებელი ახალი ხარისხიანი დაწესებულებების დიდი რაოდენობა და საკვები და დასასვენებელი ობიექტები, რომელთა მუშაობა დიდად არის დამოკიდებული სათხილამურო ცენტრის მუშაობაზე. პიერიას მთიან ზონაში არის ტრადიციული დასახლებები, როგორებიცაა პალიო ელატოჩორი და მორნა, ისევე როგორც დასახლებები შესანიშნავი არქიტექტურული და ურბანული ელემენტებით, როგორებიცაა აგიოს (წმინდა) დიმიტრიოსი და ანო (ზემო) მილია. ეს არის ტრადიციული არქიტექტურის მაგალითები და ლანდშაფტთან და მთების ბუნებასთან ერთად, ქმნიან ძველი დასახლებების საინტერესო ქსელს, რომელიც შეიძლება იყოს მიზიდვის წერტილი ტურისტებისთვის, იძლევა რა ალტერნატიული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას.

ბოლო წლებში, მითითებული ადგილის ეკონომიკა, ისევე როგორც მთელი ქვეყნის ეკონომიკა, დაზარალდა ეკონომიკური კრიზისის გამო, რამაც გამოიწვია საბერძნეთის ეკონომიკის ყველა სექტორის რეცესია.

ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი დარგების კონკურენტულობა

აგროტურიზმი

ბოლო წლებში, აგროტურიზმი მნიშვნელოვნად განვითარდა და მიუხედავად ყველა პრობლემისა, რომელსაც ის აწყდება, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რეგიონის მოსახლეობის შემოსავალში და დასაქმებაში.

ტურისტული ობიექტები რეგიონში იყოფა სასტუმროებად და ოთახებად ან ბინებად, რომლებიც ქირავდება. განთავსების ობიექტების უდიდესი რაოდენობა არსებობს ელატოჩორიში, დაახლოებით 500 საწოლის ოდენობით, რეგიონში სათხილამურო ცენტრის არსებობის გამო. გარდა ამისა, ელატოჩორის რეგიონში არის სასტუმრო სახლები - ავეჯით გაწყობილი სახლები, ძირითადად ოჯახების მისაღებად. ტურისტების ნაკადის დიდი ნაწილი ზამთრის თვეებზე მოდის და ძირითადად უიქენდებზე და დასვენების დღეებზე.

აგროტურიზმის დარგის კონკურენტულობის ანალიზი შემდეგ ძლიერ და სუსტ მხარეებს აჩვენებს:

ძლიერი მხარეები	სისუსტეები
▪ ელატოჩორის სათხილამურო ცენტრი ▪ სიახლოვე სანაპირო ზოლთან ▪ ტრადიციული დასახლებები არქიტ-ექტურული მემკვიდრეობის თვალ-საჩინო ელემენტებთან ერთად ▪ პროფესიონალთა და მცხოვრებთა სტუმართმოყვარეობა ▪ ადგილობრივი განვითარების საკი-თხებში მგრძნობიარე მოსახლეობა	▪დამოკიდებულება სათხილამურო ცენტრის მუშაობაზე ▪ტურიზმის ძლიერი სეზონურობა (ზამთარი), მაშინ როცა არსებობს ტურიზმის ზაფხულის აქტივობის შესაძლებლობაც ▪ადგილობრივი ბაზრიდან მოთხოვნის ვარდნა ფინანსური კრიზისის გამო ▪მნიშვნელოვანი რეკლამირების შეუძლებლობა ადგილობრივი კომპანიების ფინანსური მდგომარეობის გამო ▪კავშირის დაბალი დონე სამთო და საზღვაო ტურიზმს შორის ▪მნიშვნელოვანი ადგილების რეკლამის უქონლობა, რომელთა მონახულება შესაძლებელია ▪ტურიზმის დარგის არასაკმარისი კავშირი ადგილზე წარმოებულ პროდუქტებთან

აგროტურიზმის დარგის ანალიზის შედეგად, დადგინდა **დარგის პრობლემები**, რომლებიც **ძირითადად მომდინარეობს ჩართული კომპანიებისგან:**

- ➢ ორგანიზებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ტურიზმის ალტერნატიული / სპეციალური ფორმებისთვის
- ➢ მისვლის პრობლემა მთავარი გზის ცუდი მდგომარეობის გამო
- ➢ საგზაო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა მთის დასახლებებთან დასაკავშირებლად
- ➢ წყლის მიწოდების და კანალიზაციის ინფრასტრუქტურის ნაკლებობა
- ➢ გზების არასაკმარისი აღნიშვნა საგზაო ნიშნებით
- ➢ გზების არასაკმარისი სისუფთავე
- ➢ არასტაბილური საგადასახადო სისტემა და მაღალი გადასახადები
- ➢ მიწათსარგებლობის / ინსტიტუციონალური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ნებართვების გაცემასთან

აგრარული სფერო

მითითებულ რაიონში მოსახლეობის ყველაზე დიდი პროცენტი დასაქმებულია პირველად სექტორში (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და მეტყევეობა), მაგრამ ადგილი არ შეიძლება დახასიათდეს, როგორც დინამიური სოფლის მეურნეობის დარგისთვის.

სასოფლო-სამეურნეო მიწა მნიშვნელოვან წილად გამოიყენება მარცვლეული კულტურებისთვის (რბილი ჯიშის ხორბალი, მაგარი ჯიშის ხორბალი, ქერი და შვრია), ხოლო თამბაქოს მოყვანა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მარცვლეული კულტურების დომინირება შედეგია იმ დახმარებისა, რომელსაც ამ პროდუქტებს უწევს ევროკავშირი. თუმცა, თამბაქოს კულტივირება უზრუნველყოფს აგრარული შემოსავლის ძირითად ნაწილს, ამავე დროს მოითხოვს სამუშაო ძალის მნიშვნელოვან ნაწილსაც.

ალუბალი რაჩიდან

თამბაქო, კატერინის ჯიში

ალუბალი რაჩიდან

პეტრას რაიონში და უფრო კონკრეტულად, დასახლება რაჩიში, ერთობ დინამიურია ალუბლის ხეების კულტივირება. ნაბიჯებია გადადგმული, რომ რაჩის ალუბალი გახდეს დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის პროდუქტი ევროკავშირის პროცედურების შესაბამისად.

დასახლებებში ლოფოსი და რაჩი 3 აგრარული კოოპერატივია აქტიური. ყველაზე აქტიური და დინამიური კოოპერატივია „აგიოს ლუკასი“, რომლის წევრთა რაოდენობა 230-ს აღემატება და რომლის მთლიანი კულტივირებული ფართობი ალუბლის ხეებისთვის არის 2 000 სტრემა (1 სტრემა უდრის 1000 კვ. მ.-ს). მისი პროდუქტები მოიცავს ალუბალს, ვაშლებს და გარგარს. ისინი ხარისხის მიხედვით სერტიფიცირებული არიან, რაც შეეხება კულტივირების, წარმოების, სტანდარტიზაციის და ვაჭრობის პროცედურებს და გააჩნიათ სპეციალური ხარისხის ნიშანი AGRO, CLOBAL GAP და ISO 22000.

აგრარული დარგის კონკურენტულობის ანალიზი შემდეგ უპირატესობებს და სისუსტეებს აჩვენებს:

ძლიერი მხარეები	სისუსტეები
▪ ყველა დასახლებაში არსებობს ადგილობრივი აგრარული კოოპერატივები - მწარმოებელთა ჯგუფები ▪ სერტიფიცირებული ხარისხიანი პროდუქტი „ალუბალი რაჩიდან“ ▪ ალუბლის შენახვის, გაცივების, სტანდარტიზაციის ობიექტები დასახლება რაჩიში	• სიმაღლე ზღვის დონიდან და მიკროკლიმატი არ არის ხელსაყრელი სხვადასხვა კულტურის მოყვანისთვის, ალტერნატიული გადაწყვეტებისთვის ფერმერებისთვის • სასოფლო-სამეურნეო მიწები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს და შეადგინონ დამუშავებული მიწის ფართობი, ძალიან ცოტაა • მორწყული ფართობის პროცენტი ბევრად მცირეა სხვა რეგიონებთან შედარებით (დაახლ. 25%) • აგრარული მეურნეობების მცირე ზომები • აგრარული მასალების, სასუქების და ა.შ. მაღალი ფასები • წარმოების (ძირითადად ალუბლის) დამოკიდებულება ამინდზე, განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში

რეკომენდაციები და ინიციატივები

⇒ პიერიას მთიანი რეგიონის წყლის რესურსების გამოყენება ეფექტური მორწყვისთვის
⇒ მთის მიწების გამოყენება სანელებლების მცენარეების კულტივირებისთვის და სტანდარტიზაციის - გადამუშავების ობიექტების შექმნა
⇒ დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა რაჩის ალუბლებისთვის
⇒ მცირე ზომის ობიექტების შექმნა ორგანული პროდუქტების (წაბლი, კაკალი, თაფლი, ვაშლი, ხილი და ბოსტნეული) წარმოება-სტანდარტიზაცია-გადამუშავებისთვის
⇒ ორგანული სერტიფიცირებული პროდუქტების მოყვანა
⇒ ადგილობრივი პროდუქტების პრეზენტაცია და რეკლამირება ადგილობრივი სამზარეულოს და დეგუსტაციების საშუალებით
⇒ ადგილობრივი პროდუქტების დაკავშირება რეგიონის საზკვების და ტურისტების მიღების ბიზნესებთან

აგრარული პროდუქტების სტანდარტიზაცია - გადამუშავება

შესწავლის ადგილას, აგრარული პროდუქტების სტანდარტიზაციის და გადამუშავების შემდეგი ობიექტებია აქტიური:

⇒ 1 ობიექტი ალუბლის ცივი შენახვისთვის, ფართობი 1600 კვ. მ., სტანდარტული მოწყობილობებით და ხარისხის სერტიფიცირებული სისტემით, რაჩიში
⇒ 1 ღვინის ქარხანა რაჩიში, 35 სტრემას ფართობის ვენახით, სადაც სერტიფიცირებული ორგანული წარმოება და ღვინის დაყენება ხორციელდება, საერთაშორისო აღიარებით (ვერცხლის მედალი საერთაშორისო კონკურსზე ბრიუსელში 2011 წელს - Concours Mondial de Bruxelles)
⇒ 1 ღვინის ქარხანა მილიაში
⇒ 1 ალუბლის მოსავლის საცავი და სტანდარტიზაციის ობიექტი, 360 კვ. მ. ფართობზე, რაჩიში
⇒ ციფუროს 3 გამომხდელი მილიაში და 1 გამომხდელი რაჩიში, რომლებიც იყენებენ მათი ვენახების პროდუქციას

საქონლის მოშენება

შესწავლის რაიონში არსებობს მოშენებული საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობა, ძირითადად თხები და ცხვრები, ასევე ღორები. საქონლის მოშენების მეურნეობების ტრადიციული ხალხური ფორმა დამახასიათებელია მათთვის, ვინც დასაქმებულია მხოლოდ საქონლის მოშენებაში (ცხვრები და თხები), მაშინ როცა ვრიას და რიტინის მუნიციპალურ რაიონებში არსებობს ღორების მოშენების მნიშვნელოვანი ობიექტები, საქონლის მნიშვ-ნელოვანი რაოდენობით და მთლიან აგრარულ შემოსავალში სერიოზული მონაწილეობით.

აგრარული სექტორის კონკურენტულობის ანალიზი გვიჩვენებს შემდეგ უპირატესობებს და სისუსტეებს:

ძლიერი მხარეები	სისუსტეები
▪ საქონლის დიდი რაოდენობა რეგიონში ▪ ღორების მოშენების თანამედროვე და დინამიური ობიექტები დასახლება ვრიაში	▪ წარმოების მაღალი ფასი, წამლებზე და საკვებზე მაღალი ფასის გამო ▪ პატარა და საოჯახო მეურნეობები დაბალი პროდუქტიულობით ▪ თანამედროვე სადგომების ნაკლებობა ▪ ობიექტების მოდერნიზაციის ნაკლებობა მექანიკური მოწყობილობების მიწოდებით ▪ დეგრადირებული საძოვრები ინტენსიური ძოვისგან ▪ საჭირო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა პროდუქტების ვაჭრობისთვის (რძე, ხორცი) კოოპერატიულ ორგანიზაციებში

პიერიას მთები ყველაზე ტყიან მთებს შორისაა საბერძნეთში, ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეებით, სახეობების მრავალფეროვნებით, რაც მაღალი ხარისხის მერქანს იძლევა. ეს ერთ-ერთ ყველაზე ადვილად მისადგომ მთიან რაიონად ითვლება ქვეყანაში და იდეალურია დასვენების და ბუნების დაცვის შესახებ განათლების აქტივობებისთვის.

დარგის მთავარი **პრობლემები** შემდეგია:

- სატყეო სამსახურის დაცემული რეპუტაცია, რაც იწვევს ტყეების არასაკმარის დაცვას
- პიერიას ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხნის მუშაობის შეჩერება
- გაზრდილი უკანონო ჭრა

რეკომენდაციები და ინიციატივები

შესწავლის არეალი მთიანი, აგრარული მხარეა, გაზრდილი პრობლემებით, რაც უკავშირდება ინფრასტრუქტურის ნაკლებობას და განვითარების რესურსების შეზღუდულობას, ზრდის დაბალი ტემპებით. თუმცა, მას გააჩნია მნიშვნელოვანი პირველადი რესურსები, ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული გარემოს თვალსაზრისით, რამაც შეიძლება შექმნას ადგილობრივი განვითარების საფუძველი. განვითარება ძირითადად მიმართულია მოსახლეობის დაკავებაზე ადგილზე, დასაქმების, შემოსავლის ალტერნატიული წყაროების შექმნის და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საშუალებით.

ადგილობრივი განვითარება არის პროცედურა, რომელსაც სჭირდება მეთოდური ძალისხმევა ადგილობრივი სოციალური დინამიკის მიერ, მკაფიო მიზნებით და ინიციატივების პრიორიტეტების დასახვით. ტურიზმის ალტერნატიული ფორმების განვითარება მოწოდებული სერვისების განახლებასთან და ადგილობრივი ტრადიციული პროდუქტების რეკლამირებასთან ერთად მიზნად ისახავს ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას, ტურიზმიდან შემოსავლების გაზრდას, რაც დაემატება აგრარულ შემოსავალს, და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

<u>**შეთავაზებული ჩარევები:**</u>

- პიერიას მუნიციპალურ ერთეულამდე და ელატოჩორის სამთო-სათხილამურო ცენტრამდე მისასვლელი გზების ქსელის გაუმჯობესება
- მთიან დასახლებებს შორის დამაკავშირებელი გზების ინფრასტრუქტურის შექმნა
- სასმელი წყლის და კანალიზაციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომ მოხდეს დასახლებების მოთხოვნების დაკმაყოფილება პიკურ პერიოდებში
- არქეოლოგიური კერების და ძეგლების პოტენციალის ხელშეწყობა მათთან წვდომის გაუმჯობესებით, განთავსების ობიექტების და საინფორმაციო წერტილების ორგანიზაციით და ფუნქციონალური ინტეგრაციით, რუკაზე დატანის და აღნიშვნების მოწყობის საშუალებით
- შერჩეულ ადგილებში წყლის რეზერვუარების აგება სარწყავად
- მცირე წვდომის ინფრასტრუქტურა (შიდა გზები, ქსელები) ხალხური რეწვის და კომერციული პროფესიული აქტივობების განსაზღვრულ ადგილებში
- სამთო მარშრუტების ორგანიზაცია ბილიკების ქსელით, აღნიშვნებით და შუალედური გადმოსახედი ადგილებით. მოვლა და სისუფთავე გარანტირებული უნდა იყოს (ტუალეტები, წყაროები, ნაგვის ურნები და ა.შ.)
- ინფრასტრუქტურის და ნაგებობების შექმნა მთის სხვადასხვა წერტილებში, მთაზე ასვლისთვის და საფეხმავლო მარშრუტებისთვის

- სპორტული ტურიზმის აქტივობების ორგანიზაცია (ველოსიპედი, კლდეზე ცოცვა, ცხენოსნობა) ტყეებში არსებული გზების და ბილიკების ქსელში, ტურისტების განთავსების ობიექტებით და ფერმებით სასტარტო წერტილების როლში
- სათხილამურო ცენტრის გაფართოება - დასრულება, ხელოვნური თოვლის დანადგარები
- ალპინისტური კურორტების SEO (ანო მილია) და EOS (საკარაცანა) მოდერნიზაცია და გაფართოება სპორტული დანადგარების გაკეთებით და ალპინისტური ბანაკების შექმნით
- რეკლამირება და საჯაროობის აქტივობები, ვირტუალური ტურების ვებგვერდის და ბროშურების / გზამკვლევების შექმნის საშუალებით
- კავშირი ტურისტულ აგენტებთან / ოპერატორებთან სპეციალიზებული ტურისტული პაკეტების შესაქმნელად ადგილისთვის
- ბრენდული და სერტიფიცირებული აგროპროდუქტების რეკლამირება / დაჯგუფება და ხელშეწყობა წარმოების ნოუ-ჰაუს და საჭირო მანქანა-დანადგარების შესახებ ტრენინგების საშუალებით (ალუბალი, ღვინო)
- აგროპროდუქტების და წარმოების ნოუ-ჰაუს რეკლამირება / დაჯგუფება (ჯემები, ტრადიციული ტკბილეული)
- სპეციალიზებული პროდუქტების ხელშეწყობა ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის წყაროების დარგში, ნოუ-ჰაუს გადაცემასთან ერთად

სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ განხორციელდეს მცირე მასშტაბის და გარემოს არადამაზიანებელი ჩარევები ესთეტიურობის ხარისხის დაცვით

მოლდოვა

მოლდოვა, ანუ ოფიციალურად მოლდოვას რესპუბლიკა, ასევე ცნობილი როგორც მოლდავეთი, არის სახმელეთო ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც მდებარეობს რუმინეთსა (დასავლეთით) და უკრაინას (აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით) შორის. მისი დედაქალაქია კიშინიოვი. მოლდოვა მდებარეობს 45° და 49° განედებს შორის და ძირითადად 26° და 30° მერიდიანებს შორის. მთლიანი ფართობია 33 851 კვ. კმ. ქვეყნის ყველაზე დიდი ნაწილი მდებარეობს ორ მდინარეს, დნესტრსა და პრუტს შორის. მოლდოვას დასავლეთ საზღვარს წარმოადგენს მდინარე პრუტი, რომელიც ერთვის დუნაის მის ჩადინებამდე შავ ზღვაში. მოლდოვას დუნაიზე გასასვლელი აქვს მხოლოდ 480 მ მანძილზე და გურგულეშტი ერთადერთი მოლდავური პორტია დუნაიზე. აღმოსავლეთში მთავარი მდინარეა დნესტრი, რომელიც ჰკვეთს ქვეყანას ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. მისი შენაკადებია რაუტი, ბაკი, იკელი, ბოტნა. ლალპუგი ჩაედინება დუნაის ერთ-ერთ ლიმანში, ხოლო კოგალნიკი ლიმანების შავი ზღვის ჯაჭვში.

PACA კიშკარენის, სიპკას და დომულგენის თემებში

- ⇨ კიშკარენი - ერთ-ერთი უძველესი დასახლება მოლდოვაში (>9 საუკუნე);
- ⇨ ახალი გზატკეცილის კიშინიოვი - ბელცის ახლოს, მდინარე ჩულუკულ დე მიჟლოკის ნაპირას;
- ⇨ 110 კმ. დედაქალაქის ჩრდილოეთით და 28 კმ ბელცის მუნიციპალიტეტის სამხრეთით;
- ⇨ სოფელი კიშკარენი - 3 სოფლის თემის ცენტრია: კიშკარენი, სლობოზია-კიშკარენი და ნიკოლაევკა;
- ⇨ მოსაზღვრე სოფლები: ტაურა, ბურსუკენი, ფლამანცენი, კოშკოდენი, ლეზარენიი ვეჩი, ბილიკენი ვეჩი, კოადა ლაზულუი, პოამპა, გლინგენი;
- ⇨ სხვადასხვა სიმაღლეები, ბორცვიანი რელიეფი, ხრამები და დაბლობები.



მოსახლეობა

- ⇨ 8437 მცხოვრები - თემი;
- ⇨ 5831 მცხოვრები - სოფ. კიშკარენი (იხ. ნახ);
- ⇨ 1914 ადამიანი - გავიდა ქვეყნიდან.

ინფრასტრუქტურა

- ⇨ 12 ტბა მთლიანი ფართობით დაახლ. 110 ჰა;
- ⇨ სახნავ-სათესი მიწა - 4 377 ჰა, ვენახები - 30 ჰა, ბაღები - 185 ჰა, ტყეები - 1500 ჰა;
- ⇨ 2 ბაზარი: საქონელი და მოსავალი, ისევე როგორც სამრეწველო საქონელი და საკვები პროდუქტები (ცნობილია რაიონში);
- ⇨ ადგილობრივი რადიო ყოველდღიური გადაცემებით, რაც ხელს უწყობს თემის განვითარებას;
- ⇨ მრავალი სპორტსმენი ძიუდოში, რომლებსაც თვალსაჩინო შედეგები აქვთ ევროპულ ტურნირებზე;
- ⇨ კიშკარენი ერთ-ერთი თემია, რომელსაც ყველაზე დიდი რაოდენობა აქვს ინტერნეტთან მიერთებული კომპიუტერების. ეს არის ელექტრონიკის წრე შემოქმედების და თავისუფალი დროის კიშკარენის ცენტრში;
- ⇨ ბანკა დე ეკონომიის 1 ფილიალი, ვალუტის გაცვლის პუნქტით და 1 ბანკომატით;
- ⇨ სათემო ცენტრი (გარემონტებულია): შვიდი სამსახიობო ჯგუფი, რომელთაგან 4-ს აქვს სახელწოდება „მოდელი“;
- ⇨ 1 საშუალო სკოლა, 1 რუსული გიმნაზია, 1 შემოქმედების და თავისუფალი დროის ცენტრი, 2 ეკლესია, 2 საჯარო ბიბლიოთეკა, 1 ჯანდაცვის ცენტრი, 3 საბავშვო ბაღი, 1 სპორტული სკოლა, 1 საფოსტო ოფისი, 1 სტადიონი და 1 საჯარო ბაღი.

ტურისტული ღირშესანიშნაობები

- ⇨ ბორცვები, გორაკები სახელებით, რომლებიც უკავშირდება წარსულის მოვლენებს: ბრადა, ბაჰატოაია, მოვილა ლუი გუსარიკ, კინიკიშტი, რადი;
- ⇨ ხეობები და დაბლობები მიმზიდველი ბუნებით: ჰარტოპ, ჰარტოას, გრადინილე ნოი;
- ⇨ წმ. ნიკოლოზის ეკლესია (ძვირფასი ხის ხატები ძველი ეკლესიიდან, თარიღდება 1782 წლით);

- ⇨ რეგიონული ფესტივალები პოპულარული მუსიკალური ჯგუფების და თეატრების მონაწილეობით;
- ⇨ კასოს ბორცვი - მემამულის სახლის და მიმდებარე პარკის ელემენტი. ნიკოლაე კასო - წიგნების კოლექციონერი, რომელმაც დააარსა მდიდარი ბიბლიოთეკა და სამხატვრო გალერეა;
- ⇨ ბოიარ კასომ ააშენა ორი სკოლა „მემამულის ბაღში“ წითელი აგურისგან, ერთ-ერთი მათგანი გადაკეთდება მუზეუმად;
- ⇨ ტყეები დიდ ტერიტორიაზე, რედიულის ბორცვი, ხოხბების რეზერვაცია მოწყობილი ადგილებით. ფაუნა შედგენა დათვებისგან, მელიებისგან, ირმებისგან, კურდღლებისგან. არის ტბები გედებით. ტყეს გააჩნია „მონადირის სახლი“ - საცხოვრებელი და თავისუფალი დროის გასატარებელი ადგილი, პავილიონებით და მწვადის შესაწვავი ადგილებით;
- ⇨ დასასვენებელი ბანაკი კაკლის ხეების კორომში, პავილიონებიანი ტბის ახლოს, სტადიონი და დიდი რაოდენობის გამწვანებული ადგილები;
- ⇨ პოპულარული ოსტატები, რომლებიც ქსოვენ ხალიჩებს, ქარგავენ, ხეზე მუშაობენ, წნელებისგან წნავენ ნივთებს.

ეკონომიკური სექტორის ანალიზი

ეკონომიკური პოტენციალი, ისევე როგორც არსებული ეკონომიკური სტრუქტურა ძირითადად აგრარულია, რაც კიშკარენის თემს დიდ დახმარებას აძლევს მომავალი განვითარებისთვის. ეს სიტუაცია ძლიერდება დასახლებული პუნქტის პოზიციით რაიონში, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური, დემოგრაფიული და სოციალური უპირატესობები, საიდანაც გამომდინარეობს თემის განვითარების ფენომენი. აქ არის კერძო საწარმოები და აგრობიზნესები, მეთევზეობა, მეტყევეობა. თემში 33 ეკონომიკური ერთეულია, 450 სასოფლო საოჯახო მეურნეობა და მომსახურების მომწოდებელი: განათლების, სამედიცინო, საკვები პროდუქტების. სოფლის მოსახლეობის 70% აგრარულ სფეროშია დასაქმებული, ხოლო ახალგაზრდების უმრავლესობა საზღვარგარეთ არის წასული, სამუშაოდ ან სასწავლებლად.

რეგისტრირებული ეკონომიკური ერთეულები

ნო.	სახელი	სფერო	დასაქმ. რაოდ.
1	ÎCS Logitex-Future	შეკერილი ნივთების წარმოება	130
2	SRL,,Roșiori-Lux"	აგრარ. ზეთსახდელი, 2.15 ჰა	50
3	SRL,,Valmeh-Com"	წისქვილი	4
4	SRL,,Camenic"	მიწათმოქმედება	5
5	SRL,,Madinim-Lia"	მიწათმოქმედება	7
6	CAP,,Dumbrava-ciobanului"	ცხვრების, ღორების, ბატების ფერმა	5
7	COOP Asidantera	აგრარული სერვისები	4
8	SA,,Pește"	თევზის მოშენება და გაყიდვა	4
9	ÎI,,Cumpătă Vitalie	სხვადასხვა პროდუქტების გაყიდვა	2
10	ÎI,,Vașchevici Elena"	სხვადასხვა პროდუქტების გაყიდვა	3
11	ÎI,,Prisacari Victor"	სხვადასხვა პროდუქტების გაყიდვა	2
12	ÎI,,Mihaela Tabarcea"	სხვადასხვა პროდუქტების გაყიდვა	8
13	ÎI,,Sobat-Piaticovschi'	სხვადასხვა პროდუქტების გაყიდვა	7
14	SRL,,Orhdonc"	საწვავის სადგური	4
15	SC SRL,,Comerț-Gaz"	გაზის მოწოდება	2
16	ÎI,,Elena Bușanu"	სხვადასხვა პროდუქტების გაყიდვა	4

17	SRL,,Fastard"	საშენი მასალების გაყიდვა	3
18	AEÎ,,Chișcăreni"	სესხების სერვისი	2
19	SRL,,Bucate Împărătești"	სხვადასხვა პროდუქტების გაყიდვა	2
20	ÎI,,Laur Goraș"	ფარმაცევტული პროდუქტების გაყიდვა	2
21	ÎM "Servcom-Chișcăreni"	სასმელი წყლის მოწოდების სერვისი	7
22	SRL "Radio-Anunț"	სარეკლამო მომსახურება	3
23	ÎI "Șaruc Boris"	აგრარული სფერო	4
24	ÎI "Cioina Vasile"	ფილების დამზადება	2
25	ÎI "Cosciuc Vladimir„	სატრანსპორტო მომსახურება	2
26	SRL "Vital-Tudor"	მიწათმოქმედება, ბაღები	5
27	GT "Panu Marin"	მიწათმოქმედება, ბაღები	n/a
28	GT" Spănu Timofei"	მიწათმოქმედება, მომსახურება	n/a
29	GT "Turtureanu Ana"	მიწათმოქმედება	n/a
30	GT "Spinu Andrei"	მიწათმოქმედება	n/a
31	GT "Spinu Marina"	მიწათმოქმედება	n/a
32	GT„Turea Gheorghe"	მიწათმოქმედება	n/a
33	GT "Climovici Olga"	მიწათმოქმედება	n/a

- ⇨ ყველაზე მნიშვნელოვანი საწარმოა Roșiori-Lux SRL. კომპანიას პარტნიორული ურთიერთობები აქვს პოლონეთთან, უნგრეთთან, რუსეთთან და უკრაინასთან.
- ⇨ მენეჯმენტის ხარისხი უზრუნველყოფს უძრავი ქონების მოვლა-შენახვას, მოსავლის, ვაშლის ბაღების (რომელთაც წვეთოვანი მორწყვა აქვთ), საზამთროს პლანტაციების მაღალ ხარისხს და ა.შ.
- ⇨ ვასილე ტურტურეანუს სასოფლო ფერმა ჰყიდის კვერცხებს და მწყრის ხორცს.
- ⇨ რამდენიმე ოჯახი მეფუტკრეობით არის დაკავებული (დაახლოებით 20 ფერმა).

პროექტები

აგრარული ნარჩენების განახლებადი ენერგიის საპილოტო პროექტი იქნა განხორციელებული კიშკარენიში. სკოლის სამსართულიანი შენობა და გიმნაზიის შენობა ამ პროექტის საშუალებით თბება.

მოლდოვას სოციალური ინვესტიციების ფონდის მხარდაჭერით აშენდა სასმელი წყლის მოწოდების სისტემები და ორი ქუჩა შეკეთდა.

ადგილის ეკონომიკური უპირატესობები

სემინარის მუშაობის შედეგად (ჰიპოთეზების წამოყენება) PACA-ს ადგილობრივ გუნდთან ერთად, დადგინდა ადგილის კონკურენტული უპირატესობები. თითოეული უპირატესობის ანალიზის შემდეგ, შეირჩა უპირატესობები, რომლებიც განასხვავებს კიშკარენის მოლდოვას სხვა დასახლებული პუნქტებისგან: მდებარეობა ეროვნული გზატკეცილის ახლოს; თევზის მქონე 12 ტბის ექსპლუატაცია, „ფარშირებული კომბოსტოს ღვეზელების ფესტივალის" ორგანიზაცია, ტურისტული ღირშესანიშნაობები დიდი ისტორიით, რეგიონში ცნობილი ბაზარი, ინდუსტრიული სამაცივრო დანადგარი, პოპულარული ხალხურ ოსტატების კონცენტრაცია.

ამ შვიდი უპირატესობის კომბინაცია ქმნის პირობებს ჰიპოთეზის წამოყენებისთვის, რომ შეიქმნას რეგიონული ბაზარი (დახლები ეროვნული გზის ახლოს, ხელნაკეთი ნივთებით და პროდუქტებით ძირითადი დარგებიდან: მეფუტკრეობა, მეხილეობა, მეთევზეობა)

ეს მიზანი შეიძლება მიღწეული იყოს ასევე 2013-2020 წლებისთვის კიშკარების თემის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების იმპლემენტაციის საშუალებით: თემების თანამშრომლობა კომერციული სერვისების გაუმჯობესებისთვის აგრარულ ბაზარში, რომელიც მოწყობილია სოფელ კიშკარენიში.

დარგის ანალიზი და ინიციატივების შემუშავება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის

სემინარის მუშაობის შედეგად, დადგინდა ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი დარგები.

მათგან არჩეული იქნა 3 დარგი თემის განვითარებაში ძირითადი წვლილის მიხედვით, რაც ასახავს კიშკარენის თემის კონკურენტულ უპირატესობებს: მეფუტკრეობა, მეხილეობა, თევზის მოშენება. ისინი არჩეული იქნა შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- ⇨ კომპანიების (საწარმოების) კონცენტრაცია დარგში და 5 წელზე მეტის გამოცდილება ბიზნესში;
- ⇨ ინფრასტრუქტურა ბიზნესის განვითარებისთვის დარგში;
- ⇨ გარემოებები მენეჯერული და ტექნიკური კომპეტენტურობის გასაძლიერებლად;
- ⇨ პირობები ინტენსიური თანამშრომლობისთვის საკვანძო აქტორებს შორის (ბიზნესი, ადგილობრივი ხელისუფლება, საზოგადოება);
- ⇨ დარგის განვითარების ბმა კიშკარენის თემის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების სტრატეგიულ გეგმასთან (2013-2020).

როგორც შედეგი, ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები სიტუაციის აღწერაზე თითოეულ სექტორში და დადგინდა განვითარების ფაქტორები, რომლებიც შემდგომში დაზუსტდა და შეიკრიბა ჩატარებული სემინარების და ადგილზე გასაუბრებების შედეგად. შედეგები წარმოდგენილია ცალ-ცალკე თითოეული დარგისთვის.

მეფუტკრეობა

მეფუტკრეობა კიშკარენის თემში წარმოადგენს ეროვნული მნიშვნელობის დარგს, რომელშიც აქტიური არიან მწარმოებლები 20 წელზე მეტი გამოცდილებით. საბჭოთა კავშირის დროს, კიშკარენი ყველაზე განვითარებული რეგიონი იყო თაფლის წარმოების თვალსაზრისით რესპუბლიკაში.

ზემოთ აღწერილი ღირებულების ჯაჭვის შესაბამისად, გამოვლინდა შემდეგი პრობელემები:

- ⇨ არსებობს ადგილზე პირობები ხარისხიანი საწყისი მასალის (ნედლეულის) უზრუნველსაყოფად დარგის განვითარებისთვის: 2400 ჰა სახნავი მიწა სოფელში, 1500 ჰა ტყე;
- ⇨ დაახლოებით 20 ფერმაა აქტიური დარგში (ძირითადად საოჯახო ბიზნესები), რომლებიც ფლობენ დაახლ. 800 სკას; საშუალოდ ერთი სკა იძლევა დაახლ. 20 კგ თაფლს ერთ წელიწადში;

- ⇨ ლოგისტიკა და დისტრიბუცია უზრუნველყოფილია რამდენიმე მწარმოებელი ოჯახის თანამშრომლობით, იმისთვის, რომ დაგროვდეს თაფლის უფრო დიდი მოცულობები და შემდეგ მოხდეს მისი ტრანსპორტირება მომხმარებელთან;
- ⇨ ბაზარი ძირითადად ფორმირდება ადგილობრივი და რეგიონული ბაზრის მიერ. ამავე დროს, მსხვილი მწარმოებლები ცდილობენ გავიდნენ რესპუბლიკურ მასშტაბზე.

უმსხვილესი მწარმოებელი - სასოფლო ფერმა ტურტურეანუ (რომელიც ფლობს დაახლოებით 250 სკას) - კიშკარენის სხვა ფერმებისგან განსხვავებით, ცნობილია მოლდოვაში და საზღვარგარეთ. მისი მუშაობა მეფუტკრეობის დარგში ეყრდნობა სხვა მიდგომებს, ვიდრე რუდიმენტური მიდგომებია (რომლებიც დამახასიათებელია მოლდოვას მეფუტკრეების უმრავლესობისთვის) და კერძოდ, სამეცნიერო მიდგომას. ამ მიდგომის და მიღწეული შედეგების გამო 20-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში, ბ-ნ ტურტურეანუს იწვევენ ეროვნულ და რეგიონულ სემინარებზე, რომ გაუზიაროს გამოცდილება სხვებს მეფუტკრეობის დარგში. ის ასევე ესწრება სხვადასხვა კონფერენციებს და საერთაშორისო სემინარებს რუმინეთში.

სასოფლო ფერმა ტურტურეანუ დაჯილდოებულია მოლდოვას მეფუტკრეობის ასოციაციის და მოლდოვას ფერმერთა ეროვნული ფედერაციის საპატიო სიგელებით საერთაშორისო გამოფენაზე „მოლდექსპო“. ტურტურეანუს რამდენიმე ინოვაციური იდეა, რომელიც წარმოდგენილი იყო PACA-ს მუშაობის დროს, შეტანილი იქნება ინიციატივებში მეფუტკრეობის დარგის განვითარებისთვის სათემო დონეზე (იხ. ქვემოთ).

დარგის პრობლემები და შესაძლებლობები

სექტორში შექმნილი სიტუაციის ასახვისთვის გამოყენებული იყო „პორტერის რომბი“, სტრატეგიული ანალიზის ინტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს დარგის სუსტი და ძლიერი წერტილები მწარმოებლებთან (მათი უნარები, კომპეტენცია, ბიზნესის მოდელი და ა.შ.), მომწოდებლებთან (ურთიერთობები მათთან, ნედლეულის ხელმისაწვ-დომობა და ა.შ.), ხელშემწყობ ორგანიზაციებთან (არასამთავრობოები, ბანკები, სხვა ინსტი-ტუტები, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ დარგის განვითარებაში) და კლიენტებთან (პროდუქტების იმიჯი, ურთიერთობები კლიენტებთან, პირობები ბაზარზე) დაკავშირებით.

ამგვარად, გამოიკვეთა ძირითადი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია დარგის პროდუქტების რეკლამირების და მათი პოტენციალის ხელშეწყობის ნაკლებობასთან, მცირე დივერსიფიკაციასთან, რომლებიც გააჩნიათ მწარმოებლებს პროდუქტების ასორტიმენტთან მიმართებაში და სუსტ თანამშრომლობასთან. ასევე აუცილებელია მუშაობა იმისთვის, რომ მოხდეს მომხმარებლების მგრძნობიარობის ამაღლება და ახალი ბაზრების ათვისება (გარდა ადგილობრივი ბაზრისა).

დარგის განვითარების ფაქტორები

პრობლემების და შესაძლებლობების ანალიზის შედეგად, დადგინდა საკვანო დეტერმინანტები (ფაქტორები) დარგის განვითარებისთვის (რომლებსაც ზეგავლენა აქვთ თემის განვითარებაზე):

- *ბაზრის განვითარება* (წვდომა რეგიონულ ბაზართან, ბაზრის გაფართოება მთელი მოლდოვას მასშტაბით). ადგილობრივი აქტორები, ვინც ჩართული იქნება: ადგილობრივი ხელისუფლება (რაიონული საბჭო, პრიმარია), სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექცია, სურსათის უსაფრთხოების ინსპექცია, მწარმოებლები).
- *მწარმოებლების კოოპერაცია.* აქტორები: ადგილობრივი ხელისუფლება, ინსტიტუტები, ვინც ხელს უწყობს კოოპერატივებს, მწარმოებლები.
- *დარგის იმიჯის რეკლამირება* (ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე). აქტორები: მეფუტკრეების ასოციაცია, სოფლების განვითარების ეროვნული სააგენტო (ACSA), მოლდოვას ფერმერების ეროვნული ფედერაცია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ადოლესკენტულ“, COPE “DIALOG“.
- *წვდომა ფინანსებთან.* აქტორები: ბანკი Banca de Economii, მცირე და საშუალო მეწარმოების დარგის განვითარების ორგანიზაცია ODIMM (დაფინანსების ხაზები PARE, PNAET).

მეხილეობა

დარგის აღწერა, პრობლემები და შესაძლებლობები



დარგში დიდი რაოდენობით ვაშლი იყიდება. დარგის კომპანიები წარმოადგენენ სასოფლო ფერმებს. შესამჩნევ პრობლემებს შორის არის თანამედროვე აღჭურვილობის არქონა, კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა და სუსტი წვდომა ფინანსურ სახსრებთან და ინსტრუმენტებთან.

ამავე დროს, აშკარაა მომწოდებლების ზეგავლენა ნედლეულის მაღალ ფასებზე. მცირე მწარმოებლების კოოპერაციას ერთმანეთთან ნედლეულის დიდი მოცულობების შესაძენად შეუძლია გადაჭრას აღნიშნული საკითხი. მეორე მხრივ, სამაცივრო საცავების არსებობა ტერიტორიაზე და ხარისხიანი პროდუქციის უზრუნველყოფა მომხმარებლისთვის წარმოადგენს ადგილის ძლიერ მხარეებს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მისი აგრარული ბაზარი ცნობილია რაიონულ დონეზე.

დარგის განვითარების ფაქტორები

პრობლემების და შესაძლებლობების ანალიზის შედეგად დადგინდა საკვანძო დეტერმინანტები (ფაქტორები) დარგის განვითარებისთვის (რომლებსაც გავლენა აქვთ თემის განვითარებაზე):

- *ბაზრის განვითარება* (წვდომა რეგიონულ ბაზართან). ადგილობრივი აქტორები, რომლებიც ჩართული უნდა იყვნენ: პრიმარია, მწარმოებლები.
- *კოოპერაცია.* აქტორები: კაკლის ხეების მოიჯარეები, მწარმოებლები.
- *თანამედროვე მოწყობილობების შეძენა.* აქტორები: პრიმარია, კოოპერატივი Asidanteza.
- *სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება ადგილზე.* აქტორები: ACSA (კონსულტაციები მიწათმოქმედებაში).
- *წვდომა ფინანსებთან.* აქტორები: Banca de Economii, დანაზოგების და სესხების ასოციაცია.

თევზის მოშენება

დარგის აღწერა, პრობლემები და შესაძლებლობები

საბჭოთა პერიოდში, მეთევზეობის ფერმას კიშკარენიში 500 ტონამდე თევზი ჰყავდა სეზონის განმავლობაში. 1995 წელს ის პრივატიზებული იქნა და დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „Peste" („თევზი"). მისი აქციები რამდენიმე საინვესტიციო ფონდს ეკუთვნოდა, რომლებმაც შემდგომში ისინი მიჰყიდეს კერძო პირებს. ტბებს აქვთ 110 ჰა ზედაპირის ფართობი, საიდანაც 85 ჰა მაღალპროდუქტიულია. აქ არის კობრი, კარჩხანა, სქელშუბლა, ფარგა.

მნიშვნელოვან პრობლემებს შორის არის კლიმატური ფაქტორი, მწარმოებლების სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის არარსებობა, რაც საშუალებას მისცემდა მათ გარკვეული კოოპერაციისთვის და იმიჯის რეკლამირებისთვის ადგილზე, ასევე ადგილობრივი ბაზრის ფარგლებს გარეთ გასვლას. ამავე დროს, დარგში მხოლოდ პროდუქციის წარმოება ხდება, რაიმე განვითარების გარეშე გადამუშავების სფეროში, ფინანსური ინსტრუმენტების და საჭირო მოწყობილობების არარსებობის გამო.

მეორე მხრივ, დიდი რაოდენობით პროდუქციის წარმოების და მისი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა გარე ბაზრებზე გასვლის საშუალებას მოიტანდა.

- სიმშრალე, გვალვები - სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის არარსებობა - სეზონური ბიზნესი - არასაკმარისი ფინანსური ინსტრუმენტები - დარგში კოოპერაციის ნაკლებობა - პრობლემები სურსათის უსაფრთხოებაში - შემოსაზღვრა ადგილობრივი ბაზრით	+ თევზით სავსე ტბები, დიდი რაოდენობით თევზის უზრუნველყოფა + პროდუქციის მრავალფეროვნება + საღი პროდუქტები + პროდუქტების ხელმისაწვდომობა ადგილობრივი მომხმარებლისთვის + სესხების მისაწვდომობა აგრარული სფეროსთვის + საბითუმო ვაჭრობა + შენახვის დაბალი ხარჯები

დარგის განვითარების ფაქტორები

პრობლემების და შესაძლებლობების ანალიზის შედეგად დადგინდა საკვანძო დეტერმინანტები (ფაქტორები) დარგის განვითარებისთვის (რომლებსაც გავლენა აქვთ თემის განვითარებაზე):

- *ბაზრის განვითარება* (წვდომა რეგიონულ ბაზართან). ადგილობრივი აქტორები, რომლებიც ჩართული უნდა იყვნენ: თემის საბჭო, სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექცია, სურსათის უსაფრთხოების ინსპექცია, მწარმოებლები.
- *დარგის იმიჯის რეკლამირება* (ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე). აქტორები: თემის საბჭო, სახელმწიფო ვეტერინარული ინსპექცია, სურსათის უსაფრთხოების ინსპექცია, მწარმოებლები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, პრიმარია.
- *კოოპერაცია.* აქტორები: ACSA, პრიმარია, მწარმოებლები.
- *წვდომა ფინანსებთან.* აქტორები: Banca de Economii, დანაზოგების და სესხების ასოციაცია.

ინიციატივები განვითარებისთვის

განვითარების ზემოთ წარმოდგენილი ფაქტორები მოითხოვენ ინიციატივების სპექტრს, რომლიდანაც ზოგიერთი უკვე გააქტიურებულია თემის განვითარებისთვის. ისინი შემუშავდა PACA-ს ადგილობრივ გუნდთან ერთად მუშაობის დროს, მაგრამ ასევე მწარმოებლებთან სემინარების განმავლობაში. ინიციატივების იმპლემენტაციასთან დაკავშირებული აქტივობები შერჩეული იქნა სამი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით:

- *იმპლემენტაციის სისწრაფე (აქტივობები, რომელთა იმპლემენტაცია შესაძლებელია 6-8 თვეში);*
- *დაუყოვნებლივი დაწყება (აქტივობები, რომლებსაც ძალიან ცოტა დრო უნდათ დასაწყებად);*
- *აქტიური თანამონაწილეობა (ადგილობრივი აქტორები დაინტერესებული არიან ამ აქტივობებით);*
- *ინიციატივები დარგისთვის წარმოდგენილია ქვემოთ.*

რეკომენდაციები და ინიციატივები

ინიციატივა 1. კიშკარენის მეფუტკრეობის ასოციაციის დაფუძნება და ამოქმედება

ზემოქმედება: თანამშრომლობა დარგში, გაფართოება ახალი ბაზრებისკენ დიდი მოცულობების დაგროვების საშუალებით, მეფუტკრეობის დარგის იმიჯის რეკლამირება ადგილობრივ და ქვეყნის დონეზე.

განსახორციელებელი აქტივობები:

- ასოციაციის რეგისტრაცია, წესდების შემუშავება;
- მოქმედებათა მოკლევადიანი გეგმის შედგენა;
- მონაწილეობა ადგილზე გამართულ ტრენინგებში;

- მწარმოებლების მგრძნობიარობის ამაღლება დარგის იმიჯის შესაქმნელად და გასაძლიერებლად;
- სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობა ადგილობრივი და ქვეყნის მასშტაბით;
- საქველმოქმედო აქტივობები (მეფუტკრეობის პროდუქტების უსასყიდლოდ გადაცემა საბავშვო ბაღებისთვის, ბავშვთა და მოხუცთა სახლებისთვის).

ცოტა ხნის წინ დაფუძნდა საჯარო ასოციაცია "PROAPIS" (2014 წლის აგვისტოში), რომელსაც 10 წევრი ჰყავს. 2014 წელს გაიმართა ფარშირებული კომბოსტოს ღვეზელების ფესტივალი, რომელშიც თაფლის მწარმოებლებმაც მიიღეს მონაწილეობა ასოციაციის სახელით, და წარმოადგინეს თავიანთი პროდუქცია.

ინიციატივა 2. ფინანსური სახსრების მოზიდვა დარგის განვითარებისთვის

ზემოქმედება: პროდუქციის დივერსიფიკაცია, სიმძლავრეების გაფართოება, ინვესტიციები კვლევაში და განვითარებაში.

განსახორციელებელი აქტივობები:

- სემინარების და ტრენინგების ორგანიზაცია ფინანსებთან წვდომის ადგილობრივ შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- თანამშრომლობა საკონსულტაციო კომპანიებთან და მათთან პარტნიორობის დამყარება.

ინიციატივა 3. ტრენინგები ადგილობრივი მწარმოებლებისთვის მეფუტკრეობის სფეროში

ზემოქმედება: ადგილობრივი წარმოების და მენეჯერული შესაძლებლობების გაზრდა.

განსახორციელებელი აქტივობები:

- გრძელვადიანი თანამშრომლობა ACSA-ს ექსპერტთან („აგრარული საკონსულტაციო მომსახურების" კომპონენტის იმპლემენტაციის განმახორციელებელი ერთეული);
- სემინარების, ფოკუს-ჯგუფების, ტრენინგების და ა.შ. ორგანიზაცია, სხვა ტრენინგები ადგილზე;
- ტრენინგების ორგანიზაცია მენეჯერული და მარკეტინგული შესაძლებლობების კონსოლიდაციისთვის;
- სასწავლო ვიზიტები და თანამშრომლობა მეზობელი ქვეყნების მწარმოებლებთან;
- გრძელვადიანი თანამშრომლობის ინიცირება ექსპერტებთან, ვინც ჩაატარებს ტრენინგებს ადგილობრივი ხელისუფლების და ხელშემწყობი ორგანიზაციების დახმარებით.

ამ ტიპის ინიციატივა იყო ასოციაციის მიერ ტრენინგის ორგანიზაცია ფუტკრების დაავადებების მკურნალობის სფეროში (2014 წლის აგვისტო). მას ასევე დაგეგმილი აქვს

ინიციატივა 4. აგრარული ბაზრის შექმნა ეროვნული მნიშვნელობის გზატკეცილის ახლოს (დახლები გზისპირას)

სასწავლო ვიზიტი რუმინეთში.

ასევე დაიწყება თანამშრომლობა ფერმერების ეროვნულ ასოციაციასთან.

ზეგავლენა: მომხმარებლების მგრძნობიარობის ამაღლება, იმიჯის რეკლამირება და ხელშეწყობა ქვეყანაში, პროდუქციის დივერსიფიკაცია.

განსახორციელებელი აქტივობები:

- პროდუქციის დივერსიფიკაცია (ამჟამად, ხილი ძირითადად იყიდება, როგორც ნედლეული. შეთავაზებულია დაიწყოს მათი გადამუშავება წვენებად, ჯემებად და ა.შ.);
- მომხმარებლების მგრძნობიარობის ამაღლება სპეციალური მიმზიდველი შეფუთვის და დამატებით დაბეჭდილი ინფორმაციის საშუალებით;
- ეროვნულ პროექტებში მონაწილეობა იმისთვის, რომ მოპოვებული იქნას ფინანსები ინფრასტრუქტურის შესაქმნელად აგრარული ბაზრისთვის. ამჟამად ის ეძებს ამგვარ პროექტებს კიშკარენის პრიმარიას დახმარებით;
- აგრარული ბაზრის იმიჯის ამაღლება ადგილობრივი ხელისუფლების და ადგილობრივი ხელშემწყობი ორგანიზაციების მიერ.

ინიციატივა 5. რეკრეაციული ზონის გახსნა ტბების ახლოს და აგროტურიზმის წახალისება

ზემოქმედება: მომხმარებლების მგრძნობიარობის ამაღლება, იმიჯის რეკლამირება ეროვნულ დონეზე, ადგილზე ტურისტული აქტივობის გაძლიერება.

განსახორციელებელი აქტივობები:

- ინტენსიური თანამშრომლობის პლატფორმის დაფუძნება ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ადგილობრივ ხელშემწყობ ორგანიზაციებთან;
- რეკრეაციული ზონის გახსნა (სახლები და ა.შ.). უკვე არსებობს ამ ტიპის მცდელობები კიშკარენიში;
- ტურისტული სააგენტოების იდენტიფიკაცია და მოზიდვა თანამშრომლობისთვის. ერთ-ერთი დაგეგმილი ქმედებაა თანამშრომლობის ინიცირება ტურისტების მოსაზიდად, ეროვნული პროექტის „მოდით წავიდეთ სოფელში“ ფარგლებში; ადგილზე გამართულ ყოველწლიურ ფესტივალში მონაწილეობა, მაგრამ ასევე სხვა ეროვნულ ფესტივალებში.

ზემოქმედება: თანამშრომლობა დარგის შიგნით, მომხმარებლების მგრძნობიარობის ამაღლება

სიპკას თემი

- ⇨ სიპკა არის სოფელი და თემი სოლდანეშტის რაიონში.
- ⇨ სოფელი მოიცავს დაახლოებით 1.23 კვ. კმ ფართობს 6.59 კმ პერიმეტრით, მდებარეობს 3 კმ-ის დაშორებით ქალაქ სოლდანეშტისგან, რომელიც არის რაიონული ცენტრი.
- ⇨ პირდაპირი მანძილი კიშინიოვამდე არის 81 კმ.

მოსახლეობა

- ⇨ მოსახლეობა შეადგენს 756 მცხოვრებს;
- ⇨ ბოლოს 5 წლის განმავლობაში, მხოლოდ ერთმა ადამიანმა მოითხოვა მიწის გამოყოფა სახლის ასაშენებლად სიპკაში;
- ⇨ ამავე დროს, 300 მიტოვებული სახლიდან 3 დანგრეული იქნა ადგილობრივი საბჭოს მიერ;
- ⇨ ამჟამად, სოფელ სიპკაში ცხოვრობს დაახლოებით 300 შრომისუნარიანი ადამიანი;
- ⇨ დაახლოებით 30 ადამიანი მუშაობს ქალაქ სოლდანეშტიში;
- ⇨ 749 მცხოვრები მოლდაველია, (99.07%) და 7 მცხოვრები რუსი (0.93%);
- ⇨ სამუშაო ადგილების ნაკლებობის პრობლემის გადაწყვეტა გამოჩნდა ახალგაზრდების ჯგუფის ჩამოსვლასთან ერთად უცხოეთიდან. ისინი დაბრუნდნენ მკაფიო მიზნით, რომ ააღორძინონ ადგილზე ეკონომიკური აქტივობა. მათ დააფუძნეს მეწარმეთა გაერთიანება და შექმნეს სპეციალიზებული საწარმოების ჯგუფი.

ინფრასტრუქტურა

- ⇨ სოფელს გააჩნია წყალსადენი, ბუნებრივი აირი;
- ⇨ მათ დააფუძნეს მეწარმეთა გაერთიანება და შექმნეს სპეციალიზებული საწარმოების ჯგუფი;
- ⇨ უცხოეთში მიღებულმა გამოცდილებამ ლიგისტიკის მენეჯმენტში გააღვიძა მათი ამბიცია, შეექმნათ ინტეგრირებული ეკონომიკური მოდელი, ასევე შეექმნათ კერძო-საჯარო პარტნიორობა მეწარმეთა ჯგუფსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

ტურისტული ღირშესანიშნაობები

- ⇨ რეგიონული ფესტივალები პოპულარული მუსიკალური ჯგუფების, თეატრების მონაწილეობით;
- ⇨ *დობრუშას მონასტერი.* ის მდებარეობს სოლდანეშტიში, სიპკას ახლოს. მონასტერი დაარსებულია 1772 წელს ბერების მიერ პრობოტადან და იოსაფატ ეუფემიუსის მიერ კურჩიდან.
- ⇨ *კუსელაუკას მონასტერი.* ის მდებარეობს სოლდანეშტიში, სიპკას ახლოს. მონასტერი დაარსებულია 1790 წელს მარიას მიერ კოტიუჟენი მარიდან. მონასტრის ლამაზმა საძვალემ მიიღო მონაზონ აგათიას ნეშტი, რომელიც გარდაიცვალა 1873 წელს. ამჟამად

მისი საფლავი იზიდავს ადამიანებს განსაკურნებლად. აქ არის ლამაზი ხატი, სახელად „მოლდოვას ქალბატონი“, დაწერილი 1895 წელს ათონის მთაზე;

- ⇨ *დასასვენებელი ბანაკი.* კაკლის ხეების კორომში, პავილიონებიანი ტბის ახლოს, სტადიონი და დიდი რაოდენობით გამწვანებული ადგილები;
- ⇨ *პოპულარული ხალხური ოსტატები,* ვინც ქსოვს ხალიჩებს, ქარგავს, ხეზე მუშაობს, წნავს ნივთებს.

პროექტები

პირველ გრანტს, რომელიც შტეფან სანდემ მიიღო PNAET-ის პროექტიდან (ფინანსთა სამინისტროს საკრედიტო ხაზი) წინ უძღოდა გრძელი და რთული ბიუროკრატიული პროცესი. მას შემდეგ, რაც ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ სანდე არ არის ბენეფიციართა სიაში, შტეფანმა გადაწყვიტა ოჯახთან ერთად კანადაში წასულიყო ემიგრაციაში. თუმცა, იმავე დღეს მას ბანკიდან დაურეკეს: ფული გამოიყო - 300 ათასი ლეი. 180 ათასი ლეის კრედიტის გადახდის შემდეგ, 120 000 დარჩა როგორც გრანტი. თუმცა, შტეფანი 200 ათასიანი გრანტის პირველი მიმღები გახდა მიგრანტი მუშებისთვის განკუთვნილ პროექტში PARE 1+1. ეს სახსრები, მათ შორის პირადი სახსრები, წარიმართა სკების და აღჭურვილობის შესაძენად. ამჟამად Farugasul de Aur-ს 1000 სკა აქვს.

ეკონომიკის სექტორის ანალიზი

მიწათმოქმედება სოფლის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებაა. 20 წლის წინ ადგილზე მხოლოდ 1 საწარმო იყო - კოლმეურნეობა, რომელიც სპეციალიზდებოდა ნათესების (ხორბალი, ქერი, სიმინდი და მზესუმზირა) და ხილის (ვაშლის ბაღები) მოყვანაში. ასევე იყო ორი სპეციალიზებული ფერმა 200 სული სარძევე პირუტყვით და დაახლოებით 300 ღორი. მთელი პროდუქცია იყიდებოდა ადგილზე გადამუშავების გარეშე.

სოფლის მოსახლეობის 60% უცხოეთში წავიდა, 5% მუშაობს ხელფასზე ქალაქ სოლდანეშტიში. მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი დასაქმებულია აგრარულ საქმიანობაში და საქონლის მოშენებაში კერძო მეურნეობებში.

თემს გააჩნია დაახლოებით 1000 ჰა სახნავი მიწა (98% იჯარით არის გაცემული), 120 ჰა ბაღები, 300 ჰა საძოვრები და 3 ტბა მთლიანი ზედაპირის ფართობით 3.6 ჰა. მოსახლეობას დაახლოებით 80 სული პირუტყვი ჰყავს რძის და ხორცისთვის.

ასევე არის ცხვრის 3 მინი-ფერმა: ორი ემსახურება კერძო საოჯახო მეურნეობებს (დაახლოებით 110 სული ცხვარი) და კერძო ფერმა, რომელიც ოფიციალურად მუშაობს - 80 ცხვარი და 20 ღორი.

13-ზე მეტი საწარმო გაერთიანდა მწარმოებელთა ჯგუფში, რომლებიც აქტიური არიან თემში. ისინი ფლობენ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას: წისქვილს, საწყობებს, გარაჟებს, საერთო რესურსების ცენტრს აგრარული მანქანების ტექნიკურ პარკთან ერთად (16 ერთეული) და გადამამუშავებელ მოწყობილობებს.

თემს გააჩნია სკოლა, საბავშვო ბაღი, ბიბლიოთეკა, სათემო ცენტრი, სტადიონი, 3 სასურსათო მაღაზია. არსებობს სატრანსპორტო კავშირი (სატრანზიტო მარშრუტი) ქალაქ სოლდანეშტისთან და კიშინიოვის მუნიციპალიტეტთან.

ზოგიერთი ფოტო სიპკას თემიდან:

ადგილის ეკონომიკური უპირატესობები

PACA-ს ჯგუფის შეხვედრის დროს შემდეგი კონკურენტული უპირატესობები იქნა გამოკვეთილი.

მიღებული
- სიახლოვე რაიონულ ცენტრთან
- განსაკუთრებული თიხა
- თურქული მარნები
- რკინიგზა

უნიკალური
- ძველი წისქვილი
- ეკონომიკური კლასტერი

საერთო
- ქსელური ტურიზმი

* მიღებული - მოპოვებული უპირატესობები ადგილდებარეობის და ისტორიული მოვლენების წყალობით.
** უნიკალური - უპირატესობები, რომლებიც განსხვავებულს ხდის სხვებისგან.
*** საერთო - უპირატესობები, რომლებიც არ ეკუთვნის მხოლოდ სიპკას.

გარდა ამისა, დამატებით დადგინდა ადგილის შემდეგი რეალური და გრძელვადიანი უპირატესობები უფრო დეტალური ანალიზის შედეგად:

ბუნებრივი

გეოგრაფიული მდებარეობა რაიონულ ცენტრთან ახლოს, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილს, გახდეს საღი აგრარული პროდუქტების მიმწოდებელი უფრო დიდი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები ადგილზე, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში (2.5 ჰა-ზე მეტი) საძოვრების დიდი ფართობები, რაც ზოოტექნიკური დარგის განვითარების საშუალებას იძლევა

ადამიანური რესურსები

ახალგაზრდა მეწარმეების ჯგუფი, რომელმაც დააგროვა სამუშაო გამოცდილება საზღვარგარეთ და აქვს ამბიცია, განავითაროს ადგილი. სამი წლის განმავლობაში მათ შემოიკრიბეს 20-მდე ადგილობრივი მცხოვრები, რომლებიც ჩართული იყვნენ სხვადასხვა ეკონომიკურ აქტივობაში

ტექნოლოგიური რესურსები

ინოვაციები და თანამედროვე აღჭურვილობა, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში შემოვიდა თემში ბიზნესის ზოგიერთი იშვიათი მოდელის განვითარება (მეფუტკრეობის კლასტერი, მთლიანი ციკლის წარმოების მოდელი)

ინოვაცია ტრენინგები

კრეატიული ცენტრები კომპიუტერები ინოვაციური სულისკვეთება

ინფრასტრუქტურა ბიზნესისთვის

მიერთება გაზსადენთან ავტოგასამართი სადგური ინდუსტრიული მაცივარი სამშენებლო მასალები ახალი ტექნოლოგია, ნედლეული

ეკონომიკის დარგები

ადგილის ეკონომიკური დარგების ანალიზის დროს, სპეციალური ყურადღება იყო მიმართული იმ დარგებისკენ, რომლებიც ქმნიან სამუშაო ადგილების ყველაზე დიდ რაოდენობას და იძლევიან შემოსავლის უფრო მეტ წყაროებს. ასევე გაანალიზდა დარგები, რომლებიც ვითარდება და შემოსავალს აძლევს მათში დასაქმებულ მოსახლეობას.

	დარგის პროდუქტიულობა უფრო <u>მაღალია,</u> ვიდრე მეზობელ თემებში	დარგის პროდუქტიულობა უფრო <u>დაბალია,</u> ვიდრე მეზობელ თემებში
ეკონომიკის დარგი ყველაზე მაღალი პროდუქტიულობით სხვა დარგებთან შედარებით	⇨ საშემოდგომო ხორბალი (4-5 ტ/ჰა) ⇨ სიმინდი (7-8 ტ/ჰა) ⇨ მზესუმზირა (3.5 ტ/ჰა) ⇨ რაფსი (2 ტ/ჰა) ⇨ მეფუტკრეობა (უმსხვილესი საფუტკრე ქვეყანაში - 1000 ოჯახი)	⇨ვაშლის ბაღი (ძველი პლანტაცია 80 ჰა)
ეკონომიკის დარგი დაბალი პროდუქტიულობით სხვა დარგებთან შედარებით ან განვითარების პროცესში მყოფი დარგები	⇨კენკრის მოსავალი, სხვადასხვა სახეობები (განვითარების პროცესშია) ⇨გადამუშავება / შეფუთვა (განვითარების პროცესშია) ⇨სამედიცინო მომსახურება (მცენარეებით მკურნალობა) ⇨რესურსების ცენტრი მწარმოებლებისთვის (განვითარების პროცესშია) ⇨ადგილობრივი რეკრეაციული ცენტრი (ტურისტული აქტივობა)	⇨ ვაშლის ბაღი (ახალი პლანტაცია 30 ჰა) ⇨ მარცვლეულის გადამუშავება (წისქვილი) ⇨ საქონელი (პირუტყვის მცირე რაოდენობა)

დარგის ანალიზი და ინიციატივების შემუშავება ადგილის ეკონომიკური განვითარებისთვის

აქედან შეირჩა ერთი დარგი, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს თემის განვითარებაში და რომელიც ასახავს სიპკას თემის კონკურენტულ უპირატესობებს: მეფუტკრეობა. შერჩევა მოხდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ⇨ კომპანიების (მეწარმეების) კონცენტრაცია დარგში და 5 წელზე მეტი გამოცდილება ბიზნესში;
- ⇨ ინფრასტრუქტურა ბიზნესის განვითარებისთვის დარგში;
- ⇨ გარემოებები მენეჯერული და ტექნიკური კომპეტენციის გაძლიერებისთვის;

- პირობები საკვანძო აქტორებს შორის ინტენსიური თანამშრომლობისთვის (ბიზნესი, ადგილობრივი ხელისუფლება, საზოგადოება);
- დარგის განვითარების ბმა სიპკას თემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმასთან (2013-2020).

მეფუტკრეობა

მეფუტკრეობას მოლდოვაში ძლიერი ისტორიული ფესვები აქვს და ტრადიციულ დარგს წარმოადგენს. ამჟამად მეფუტკრეობა რჩება მოლდოვას ერთ-ერთ ტრადიციულ დარგად. ამავე დროს, მას გააჩნია კარგი საექსპორტო პოტენციალი და სპეციალისტების თანახმად, კონკურენტულია საერთაშორისო ბაზრებზე. ასევე, თაფლი ცხოველური წარმოშობის ერთადერთი პროდუქტია მოლდოვადან, რომელიც ექსპორტირდება ევროკავშირში.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თაფლი შეესაბამება ევროკავშირის სტანდარტებს, წარმოების დანაწევრება აფერხებს დარგის განვითარებას და უარყოფითად აისახება თაფლის ხარისხზე. თაფლის 90% იწარმოება ოჯახურ საფუტკრეებში და შემდგომ დამოუკიდებლად იყიდება მფლობელების მიერ ბაზრის დახლებზე, რადგან ეს მომგებიანია, ან ერთიანად იყიდება საბრუნავი სახსრების სწრაფად შესავსებად.

ბევრი სპეციალისტის აზრით, თაფლის წარმოების კულტურა მოლდოვაში შორსაა სრულყოფისგან. მსოფლიოში, მეფუტკრეების მთავარი მოგება მოდის მცენარეების დამტვერვიდან, რომლის მოგება 10-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე თაფლის და ფუტკრის სხვა პროდუქტების გაყიდვიდან (ცვილი, პროპოლისი, ფუტკრის რძე). დამტვერვა ფუტკრის ოჯახების მიერ არის ყველაზე უფრო ბუნებრივი და უსაფრთხო მეთოდი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის გაზრდისთვის (5-50%-ით). ფუტკრის მხოლოდ ერთი ოჯახით, ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია დაახლოებით 40 აშშ დოლარის გამომუშავება ყვავილობის პერიოდში, მაშინ როცა დასავლეთის ბაზრებზე - 200 დოლარამდე. მაგრამ ინდივიდუალისტური მიდგომა ხელს უშლის მოლდაველ მეფუტკრეებს მსოფლიო დონის და წარმოების ორგანიზაციის სტანდარტების მიღწევაში. და ამჟამად არავინ გეგმავს ამ ბარიერების გადალახვას, რადგან ისინი კმაყოფილი არიან 100% და მეტი რენტაბელობით „სახლში დამზადებული“ პროდუქტისთვის. არსებული პოტენციალი საშუალებას აძლევს მოლდოვას, გაზარდოს ფუტკრის ოჯახების რაოდენობა ამჟამინდელი 150 000-დან 500 000-მდე და თაფლის წარმოება 4.5 ათ. ტონიდან 10-12 ათ. ტონამდე, რომლიდანაც 50% შესაძლოა საექსპორტო ბაზრებზე გავიდეს.

დარგის მოდერნიზაციისთვის „მთელ ჯაჭვში, წარმოებიდან ექსპორტამდე“ საჭიროა არა მხოლოდ მეფუტკრეების ენთუზიაზმი, არამედ ასევე დახმარება ხელისუფლების მხრიდან, სახელმწიფო სტრატეგიის მომზადება მეფუტკრეობის განვითარებისთვის. თაფლის ექსპორტის ზრდასთან ერთად, აუცილებელია ამ პროდუქტის მოხმარების კულტურის განვითარება მოლდოვაში.

მეფუტკრეობა სიპკაში

მეფუტკრეობის დარგის განვითარებას სიპკას თემში გააჩნია ინოვაციური მიდგომა მოლდოვას რესპუბლიკისთვის. აქცენტი კეთდება წარმოების სისტემის შექმნაზე მთლიანი ციკლით. ეს გამოიხატება იმაში, რომ გარდა ფუტკრის მოვლის და თაფლის შეგროვების ტრადიციული მეთოდებისა, მწარმოებელთა ჯგუფმა თემიდან ასევე გამოყენა წარმოების ქვეაქტივობები, რომლებიც სძენენ მნიშვნელოვან დამატებით ღირებულებას სექტორის განვითარებას. ამგვარად, შემდეგი ქვედარგები იქნა განვითარებული: სკების წარმოება, ფუტკრის ოჯახების გამრავლება და დედა ფუტკრების წარმოება. შეძენილი იქნა მობილური

ლაბორატორია და ექსტრაქტორი, რაც საშუალებას იძლევა გაიზარდოს პროდუქტიულობა და შემცირდეს წარმოების ხარჯები. ამავე დროს, ეს აღჭურვილობა ზრდის მანძილს საფუტკრეების განლაგებასთან. ამჟამად მწარმოებელთა ჯგუფს გააჩნია საფუტკრეები სოფლიდან 25 კმ-ის დაშორებით.

ძალზე ძნელია ჩვენს მწარმოებლებში დამკვიდრდეს ასოციაციის ან კოოპერაციის მოდელი. ჩვენი პროექტის ბენეფიციარები თავად გაერთიანდნენ, მათი წარმოების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე. პროექტი დაეხმარება მათ, რომ ყველაფერი სწორად გააკეთონ და კარგი შედეგი მიიღონ.

გარდა ამისა, ეს ბენეფიციარები ახალგაზრდა მეფუტკრეები არიან. მათ სურთ კარგი შედეგების მიღება, ახალი ტექნოლოგიების იმპლემენტაცია, სტაბილური ბიზნესების შექმნა. ამ მაგალითის არსებობით, შესაძლებელი იქნება გაერთიანება ან კლასტერების სტრუქტურის შექმნა დანარჩენ მეფუტკრეებთანაც, როგორც პროფესიონალებთან, ასევე მოყვარულებთან.

საკვანძო მეწარმე

PACA-ს ჯგუფის ლიდერმა, შტეფან სანდიკმა, 29 წლის, გადაწყვიტა დაბრუნებულიყო სოფელ სიპკაში, 5-წლიანი მუშაობის შემდეგ დიდ ბრიტანეთში. მიიღო რა გარკვეული გამოცდილება, მან საკუთარი ბიზნესი დაიწყო. სამი წლის მუშაობის და შესაბამისი ინვესტიციების შემდეგ იგი 1000 სკას ფლობს. ასევე აქ, მშობლიურ სოფელ სიპკაში, შტეფანმა გადაწყვიტა ინტეგრირებული ეკონომიკური მოდელის ინიცირება და სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის დაფუძნება მეწარმეების ჯგუფსა და პრიმარიას შორის. მოხდა შეხვედრის ორგანიზება თემის საბჭოს წევრებთან და მიღებული იქნა ერთობლივი გადაწყვეტილება ჩართულიყვნენ თემის განვითარების საქმეში.

მეფუტკრეობის მწარმოებელი ჯგუფი სიპკაში:

1. Faguras de Aur Ltd
2. Rural farm Sandic Doina
3. Best Honey Ltd
4. Golden Honey Ltd
5. Rural farm Sandic Andrei
6. Casa Mioarelor Ltd
7. Rural farm Stina Veronica
8. Rural farm Cibotari Liliana

ჯგუფის წევრების ერთობლივ საკუთრებაში მყოფი აქტივები:

- ათასზე მეტი სკა
- მოწყობილობა ხის დამუშავებისთვის
- მოტოდელტაპლანი
- მობილური ლაბორატორია თაფლის ამოსაღებად
- სატვირთო მანქანა-მაცივარი
- სატვირთო მანქანა

ღირებულების ჯაჭვები მეფუტკრეობის დარგში, სიპკას თემი



მეფუტკრეობის დარგის პერსპექტივების ანალიზი

ძლერი მხარეები	სუსტი მხარეები
• მენეჯმენტი • სუსტი კონკურენცია • მთლიანი ციკლი • ექსპორტი დიდი ოდენობით • პროდუქტის ხარისხი • ასორტიმენტი • ტექნიკური რესურსები • საფუტკრეების ქსელი • ეფექტური აღჭურვილობა • თაფლის მომცემი ბაზა • ტრადიცია (მეფუტკრეები მეოთხე თაობაში) • კვალიფიციური პერსონალი • უახლესი და ეკოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვა • მობილურობა • მომსახურების გაყიდვა (სხვა საფუტკრეების შექმნა ქსელის გარეთ)	• სამუშაო ძალის ხარისხი • არასაკმარისი ფინანსური რესურსები • ადგილობრივი ხელისუფლების ბიუროკრატია • გადამამუშავებელი ცენტრების მაკლებობა • პესტიციდების გამოყენება

სიპკაში კლასტერის მიხედვით ბიზნესის განვითარების გეგმები შემდეგი 5 წლისთვის:



- 100 პროდუქტი 100 ადამიანისთვის
- სამაცივრო დანადგარები
- ხილის და მოსავლის საშრობი
- შესაფუთი საამქრო
- რეკრეაციული ცენტრი
- რესურსების ცენტრი ადგილისთვის
- ტურისტული პროექტი, რომელიც მდებარეობს 100 ჰა-ზე

მეფუტკრეობის სექტორის განვითარების ინიციატივები

რეგიონული საინფორმაციო ცენტრის შექმნა მეფუტკრეებისთვის, მათ შორის ონლაინ საინფორმაციო სისტემა

- ამჟამად, მეფუტკრეებს არა აქვთ ინფორმაცია და არა აქვთ საკონსულტაციო მხარდაჭერა, და ამ ცენტრის შექმნა გაზრდის მათ წვდომას ინფორმაციასთან, შეკრებს ქვეყნის ექსპერტებს კონსულტაციების შესათავაზებლად. ასევე, ონლაინ რეგისტრაციის საშუალებით მათ ექნებათ შესაძლებლობა, რეკლამირება გაუწიონ თავიანთ პროდუქტს და გააუმჯობესონ საფუტკრეების მუშაობა.

ეს პროგრამა იფუნქციონირებს მეფუტკრეების ინფორმირების და განათლებისთვის, დიდი ყურადღება დაეთმობა პროდუქციის ხარისხის გაზრდას და საფუტკრეების მოდერნიზაციას.

- წარმოების კლასტერების შექმნა დამწყები, მცირე და პროფესიონალი მეფუტკრეებისთვის
- კლასტერები შეიქმნება თითოეული მეფუტკრის წარმოების შესაძლებლობებზე და პროფესიულ დონეზე დაყრდნობით. ეს მოდელი დაეხმარება მოლდავურ თაფლს გააუმჯობესოს კონკურენტულობა საერთაშორისო ბაზარზე.

უნდა მოხდეს გამოცდილების გაზიარების პროგრამის ორგანიზება ევროკავშირის ქვეყნებსა და მოლდოვას შორის

ორგანიზებული იყო საინფორმაციო კამპანია ბენეფიციარების მოსაზიდად პროგრამის იმპლემენტაციის შემდგომი ეტაპებისთვის

- მოხდება შედეგების აქტიური რეკლამირება და გავრცელება სხვა რეგიონებში, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩათვლით

დომულგენის თემი

მდებარეობა

სოფელი დომულგენი მდებარეობს ფლორეშტის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რაიონული ცენტრიდან 30 კმ-ს დაშორებით და მოლდოვას რესპუბლიკის დედაქალ კიშინიოვიდან 110 კილომეტრში, ხოლო რკინიგზის სადგურ როგოჟენიმდე 3 კმ-ია. ჩრდილოეთით დომულგენის ესაზღვრება როგოჟენი სოლდანეშტის რაიონიდან, სამხრეთით - სოფელი პროფანეშტი, დასავლეთით - სოფელი კასუნკა და აღმოსავლეთით - სოლდანეშტის რაიონის სოფელი პოჰოარნა.

მოსახლეობის რაოდენობა

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსახლეობა შეადგენს 1571 ადამიანს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მოლდაველია. მოსახლეობის 99% მართლმადიდებელია.

მთლიანი ფართობა

მიწის მთლიანი ფართობი შეადგენს 2 261.32 ჰა-ს, მათ შორის:

- სახნავი მიწა - 1444.27 ჰა
- საძოვრები - 291.28 ჰა
- მრავალწლიანი ნარგავები - 233.79 ჰა
- სახელმწიფო მიწა - 107.24 ჰა
- ადგილობრივი ხელისუფლების საკუთრებაში მყოფი მიწა - 496.99 ჰა
- კერძო მიწა - 1 657.09 ჰა
- წყაროები - 4

ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

<u>სასოფლო მილსადენები</u>

- სოფლის წყალსადენი მალე შევა ექსპლუატაციაში
- ოჯახების 15% მიერთებულია ბუნებრივ აირთან
- სოფელი მთლიანად ელექტრიფიცირებულია. ელექტროქსელი კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ ქუჩები არ არის განათებული

<u>ტელეკომუნიკაციები: სატელეფონო კავშირი, მობილური კავშირით დაფარვა, ინტერნეტი</u>

- ოჯახების დაახლოებით 90% შეერთებულია სახელმწიფო კომპანია „მოლდტელეკომის“ სატელეფონო ქსელთან
- მობილური კავშირით დაფარვა კარგია
- მოსახლეობის 20%-ს აქვს ინტერნეტი (მათ შორის სოფლის გიმნაზიას და პრიმარიას)

<u>ტრანსპორტი</u>

- ავტობუსის მარშრუტი ფლორეშტი - კიშინიოვი და სოროკა - კიშინიოვი
- სოფელში არ არის რკინიგზა, მანძილი უახლოეს რკინიგზის სადგურამდე 3 კმ-ია (როგოჟენი)

<u>სოციალური ობიექტები</u>

1. გიმნაზია. მთლიანი ტევადობა: 225 ადგილი, მუშაობს 17 მასწავლებელი
2. საბავშვო ბაღი. ტევადობა: 120 ადგილი, ამჟამად არ ფუნქციონირებს, ცუდ მდგომარეობაშია, საჭიროებს რემონტს
3. საჯარო ბიბლიოთეკა. მდებარეობს პრიმარიას შენობაში, აქვს 1 ოთახი, არ არის სამკითხველო, ყველა წიგნი ძველია. 1 ადამიანი მუშაობს
4. ოჯახის ექიმების ოფისი. მდებარეობს საბავშვო ბაღის შენობაში, არის 1 ექიმი და 4 ექთანი, 1 სანიტარი. შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, არ არის წყალი, კანალიზაცია, არის ცენტრალური გათბობა, ამჟამად ოთახი მთლიანად გარემონტებულია, თანამედროვე აპარატურა არ არის
5. კულტურული ცენტრი მდებარეობს დასახლების ცენტრში, დაზიანებულია და საჭიროებს აღდგენას
6. ფოსტა მდებარეობს პრიმარიას შენობაში, დასაქმებულია 2 ადამიანი
7. წმ. ნიკოლოზის მართლმადიდებელი ეკლესია
8. სტადიონი

ეკონომიკის დარგების ანალიზი

დომულგენიში მოქმედებს 80-ზე მეტი ეკონომიკური სუბიექტი: დაახლოებით 65 სასოფლო ფერმა (685 ჰა), 10 ეკონომიკური სუბიექტი ვაჭრობის სფეროში და 1 მიწათმოქმედების დარგში. მოსახლეობის 70% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში. დომულგენიში არის ვაშლის ბაღები წვეთოვანი მორწყვით, ვაშლის დასამუშავებელი შენობა (SRL Domultera), ისევე როგორც დაახლ. 20 მეწარმე, რომელიც აწარმოებს სახლში დამზადებულ ძეხვეულს. სასმელი წყლის მიწოდების სისტემა, გზების აღდგენა და ბუნებრივი აირის გაყვანა უმსხვილეს პროექტებს შორის არის.

ზემოთ ნახსენები 11 ეკონომიკური სუბიექტი, რომელიც მუშაობს დომულგენიში, ქვემოთ არის მოცემული (გარდა ფერმებისა):

ნომ.	სახელწოდება	დარგი
1.	Î.I. “Feodora Boldescu”	ვაჭრობა
2.	Î.I. „Veronica Vrabie”	ვაჭრობა
3.	Î.I.”Alexei Tîltu “	ვაჭრობა
4.	Î.I.”Grecu Andrei”	ვაჭრობა
5.	Î.I.”Lida Tîltu”	ვაჭრობა
6.	Î.I.”Şaramet Constantin”	ვაჭრობა
7.	Î.I.”Lavranciuc Iurie”	ვაჭრობა
8.	Consum COOP Prodănești	ვაჭრობა
9.	SRL “DAVILAS-NORD”.	ვაჭრობა
10.	I.I. Popovschi Victoria	ვაჭრობა
11	SRL “Domulterra”	სოფლის მეურნეობა

<u>დომულგენის მთავარი ეკონომიკური დარგებია:</u>

- საქონლის მოშენება
- ძეხვეულის წარმოება
- მეხილეობა
- ტურიზმი (მომავლის პოტენციალით)

<u>დომულგენის ეკონომიკური უპირატესობები</u>

1) მდებარეობს განახლებული ეროვნული მნიშვნელობის გზატკეცილის M2-ის ახლოს + რკინიგზის სადგური
2) მდებარეობს მდინარე რაუტის ნაპირებზე
3) ტრადიციები - სახლში დამზადებული ძეხვეულის წარმოება
4) დიდი საკვირაო ფესტივალის ორგანიზაცია
5) ტურისტული ღირშესანიშნაობები ისტორიით - ძველი სახლები, ეკლესია
6) მოლდოვაში ერთ-ერთი პირველი შემფუთავი საამქრო (სახლი)
7) ხალხური რეწვის ოსტატები - ხის დამუშავება, თიხის ჭურჭლის დამზადება

<u>ადგილის ეკონომიკური პრობლემები</u>

სტრატეგიული გეგმის შემუშავების მოსამზადებელი ეტაპის დროს ორი მიზნობრივი ჯგუფის დისკუსია იქნა ორგანიზებული ფოკუს-ჯგუფების მეთოდის გამოყენებით. ამ დისკუსიების დროს დომულგენის შემდეგი ეკონომიკური პრობლემები იქნა დადგენილი:

- ადგილობრივი და მისასვლელი გზები დაზიანებულია
- ადგილობრივი ბიუჯეტი არ იძლევა სოციალური პრობლემების გადაჭრის საშუალებას
- თემს არ გააჩნია საკმარისი სასმელი წყალი
- ყველა ოჯახი და დაწესებულება არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი აირით
- უმუშევრობის მაღალი დონე, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, არ არსებობს საკმარისი სამუშაო ადგილები კარგი ხელფასით
- სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლები მწვავე პრობლემებს აწყდებიან მათი პროდუქციის გაყიდვისას: დაბალი ფასები, გარე ბაზრებზე გასვლის შეუძლებლობა
- სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობა მოძველებულია
- მიწის დამუშავებისთვის, მოსავლის მოყვანისთვის ძველი ტექნოლოგიების გამოყენება
- ნედლეულზე გაბერილი ფასები: ენერგეტიკურ რესურსებზე, საწვავზე, მარაგნაწილებზე
- მაღალი საპროცენტო განაკვეთები აგრარულ სესხებზე

<u>არასამთავრობო ორგანიზაციები</u>

საჯარო ორგანიზაცია “Pro Domulgeni” მუშაობს 2005 წლიდან, თემის სოციალურ განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით და სოფელში პროექტების მოსაზიდად. ასოციაციამ დახმარება გაუწია დომულგენის მიერთებას გაზსადენთან.

<u>დანაზოგების და სესხების ასოციაცია</u>
დომულგენიში მოქმედებს დანაზოგების და სესხების ერთი ასოციაცია. ის დაარსდა 2000 წელს და ამჟამად 240 წევრი ჰყავს.

SWOT-ანალიზი

სოფელ დომულგენის SWOT-ანალიზი ქვემოთ არის მოცემული. ეს მეთოდი იძლევა შიდა ძლიერი და სუსტი წერტილების დადგენის საშუალებას, ისევე როგორც გარე საფრთხეების და შესაძლებლობების.

<u>ძლიერი მხარეები:</u> სოფლის კონკურენტული უპირატესობა, რომელიც შეიძლება გახდეს განვითარების შიდა ფაქტორი.

<u>სუსტი მხარეები:</u> ფაქტორები, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ სოფლის განვითარებას.

<u>შესაძლებლობები</u>: გარე ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ სოფლის კონკურენტული უპირატესობის განვითარებას.

<u>საფრთხეები:</u> გარე ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან განვითარებას და იწვევენ კონკურენტული უპირატესობის დაკარგვას.

ძლიერი მხარეები (S)	– ძველი სპეციალიზებული ტრადიციები სახლში დამზადებული ძეხვეულის წარმოებაში – სასოფლო-სამეურნეო მიწა, რომელიც გამოსადეგია ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისთვის – მდიდარი ფაუნა – ნიადაგის და ჰაერის დაბინძურების დაბალი დონე – ტურისტული პოტენციალი – კვალიფიციური პერსონალი – ტრადიციული ნაკეთობები – არსებული მუშახელის ჩაბმა დასაქმებაში – ფოლკლორი და სამზარეულოს ტრადიციები – გაზსადენი – ტელეფონი / ინტერნეტი – ეროვნული მნიშვნელობის გზა, რომელიც აერთებს სოფელს რაიონულ ცენტრებთან და დედაქალაქთან
სუსტი მხარეები (W)	– ბუნებრივი რესურსები არასაკმარისად გამოიყენება – მუშახელის ემიგრაცია საზღვარგარეთ – მოთხოვნის და მიწოდების არახელსაყრელი კორელაცია დასაქმების ბაზარზე – ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ან ასოციაციის ნაკლებობა, ვინც ხელს შეუწყობდა განვითარების პროცესს – სუსტი პარტნიორობა სკოლასა და ბიზნეს-გარემოს შორის – ახალგაზრდების ემიგრაცია დიდ ქალაქებში სწავლისთვის – გეოგრაფიული მდებარეობის მიერ მიცემული პოტენციალის არგამოყენება – ტურისტული აქტივობების ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ან დაბალი ხარისხი – ტურიზმის ხელშემწყობი ორგანიზაციების მცირე რაოდენობა – ეკონომიკური სუბიექტების მცირე რაოდენობა – ინვესტორების ნაკლებობა – კანალიზაციის არარსებობა – საოჯახო ნარჩენების შეგროვების საჯარო მომსახურების არარსებობა

შესაძლებლობები (O)	– მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შეცვლა პროგრამების საშუალებით, რომლებიც სტიმულს აძლევს ახალგაზრდებს სოფლად დასახლდნენ – ეროვნული ოსტატები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთი ცოდნა გადასცენ ახალგაზრდა თაობას – თემატური ფესტივალების ორგანიზების შესაძლებლობა – ტურისტული პოტენციალის გამოყენება – იმიჯური და საინფორმაციო კამპანიების მოწყობა აგრო და სასოფლო ტურიზმის წასახალისებლად – ხელნაკეთი ნივთების წარმოების გამოყენება – საერთო ინტერესის მქონე ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის პარტნიორობის / ასოციაციების განვითარების პოტენციალი ტურიზმის განვითარებისთვის – ინვესტორების მოზიდვა ხელმისაწვდომი საიჯარო მიწის შეთავაზებით – აგრარული დარგის განვითარება ახალგაზრდა ფერმერებისთვის – ადგილის გამოყოფა აგრარული პროდუქტების გასაყიდად – სასაკლაოს შექმნა და ბაზრის დაარსება საბოლოო პროდუქტების გასაყიდად
საფრთხეები (T)	– ჩამდინარე წყლების დასამუშავებელი ობიექტის არარსებობა – სტრუქტურების არასათანადო აღჭურვა, რომლებიც უნდა მუშაობდნენ ეკოლოგიური კატასტროფის დროს – ეკონომიკური სუბიექტებისთვის და ხელისუფლებისთვის დიდი ეკონომიკური სირთულეები საინვესტიციო ხარჯების გაღებაში ბუნების დაცვისთვის – პროფესიონალური კვალიფიკაციის ამაღლების / გადამზადების პროგრამების ნაკლებობა – კვალიფიციური მუშახელის მიგრაცია ევროკავშირში – მცირე ინვესტიციები ტურიზმში – აუცილებელი სახსრების ნაკლებობა საერთო დანიშნულების ინფრასტრუქტურის ინიცირების ან დასრულების სამუშაოებისთვის – ადგილობრივი აგრარული პროდუქტების რეკლამირების და გაყიდვის ხელშეწყობის სპეციალური პოლიტიკის არარსებობა

ადგილის კონკურენტული უპირატესობები

სოფელი დომულგენი არის ტრადიციების მქონე დასახლება, მდებარეობს მდინარე რაუტის ნაპირებზე, ლამაზი პეიზაჟებით. სოფელი შეტანილია ტურისტულ მარშრუტში და გააჩნია <u>რამდენიმე შეუსწავლელი შესაძლებლობა ტურიზმის განვითარებისთვის</u>. ამჟამად, დომულგენი ცნობილია ყოველწლიური დიდი საკვირაო ფესტივალით, რომელიც ბოლო 5 წელია იმართება. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით, გაიხსნა სოფლის მუზეუმი ეროვნული სტილის სახლში, მაგრამ ის ამჟამად არ მუშაობს. ამავე დროს, დომულგენი ცნობილია მის მცხოვრებთა სამეწარმეო უნარებით, განსაკუთრებით საქონლის მოშენებაში და <u>ოჯახში დამზადებული ძეხვეულის</u> წარმოებაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სოფელში ბევრი ოჯახი აწარმოებდა და ყიდდა ძეხვეულს.

მთავარი პრობლემა ისაა, რომ სოფელი უკვე ცნობილია ფესტივალის ორგანიზაციით და ძეხვეულის წარმოებით, მაგრამ მას აკლია შესაძლებლობები და სერვისები, რომ მიიღოს ტურისტები წელიწადის სხვა დროებში. ამგვარად, ფესტივალის ორგანიზაციის დროს სოფლის მოსახლეობა დიდ ძალისხმევას ხარჯავს მისი ორგანიზებისთვის, უფასო ნებაყოფლობითი შრომის ჩათვლით, მაგრამ ეს ძალისხმევა შემდეგ პერიოდებში არ გამოიყენება. არ არსებობს სასოფლო პანსიონატი და დღემდე ტურისტების მომსახურება არ ითვლებოდა შესაძლო ბიზნესად, მიუხედავად იმისა, რომ ადგილს გააჩნია ლამაზი პეიზაჟები

და ტრადიციები, არანაკლებ ვიდრე ორჰეიულ ვეჩის. მიზეზი იმისა, თუ რატომ არ იჩენენ ადგილობრივი მეწარმეები ამგვარ აქტივობას, არის ის, რომ მათ არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა, საკმარისი ფინანსური რესურსები და სოფელი არ არის რეკლამირებული ტურისტული სააგენტოების მიერ. ტურისტული სექტორის ინტეგრირებული განვითარება გაამლიერებს სოფლის კონკურენტულ უპრატესობებს, რომლებიცაა, კერძოდ, მისი ლამაზი პეიზაჟები და საოჯახო ძეხვეულის დამზადების ტრადიცია (ერთადერთი ამგვარი სოფელი მოლდოვაში).

დარგის ანალიზი და ინიციატივების შემუშავება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის

სემონარების ჩატარების შედეგად, დადგინდა ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი სექტორები. მათ შორის შერჩეული იქნა 2 დარგი, რომლებსაც მთავარი წვლილი შეაქვთ თემის განვითარებაში და ასახავენ სოფელ დომულგენის კონკურენტულ უპირატესობებს: ძეხვეულის წარმოება და ტურიზმი. ეს დარგები შერჩეული იყო შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

- საოჯახო ძეხვეულის დამზადების არსებული ტრადიცია და ნოუ-ჰაუ
- დიდი საკვირაო ფესტივალის ყოველწლიური ორგანიზაცია
- ლამაზი პეიზაჟები
- გარემოებები მენეჯერული და ტექნიკური კომპეტენციის გასაძიერებლად
- დარგის განვითარების ბმა დომულგენის თემის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმასთან (2012-2017).

როგორც შედეგი, ჩამოყალიბდა ჰიპოთეზები სიტუაციის აღწერის შესახებ თითოეული დარგისთვის და დადგინდა განვითარების ფაქტორები, რომლებიც შემდგომში დაიხვეწა და კონსოლიდირებული იქნა სემინარების და ადგილზე გასაუბრებების შედეგად. შედეგები მოყვანილია ყოველი დარგისთვის ცალ-ცალკე.

ძეხვეულის წარმოება

დარგის აღწერა

სახლში დამზადებული ძეხვეულის წარმოება არის ტრადიციების მქონე დარგი. ის ბოლო 30 წლის განმავლობაში ვითარდება და პიკს მიაღწია საბჭოთა კავშირის არსებობის დროს. ამ დარგის გამოცოცხლება დიდ სარგებელს მოუტანს დასახლებას. ამჟამად დაახლოებით 15 მეწარმეა, რომლებიც მუშაობენ ამ სფეროში. მათი წარმოება მერყეობს 50-დან 500 კგ-მდე დღეში. დისტრიბუციის ქსელი შედგება ადგილობრივი და რეგიონული ბაზრისგან და კიშინიოვისგან.

დარგის პრობლემები და შესაძლებლობები

დარგში არსებული სიტუაციის ასახვისთვის, გამოყენებული იქნა „პორტერის რომბი“, სტრატეგიული ანალიზის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა დადგინდეს დარგის ძლიერი და სუსტი მხარეები, 1) მწარმოებლებთან (მათი უნარები, კომპეტენციები, ბიზნესის მოდელი და ა.შ.), 2) მომწოდებლებთან (ურთიერთობა მათთან, ნედლეულის ხელმისაწვდომობა და ა.შ.), 3) ხელშემწყობ ორგანიზაციებთან (არასამთავრობოები, ბანკები, სხვა ინსტიტუტები, რომლებსაც შეუძლიათ წვლილი შეიტანონ დარგის განვითარებაში) და 4) კლიენტებთან (პროდუქტის იმიჯი, ურთიერთობა კლიენტებთან, საბაზრო პირობები) მიმართებაში.

შესაბამისად, ასახული იქნა ძირითადი პრობლემები, რომლებიც მიანიშნებენ დარგის პროდუქტების რეკლამირების ნაკლებობაზე, მცირე დივერსიფიკაციაზე, რომელიც აქვთ მწარმოებლებს პროდუქტების ასორტიმენტთან მიმართებაში და სუსტ კოოპერაციაზე. ასევე, აუცილებელია მუშაობა იმისთვის, რომ მოხდეს მომხმარებლის მგრძნობიარობის ამაღლება და ახალ ბაზრებზე გასვლა (ადგილობრივის გარდა).



დარგის განვითარების ფაქტორები

პრობლემების და შესაძლებლობების ანალიზის შედეგად, დადგინდა საკვანძო დეტერმინანტები (ფაქტორები) დარგის განვითარებისთვის (რომლებსაც გააჩნიათ ზემოქმედება თემის განვითარებაზე):

- *ბაზრის განვითარება* (წვდომა რეგიონულ ბაზართან, გასვლა მთელი მოლდოვის ბაზრებზე). ადგილობრივი აქტორები, რომლებიც ჩართული უნდა იყვნენ: ადგილობრივი ხელისუფლება (რაიონული საბჭო, პრიმარია), სურსათის უსაფრთხოების ინსპექცია, მწარმოებლები

- *ახალი ტექნოლოგიები* - ახალი ტექნოლოგიების დანერგვა საშუალებას იძლევა, რომ დარგი უფრო ეფექტური გახდეს და აწარმოოს ბაზარზე მაღალკონკურენტული პროდუქტები. ადგილობრივი აქტორები, რომლებიც ჩართული უნდა იყვნენ: ადგილობრივი ხელისუფლება (რაიონული საბჭო, პრიმარია), მწარმოებლები
- *დარგის იმიჯის რეკლამირება* (ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე). აქტორები: ACSA, მოლდოვას ფერმერების ეროვნული ფედერაცია.
- *წვდომა დაფინანსებასთან* აქტორები: Banca di Economii, ODIMM (PARE, PNAET-ის (დაფ-ინანსების ხაზები)

ტურიზმი

დარგის აღწერა

დომულგენი არის სოფელი ლამაზი პეიზაჟებით, მდებარეობს მდინარე რაუტის ნაპირებზე, ეროვნული მნიშვნელობის გზის ახლოს. ამჟამად, დომულგენი ცნობილია ყოველწლიური დიდი საკვირაო ფესტივალით, რომელიც ბოლო 5 წელია იმართება. სოფელი შეტანილია ტურისტულ მარშრუტში, მაგრამ მისი ტურისტული პოტენციალი არის არის მთლიანად გამოყენებული. სოფელში არ არსებობს სასტუმრო და საჭირო ინფრასტრუქტურა.

დარგის პრობლემები და შესაძლებლობები

დარგში არსებული სიტუაციის ასახვისთვის, გამოყენებული იქნა „პორტერის რომბი“. ამგვარად, დადგინდა ძირითადი პრობლემები, რომლებიც მიანიშნებენ ინფრასტრუქტურის ნაკლებობაზე, სპეციალიზებული სერვისების არარსებობაზე და აგრარული ტურიზმის არასაკ-მარის ხელშეწყობაზე.





დარგის განვითარების ფაქტორები

პრობლემების და შესაძლებლობების ანალიზის შედეგად, დადგინდა საკვანძო დეტერმინანტები (ფაქტორები) დარგის განვითარებისთვის (რომლებსაც გააჩნიათ ზემოქმედება თემის განვითარებაზე):

- *განთავსების ინფრასტრუქტურის / სერვისების განვითარება* (პირობების შექმნა ტურისტების მისაღებად). ადგილობრივი აქტორები, რომლებიც უნდა მონაწილეობდნენ: ადგილობრივი ხელისუფლება (რაიონული საბჭო, პრიმარია), ეკონომიკური სუბიექტები შესაბამისი დარგებიდან
- *დარგის იმიჯის რეკლამირება* (ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე). აქტორები: ACSA, მოლდოვას ფერმერების ეროვნული ფედერაცია
- *წვდომა დაფინანსებასთან* აქტორები: Banca di Economii, ODIMM (PARE, PNAET-ის (დაფინანსების ხაზები)

ინიციატივები და აქტივობები თემის განვითარებისთვის PACA-ს ჯგუფისგან

1) **სოფლის იმიჯის რეკლამირება და გაძლიერება სოფლის ვებგვერდის შექმნით და ბროშურის გამოცემით**
   - ადგილის ტრადიციების, დომულგენის სამეწარმეო სერვისების რეკლამირება, ფესტივალის რეკლამირება, მოსახლეობის ინფორმირება, სოფლის მოსახლეობასთან გამჭვირვალობის და კომუნიკაციის დამყარება

2) **საინფორმაციო ცენტრის „Pro Domulgeni”-ის ხელახლა გაშვება**

- სოფლის მცხოვრებთა და მეწარმეთა ინფორმირება, პროექტების დაწერა დონორებისთვის, მოსახლეობის მგრძნობიარობის ამაღლება
- <u>მუშაობის პროცესშია:</u> ეს გამოყენებული იქნა ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტისთვის (APL-ის საშუალებით)

3) ფინანსური სახსრების მოზიდვა მეწარმეების განვითარებისთვის

- სემინარი, ტრენინგები ფინანსებთან წვდომაზე, კონსულტაციები, პროექტების განაცხადები (ACED, IFAD), მწარმოებელთა არსებულ ასოციაციებთან თანამშრომლობის განვითარება
- <u>მუშაობის პროცესშია:</u> სემინარის დაგეგმვა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ფინანსებთან წვდომის შესახებ, დახმარება ახალგაზრდა მეწარმეებისთვის დაფინანსების მიღებაზე, დახმარება 5 მეწარმისთვის

4) სოფლის მუზეუმის განახლება და სასოფლო სასტუმროს გახსნა

- შეტანილია პროექტში გარე დაფინანსებით
- ადგილობრივი და რეგიონული ეკონომიკური სუბიექტების ჩართვა

5) ძეხვეულის წარმოების საამქროს გახსნა თანამედროვე ტექნოლოგიით და დღეში 1000 კგ წარმადობით

ტექნოლოგიის, საჭირო რესურსების, დაფინანსების წყაროების დადგენა, **ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობის დაფუძნება**, ტურისტული სააგენტოების მოზიდვა, პროექტი „მოდით წავიდეთ სოფელში“, რეკრეაციული ზონის შექმნა მდინარე რაუტის ნაპირას და აგრარული ტურიზმის ხელშეწყობა

საქართველო

საქართველო წარმოადგენს ევრაზიაში მდებარე კავკასიის რეგიონის ერთ-ერთ ქვეყანას. დასავლეთ აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს, დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთით რუსეთი, სამხრეთით თურქეთი და სომხეთი, და სამხრეთ-აღმოსავლეთით აზერბაიჯანი. ქვეყნის დედაქალაქი და ამავდროულად ყველაზე დიდი ქალაქი თბილისია. საქართველოს ტერიტორია მოიცავს 67,700 კვ.კმ-ს (26,911 კვ.მ), ხოლო მოსახლეობის რაოდენობა 5 მილიონს აღწევს. საქართველო წარმოადგენს, უნიტარულ, ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკას, სადაც მთავრობის არჩევა ხდება წარმომადგენლობითი დემოკრატიის საშუალებით.

PACA მარტვილის, სამტრედიისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში

მარტვილის მუნიციპალიტეტი

მარტვილის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში. მისი ფართობი შეადგენს 88 060 ჰა-ს, საიდანაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 37 613 ჰექტარი, ხოლო 53 000 ჰა ტყეებს უჭირავს.

ადმინისტრაციულ ერთეულს ესაზღვრება ჩრდილოეთით ლენტეხის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით ცაგერისა და ხონის, სამხრეთით აბაშის, დასავლეთით სენაკისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტები.

მარტვილის მუნიციპალიტეტი ხასიათდება მრავალფეროვანი რელიეფით. ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილი კოლხეთის ბარის ვაკესა და მთისწინეთს უჭირავს, ხოლო ჩრდილეთ ნახევარი მთაგორიანია. ჰავა ნოტიო-სუბტროპიკულია. ზაფხული თბილი, ზომიერად ნოტიოა, ხოლო ზამთარი რბილი. საშუალო წლიური ტემპერატურა ბარში 120°C -ია, მთიან ზონაში კი ჰაერის ტემპერატურა ნაკლებია.

მოსახლეობის ძირითადი შემოსავლის წყარო არის სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა. წარსულში მუნიციპალიტეტის ძირითად შემოსავლებს ასევე უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობა: მეცხოველეობა, მეჩაიეობა, მესიმინდეობა, მეხილეობა. თუმცა ასევე ფუნქციონირებდა მსუბუქი მრეწველობის საწარმოები, კერძოდ საკონსერვო, ღვინის და რძის ქარხნები, ხის დამამუშავებელი და ავეჯის დამამზადებელი საწარმოები.

PACA მიერ ჩატარდა ტრენინგები მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ თარგამეულში, რომლის მოსახლეობაც აღწევს 3500 ადამიანს. სოფელ თარგამეულს და მის შემოგარენში არსებულ სოფლებს გააჩნიათ ის თვისებები რაც ჩვეულებრივ დამახასიათებელია მარტვილის მუნიციპალიტეტისათვის, როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის ნაწილისათვის.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და რეგიონში წარმოებულ დამატებულ ღირებულებაში მისი წილი 20%-ია. 2011 წელს რეგიონში სოფლის მეურნეობაში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 300,2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 16,5%-ით აღემატება 2010 წლის, ხოლო 37,6%-ით 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ამასთან, რეგიონის სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის **სოფლის მეურნეობის წარმოებაში** 14,1%-ს შეადგენს. ამ დარგში შრომისუნარიანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილია დასაქმებული. მათი უმრავლესობა თვითდასაქმებულთა კატეგორიას განეკუთვნებიან და ისინი თავიანთ **ოჯახურ მეურნეობებში** საქმიანობენ. სოფლის მეურნეობა არ არის სათანადოდ მოდერნიზებული და ძირითადად, ნატურალური მეურნეობის ნიშნებს ატარებს. მეტწილად იგი ორიენტირებულია არა ბაზარსა და პროდუქციის წარმოებაზე, არამედ კომლის სასურსათო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. გამონაკლისია **თხილის წარმოება,** რომელიც თითქმის მთლიანად **ექსპორტზეა გათვლილი**. მნიშვნელოვანი დისპროპორცია შეინიშნება დასაქმებულთა რაოდენობასა და პროდუქციის მოცულობას შორის. რეგიონი მცირემიწიანია. გარდა ამისა, რელიეფისა და სხვა ფაქტორების გამო, იგი გამოირჩევა ფართობების ფრაგმენტაციით, რაც ძალზე ართულებს მეურნეობების გამსხვილებას.

მიწის რესურსები

მარტვილის მუნიციპალიტეტში ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა სოფლის მეურნეობაა. ტერიტორიულ ერთეულში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 37 613 ჰექტარი უჭირავს, მათ შორის სახნავ-სათესი მიწებია 11 254 ჰა (30%), საძოვრები - 12 137 ჰა (32%), ხოლო **მრავალწლიან ნარგავებს 4 995 ჰა (13%)** უკავია. ადგილობრივი ხელისუფლების ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი, კერძოდ კი სახნავ-სათესი მიწები ბოლო ათ წელიწადში 10ჰა-ით შემცირდა, ძირითადად ღვარცოფისა და მდინარის ნაპირების წარეცხვის გამო. ამას გარდა, ადგილ-ადგილ საძოვრებზე განვითარებულია ეროზია.

მემცენარეობა

მარტვილის მუნიციპალიტეტში სახნავ-სათესს ტერიტორიას 11 254 ჰა უკავია, რაც **სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 30%-ია.** მემცენარეობა მუნიციპალიტეტში წამყვანი დარგია. აქ ფართოდაა გავრცელებული მესიმინდეობა, მრავალწლიანი ნარგავებიდან კი მოყავთ თხილი, ხურმა, ვაზის ენდემური ჯიში-**ოჯალეში.**

სიმინდის მოსავლიანობა შეადგენს 3 ტ/ჰა, **თხილის მოსავლიანობაა** 1.5-2 ტ/ჰა, **ხურმის**-20 ტ/ჰა, ხოლო **ვაზის მოსავლიანობაა** 1-1.5 ტ/ჰა. სამუშაო ჯგუფის ინფორმაციით, ბოლო პერიოდში მოსავლიანობაზე იმოქმედა დაბალპროდუქტიული სათესლე მასალის შემოტანამ, გახშირებულმა წვიმებმა და გვალვიანობამ. ამას გარდა, სიმინდისა და თხილის მოსავლის შემცირება გამოიწვია მავნებლების (ღეროს ფარვანას და ამერიკული პეპელას) გამრავლებამ, თუმცა 2012 წელს მავნებლების წინააღმდეგ გატარდა ზომები და ამ კულტურების მოსავლიანობა დაუბრუნდა ადრინდელ მაჩვენებელს.

მეცხოველეობა

მარტვილის მუნიციპალიტეტში **სათიბ-საძოვრებს** 12 137 ჰა უკავია, რაც **სასოფლო-სამეურნეო სავარგულების** 32%-ს შეადგენს. ეს ძირითადად ზაფხულის საძოვრებია, სათიბები კი ნაკლებადაა. 2012 წლის მდგომარეობით, მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა მუნიციპალიტეტში 33 000 სულს შეადგენს. მუნიციპალიტეტში მეცხვარეობასაც მისდევენ: 2012 წელში მუნიციპალიტეტში **ცხვრის** რაოდენობა შეადგენდა 1 000 სულს, ხოლო **თხის** - 4 500 სულს. მარტვილის საძოვრებზე სხვა მუნიციპალიტეტის პირუტყვიც შემოყავთ, თუმცა მათი სულადობის შესახებ გამგეობას მონაცემები არ გააჩნია. ადგილობრივ მსხვილფეხა პირუტყვზე გადაანგარიშებით, ერთ სულ საქონელზე მოდის 0.37 ჰა საძოვარი.

ტურიზმი

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს აქვს **ტურიზმის,** როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორის **განვითარების** მაღალი პოტენციალი, რასაც განაპირობებს ისეთ ფაქტორთა ერთობლიობა, როგორიცაა უნიკალური კულტურულ-ისტორიული ძეგლები, მუზეუმები, მღვიმეები და გამოქვაბულები, საჯომარდო და საპიკნიკო ადგილები, რეგიონის გეოგრაფიული თავისებურება - **ლანდშაფტური მოზაიკა და ბიოლოგიური მრავალფეროვნება.** ყოველივე ეს განსაკუთრებულ პირობებს ქმნის სხვადასხვა სახის ტურიზმის (საავტომობილო, საცხენოსნო, საფეხმავლო ტურიზმი, ეკოტურიზმი, საზღვაო-სანაოსნო, სამდინარო-სანაოსნო, სამონადირეო ტურიზმი, სამოყვარულო თევზჭერა, ფრინველებზე დაკვირვება, **აგროტურიზმი, შემეცნებითი ტურიზმი, პილიგრიმული ტურიზმი, ექსტრემალური ტურიზმი** და სხვ.) განვითარებისათვის.

გასულ წლებში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მარტვილის მუნიციპალიტეტში შემუშავდა ახალი ეკო-ტურისტული მარშრუტები, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მიმდინარეობს გოჭკადილის კანიონის ვიზიტორთა ცენტრის მოწყობა, იგეგმება ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება, რათა კვალიფიციური გიდები და მომსახურე პერსონალი ჩამოყალიბდეს. ყოველივე ეს კი **ტურიზმის განვითარების** კიდევ უფრო მეტ საშუალებას იძლევა.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტს გააჩნია **ღვინის ტურიზმის განვითარების საშუალება**. სოფ. თარგამეულში უკვე ფუნქციონირებს ღვინის მარანი, სადაც ტურისტებს საშუალება აქვთ დააგემოვნონ ადგილობრივი წითელი მშრალად დაყენებული **მეგრული ოჯალეში,** რომელიც მხოლოდ მდ. ტეხურის ხეობაში, ოჯალეშის ყურძნის მიკროზონაში არის დამზადებული. ასევე, შესაძლებელია ოჯალეშის ჭაჭის და ადგილობრივი პროდუქტების დაგემოვნება.

ოჯალეში

ქართული წითელყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიშის - ოჯალეშის სამშობლოდ ფაქტობრივად მთელი სამეგრელო ითვლება, ეს ჯიში განსაკუთრებულად კარგად მარტვილის რაიონში ხარობს. სოფლები: **სალხინო, თამაკონი და თარგამეული** ოჯალეშისათვის საუკეთესო მიკროზონადაა მიჩნეული და იმის მიუხედავად, რომ დღეს ამ სოფლებში არსებული ოჯალეშის რაოდენობა სასურველზე ბევრად მცირეა, ჯიშის ხელახლა აღორძინება სასურველია, რომ სწორედ მარტვილის რიაონიდან (მდინარე ტეხურას ხეობა) დაიწყოს.

ოჯალეში

ქართველი ამპელოგრაფების ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ სამეგრელოში დაბლარი სახით გაშენებული ოჯალეშის ვაზი ვერ აღწევს ამ ჯიშისათვის დამახასაითებელ მძლავრ ზრდა-განვითარებას და ამავე დროს, მცირე მოსავალსა და უფრო მდარე ღირსების ღვინოს იძლევა.

საინტერესოა სამაგრელოში გავრცელებული ოჯალეშის სინონიმი - შონური, ანუ სვანური. თუკი ამ ტერმინს ზერელედ შევხედავთ, რა თქმა უნდა ვიფიქრებთ, რომ "შონური" ჯიშის წარმომავლობისა და კუთხურობის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა იყოს. მაგრამ არც ისტორიული წყაროებით და არც რაიმე სახის სამეცნიერო კვლევით არ დასტურდება ოჯალეშის სვანურობა. პირიქით, თითქმის ყველა აგრობიოლოგიური კვლევა აჩვენებს, რომ ოჯალეში მკვიდრი მეგრული ჯიშია და მას **ჩვენი წინაპრები შავიზღვისპირეთში ასეულობით წლების წინ აშენებდნენ.**

გურიაში და ლეჩხუმში (ცაგერის რიონში) სამეგრელოს მსგავსად, ასევე გავრცელებულია "ოჯალეშის" სახელწოდებით ცნობილი წითელყურძნიანი ვაზის ჯიში. ქართველმა მეცნიერებმა ათწლეულების მანძილზე ჩატარებული კვლევების შედეგად დაადგინეს, რომ გურულსა და ლეჩხუმურ (ორბელურ) ოჯალეშს მეგრულ ოჯალეშთან არანაირი კავშირი არა აქვს და **გურულ-ლეჩხუმური ოჯალეში სრულიად სხვა ჯიშია და ღვინოც განსხვავებული დგება.**

ოჯალეში **ქართული ვაზის გენოფონდის** საუკეთესო წარმომადგენელია. აღსანიშნავია, რომ ოჯალეში ჩხავერისა და ოცხანური საფერეს მსგავსად, გვიან შემოდგომაზე იკრიფება, რაც ჯიშის უნიკალურობას კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს. მთელს დასავლეთ საქართველოში დიდი ისტორია შექმნა ამ ჯიშმა და მისგან მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო წითელი ღვინო

დგებოდა. ოჯალეშს მხოლოდ მეგრელები არ აშენებდნენ. ცნობილი ამბავია, რომ ეს ჯიში გურიაში და იმერეთშიც საკმაოდ იყო გავრცელებული. ანუ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოჯალეში ზოგადად **დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯიშია.** სამწუხაროდ, ქართული ღვინის კომპანიები **ოჯალეშს ბოთლირებული სახით თითქმის არ აწარმოებენ.** სამეგრელოში, მარტვილის რიაონის სოფელ სალხინოში ადგილობრივ მონასტერში მაქვს გასინჯული იქაური ბერების მიერ დაყენებული შესანიშნავი ოჯალეში, მაგრამ ეს ღვინო ეკლესიის არის და არ იყიდება.

ამ ბოლო დროს, საქართველოს მევენახობაში დასავლეთ საქართველოს ხვედრითი წილი ნელ-ნელა იკლებს. ანუ, დასავლეთში ვენახები თანდათან მცირდება, რაც ძალიან ცუდი ტენდენციაა. ბოლო პერიოდში გურიაში შეინიშნება ჩხავერის ვენახების ფართობის მცირეოდენი ზრდის ტენდენცია, რასაც სამეგრელოზე სამწუხაროდ ჯერ ვერ ვიტყვით. სასურველი იქნება, თუკი მეგრელი გლეხები არ დაივიწყებენ ძველ ტრადიციებს და ოჯალეშს - ამ **მართლაც უნიკალურ ჯიშს კვლავ დიდ ფართობებზე გააშენებენ.**

სანამ სოკოვანი დაავადებები და ფილოქსერა მე-19 საუკუნეში მთელს საქართველოს მოედებოდა, ოჯალეშის საკმაოდ დიდი ვენახები იყო გაშენებული აბაშის, სენაკის, ჩხოროწყუს, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებში. გავრცელებული აზრის მიუხედავად, რომ ოჯალეში ძირითადად მხოლოდ მთისპირა მეგრულ სოფლებში ხარობს, ეს ჯიში ზუგდიდისა და გალის ე.წ. დაბალი ზონის სოფლებშიც იყო გაშენებული. კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთიდან (ზუგდიდის რაიონი) ისტორიული სამურზაყანოს (გალის რაიონი) ტერიტორიამდე.

მეგრული ოჯალეში

მეგრელი მევენახე-მეღვინე გლეხების ერთი ნაწილი დღეს გეტყვით, რომ ოჯალეშისაგან წითელი ნახევრად ტკბილი ღვინო მზადდება და ეს ჯიში სწორედ ტკბილი ღვინის დაყენებისათვის არის ზედგამოჭრილი. ამ აზრს საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ბევრი მეღვინე და ღვინის სპეციალისტი იზიარებდა. ცნობილი ამბავია რუსების განსაკუთრებული სიყვარული ტკბილი ღვინოების მიმართ და იმის გამო, რომ მთელი ორი საუკუნის მანძილზე საქართველო რუსეთის სხვადასხვა სახით ფორმირებული იმპერიების ნაწილი იყო, ქართული მეღვინეობაც იმპერიის მოსახლეობის გემოვნებაზე იყო ორიენტირებული. დღეს ბევრი მეღვინე ამბობს, რომ ოჯალეშისაგან მაღალი ხარისხის წითელი მშრალი ღვინის დაყენება შეიძლება და ოჯალეშის ყურძნისგან პირველ რიგში სწორედ წითელი მშრალი ღვინო ყენდება. ამ არგუმენტებს ის ფაქტიც ამყარებს, რომ ჩვენ ფაქტობრივად არ გაგვაჩნია არანაირი ისტორიული წყარო, რომლითაც მცირეოდენი გამონაკლისების გარდა, სამეგრელოში და ზოგადად **საქართველოში ტკბილი ღვინის დაყენების** განსაკუთრებულ დიდ ტრადიციებს გაგვახსენებს.

Vino Martville/ღვინო მარტვილი

მცირე საწარმო, ღვინის მარანი - „ღვინო მარტვილი“ ჩამოყალიბდა 2012 წელს, რომლის ჩამოყალიბების მიზანი იყო, გადაშენების პირას მდგარი ოჯალეში ღვინის წარმოება და სხვა გადაშენებული მეგრული ჯიშების გაშენება. მეურნეობა მდებარეობს **მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელს თარგამეულში.**

Vino Martville/ღვინო მარტვილი

პირველივე წელს „ღვინო მარტვილეს“ მიერ წარმოებულმა ოჯალეშის ღვინომ დიდი მოწონება დაიმსახურა. ღვინო წარდგენილი იქნა „ღვინის ფესტივალი - 2013“-ზე, სადაც ყველა დიდი ინტერესით და აღფთოვნებით შეხვდა მეგურლი ოჯალეშის დაბრუნებას ქართულ ბაზარზე.

ოჯალეშის ღვინის ნიმუშები

„ღვინო მარტვილე“ ყურძნის შეძენას, ჯერჯერობით, **ადგილობრივი მოსახლეობისგან** ახორციელებს, მარგამ მკაცრად აკონტროლებს ყველა დეტალს, თუ როგორ **უვლიან ვენახს,** რომელ შესაწამლ საშუალებებს იყენებენ და ა.შ. საწარმოს უმთავრესი პრინციპი არის **აწარმოოს ნატურალი ბიო-ღვინო.**

ამ ეტაპზე მეურნეობაში შეძენილი და გადამუშავებული იქნა **1,5 ტონა ყურძენი.** „ღვინო მარტვილე“-ს ამჟამად ჩამოსხმული და საექსპორტოდ გამზადებული აქვს **700 ბოთლი ნატურალური ღვინო.**

მეურნეობა აქტიურად მუშაობს თავისი წარმოების განვითარებისა და გაფართოებისათვის. ჩამოყალიბების პირველ წელს, საწარმომ შეიძინა და გადაამუშავა ნახევარი ტონა ყურძენი, რის შედეგადაც ჩამოასხა 200 ბოთლი ღვინო. საწყის ეტაპზე პრობელმას წარმოადგენდა, ასევე, ხარისხიანი ყურძნის მოძიება. ადგილობრივები ძირითადად არ იცავდნენ ვენახის მოვლის ელემენტარულ სტანდარტებს. მომდევნო წლებში კომპანიამ ადგილობრივი ვენახის მფლობელები გადაამზადა და ასწავლა თუ როგორ უნდა მოევლოთ ვენახისთვის, რა სასუქები და შესაწამლი საშუალებები უნდა გამოეყენებინათ, რათა მათი ვენახს **ეკოლოგიურად სუფთა ყურძენი მოესხა.** აღნიშნულის შედეგად, უფრო მეტი ადგილობრივი მევენახე დაინტერესდა სტანდარტების შესაბამისად მოევლო ვენახისთვის, ამის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ისიც იყო, რომ ადგილობრივებმა დაინახეს მუდმივი შემსყიდველი. გატარებული ღონისძიებების შედეგად მეორე წელს გაიზარდა ჩაბარებული ყურძნის რაოდენობა და ამჟამად ჩაბარებული იქნა 1 ტონა ყურძენი, რის შედეგადაც ჩამოისხა 300 ბოთლი ნატურალური ღვინო. ბოლო წლისთვის მეურნეობამ ადრიდანვე დაიწყო მზადება: წინასწარ შეუთანხმდა და **გაუფორმა ხელშეკრულებები ადგილობრივ მევენახეებს,** შეიძინა ახალი ღვინის შესანახი უჟანგავი ჭურჭელი და მუხის ჩანი, რის შედეგადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩაიბარა 1,5 ტონა ყურძენი და ჩამოასხა 700 ბოთლი ღვინო, **რომელის ხარისხიც გასულ წლებთან შედარებით კიდევ უფრო გაუმჯობესებული არის.**

Vino Martville/ღვინო მარტვილეს სანრეგე მეურნეობა

„ღვინო მარტვილე“ აქტიურად მუშაობს განვითარებაზე და პარტნიორ ორგანიზაცია - **„ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების ცენტრი“**-თან ერთად მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. თარგამეულში ახორციელებს მეგრული ვაზის ჯიშების გაშენებას. ამჟამად

ორგანიზაციისა და მისი პარტნიორების კუთვნილებაში მყოფ მიწის ნაკვეთზე დაირგო ოჯალეშის 1500-მდე ნერგი, რომლის ბაზაზეც მომავალში მოეწყობა **სანერგე მეურნეობა** და მთელს სამეგრელოში გავრცელდება ვაზის უნიკალური ჯიშები. პროექტი 2013 წელს დაიწყო ქართული ვაზის ფონდის და ააიპ "აგროს" ხელშეწყობითა და დახმარებით.

საქართველოში უკვე გაჩნდა მოთხოვნა უნიკალური ჯიშების გამრავლების და შესაბამისად ღვინის წარმოებისა. ბაზრის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ არის საკმაოდ დიდი მოთხოვნა მეგრულ ჯიშებზე. გამომდინარე იქედანაც, რომ ფაქტიურად სამეგრელოში რამოდენიმე კერა არსებობს ამჟამად, სადაც გაშენებულია ვენახი, არის მოთხოვნა, რომ არსებობდეს სანერგე მეურნეობა სამეგრელოს რეგიონში, რათა ადგილობრივებს საშუალება ჰქონდეთ გააშენონ ადგილწარმოების ყურძენი. ამ ეტაპზე სანერგში არის მხოლოდ ოჯალეშის ყურძნის ნერგები, რომელიც თავის მხირივ უნიკალურია ადგილობრივი ჯიშური თვისებებით, მაგრამ სამომავლოდ ააიპ „აგრო“-სთან თანამშრომლობით იგეგმება სხვა ადგილობრივი ჯიშების ნერგების გამოყვანა. თითო ნერგის გაყიდვის საშუალო თანხად ამჟამად განსაზღვრულია 3-4 ლარი. სანერგე და ზოგადად მეურნეობის გაფართოებისათვის „ღვინო მარტვილე“ იძიებს ადგილზე დამატებით მიწის ნაკვეთს.

ოჯალეშის ვენახის ინდუსტრიის განვითარების ჯაჭვი

მხოლოდ ოჯალეშის ღვინის წარმოება ინდუსტრიის განვითარებისთვის არ არის საკმარისი, ამიტომ შექმნილია შემდეგი ჯაჭვი:



ინიციატივები განვითარებისათვის

„ღვინო მარტვილე“ სამეგრელოს რეგიონში ფაქტობრივად ერთადერთი მოქმედი **მარანია**, რომელიც ღვინოს აწარმოებს და გააქვს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. მარტვილის მონასტრის მარანში წარმოებული ღვინო ინახება მონასტრის მარანში.

ასევე, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტს, თავისი ბუნებრივი სილამაზით და ლანდშაფტით დიდი პოტენციალი გააჩნია **ტურიზმის განვითარებისათვის.** ამ კუთხითაც „ღვინო მარტივლე“ ცდილობს საკუთარი ნიშა დაიკავოს. ადგილზე უკვე აშენებულია ღვინის მარანი, სადაც **ჩამოსულ სტუმარს** შეუძლია დააგემოვნოს ადგილობრივი წარმოების ნატურალირ მეგრული ოჯალეშის ღვინო, გასინჯოს **ადგილობრივი წარმოების ნატურალი პროდუქტები**, მონაწილეობა მიიღოს ღვინის მოვლაში, არყის გამოხდაში და სხვადასხვა აგრო საქმიანობაში.

მიზანშეწონილია მოხდეს ადგილობრივი მწარმოებლების გადამზადება, სადაც მონაწილეებს საშუალება მიეცემათ მოწვეული ექპსერტების დახმარებით გაეცნონ, როგორ უნდა მოუარონ ვენახს მთელი წლის განმავლობაში, როგორ დააყენონ **ნატურალური ბიო-ღვინო, რომელიც დააკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს.** როგორ მოახდინონ თავიანთი წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, რა დამატებითი სერვისების განავითარებაა საჭირო **ღვინის ტურიზმის კუთხით**, ასევე რა კუთხით უნდა მოხდეს ადგილობრივი ხელისფულების ჩართულობა ამ დარგის განვითარებისთვის.

ყოველივე ამის შედეგად შესაძლებელი იქნება უფრო სწრაფად განვითარდეს რეგიონში მეღვინეობა და ღვინის ტურიზმი, რომლის რეალური რესურსიც **მარტვილის მუნიციპალიტეტს გააჩნია.**

მარანი „ღვინო მარტვილე“

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთხსენებული სექტორისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების მიზნით საჭიროა შემდეგი ინიციატივების პრაქტიკაში განხორციელება:

- ევროპის ბაზარზე ექსპორტირებისათვის საჭირო ტექნიკური რეგულაციების თავისებურებების შესახებ გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება.
- სუბსიდიების მოპოვება ადგილობრივ მეწარმეთათვის, ნატურალური ბიო-ღვინის პოპულარიზაციისა და ტურისტული აქტივობების სარეკლამო კამპანიის საწარმოებლად.
- საზოგადოებრივი გზების უზრუნველყოფა ღვინის ვენახების მიმართულებით, ტრანსპორტაციასა და მისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების შესამცირებლად.

SWOT ანალიზი



PACA-ს ტრენინგების შედეგად განხორციელებული ინიციატივები:

მას შემდეგ რაც განხორციელდა PACA-ს ტრენინგები მარტვილის რეგიონში, ადგილობრივი ბიზნეს სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების თანამონაწილეობით გადაწყვეტილება იქნა მიღებული ადგილობრივი ტურისტული ცენტრის პროექტის შემუშავების შესახებ. 2014 წლის ნოემბრის ბოლოს კი მომზადდა პროექტი, რომელიც მოიცავდა დეტალურ სამშენებლო გეგმას და ადგილობრივი ტურისტული სააგენტოს ორგანიზაციულ-სტრუქტურულ სქემას. ეს კი წარმოადგენს საფუძველს გამოცხადდეს ტენდერი ადგილობრივი ტურისტული სააგენტოს ნაგებობის მშენებლობისათვის.

ექსპლოატაციისათვის დამტკიცებული პროექტის დიზაინი:

a) წინა ხედი

b) უკანა ხედი

2014 წლის ნოემბერის თვეში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, მარტვილის ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები დაესწრნენ ევროპელი ექპერტების მიერ ჩატარებულ ტრენინგს, სახელწოდებით „ექსპორტი ევროპის ბაზარზე“. ღონისძიება განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციისა და მარტვილის რეგიონის ადგილობრივი მეწარმეების ერთობლივი ძალისხმევით. გადაწყვეტილება, აღნიშნული აქტივობების განხორციელების შესახებ, მიღებულ იქნა PACA-ს სწავლებებზე, რომლის მიმდინარეობის დროსაც წინა პლანზე წამოიწია ის ინიციატივები, რომლებიც მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

ასევე, შეთანხმება იქნა მიღწეული რეგიონის ინფრასტურქტურის განვითარების შესახებ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ და ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებმა მიმართეს ცენტრალურ ხელისუფლებას გზების რეაბილიტაციისათვის ფონდების გამოყოფის შესახებ. თავის მხრივ ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღნიშნულ საკითხებს გაითვალისწინებდა მომავალი წლის ცენტრალურ ბიუჯეტში.

შავი ზღვის აუზის რეგიონში არსებული ქვეყნების მიერ შემოთავაზებული ტრანსსასაზღვრო ინიციატივები:

საქართველო-საბერძნეთი

1. მარტვილი, პეტრა და პიერა, დიონი: გამოცდილების გაზიარება ტექნიკური რეგულაციების შესახებ ევროკავშირის ბაზარზე - ბერძნების მხრიდან, გამოცდილების გაზიარება რუსეთის ბაზარზე ექსპორტის თავისებურებების შესახებ ქართველების მხრიდან.

საქართველო-სომხეთი

1. ქალაქ ნოემბერიანში ქართული აგრო-ტურიზმის შესახებ ინფორმაციის/რეკლამის გავრცელება სომეხ და ირანელ ტურისტებზე გათვლით. აგრო ტურისტული პაკეტის შექმნა და მისი სომეხი ტურისტებისათვის შეთავაზება ქართული და სომხური რეგიონების ერთობლივი მარკეტინგული აქტივობების საშუალებით. სომხეთის მხრიდან ქ. ნოემბერიანს გააჩნია შესაძლებლობა გახდეს ერთობლივი მარკეტინგული აქტივობების გადამკვეთი ცენტრი.

2. თანამშრომლობა მეწარმეებს შორის ბაზრის განაწილებასთან დაკავშირებით, მაგ, საქართველო -> სომხეთი -> რუსეთი, შესაძლო გეგმის შემუშავება საქართველოს ნაწარმის რუსეთში ექსპორტირებასთან დაკავშირებით სომხური ფირმების შუამავლობით.

საქართველო-მოლდოვა

1. გამოცდილების გაზიარება სოფლის მეურნეობისა და აგრო ტურიზმის სფეროში ბიზნეს აქტივობების განვითარებასთან დაკავშირებით.

2. გამოცდილების გაზიარება ვირტუალურ სავაჭრო ბაზრებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

სამტრედიის მუნიციპალიტეტი

სამტრედიის მუნიციპალიტეტი დასავლეთ საქართველოში მდებარეობს და იმერეთის რეგიონს მიეკუთვნება. სამტრედიის ადმინისტრაციულ ერთეულს ესაზღვრება აბაშის, ლანჩხუთის, ვანის, ხონის, წყალტუბოს და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ძირითადი ნაწილი კოლხეთის დაბლობზეა განლაგებული, ხოლო მცირე ნაწილი საჯავახოს ზეგანზეა შეფენილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორია 36 429ჰა-ს შეადგენს, მათ შორის 20 300 ჰა (56%) სასოფლო-სამეურნეო სავარგულებია, ხოლო 6 554 ჰა ტყეებითაა დაფარული სამტრედიის ტერიტორიული ერთეული ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ზონაში ხვდება.

ზამთარი აქ მოკლე, თბილი და წვიმიანი იცის, ზაფხული კი - ხანგრძლივი, ტენიანი და საკმაოდ ცხელი. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 14C-ია. წლის ყველაზე ცივი თვის, იანვრის, საშუალო ტემპერატურა +5°C-ია, ხოლო ყველაზე ცხელი თვის, ივლისის- +25°C. ნალექების საშუალო რაოდენობა შეადგენს 1 500 - 1 600 მმ/წლ-ს. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა ოქტომბერ-დეკემბერში ფიქსირდება და შეადგენს 160 მმ-ს, მინიმალური კი მაისში მოდის (20 მმ). მუნიციპალიტეტში აპრილის და მაისის თვეები ხშირად გვალვიანი იცის.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შემოსავლის 4 ძირითადი წყაროა: სოფლის მეურნეობა, რომელსაც წამყვანი ადგილი უჭირავს მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში, მცირემეწარმეობა, უცხოეთიდან გზავნილები და საბიუჯეტო სექტორში დასაქმება

მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაცემით, ტერიტორიულ ერთეულს ეკონომიკური განვითარების გეგმა გააჩნია, რომლის პრიორიტეტებია მცირე და საშუალო ბიზნესის და ტერიტორიის რაციონალურად განვითარება. განვითარების პრიორიტეტული სექტორი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის განვითარება და შემოსავლების ზრდა, არის სოფლის მეურნეობა.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის მიმოხილვა და წამყვანი დარგების დახასიათება

მიწის რესურსი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 20 300ჰა უკავია, რაც მთლიანი ფართობის 56 %-ია. აქედან, სახნავ-სათესი შეადგენს 14 000ჰა-ს, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 69%-ია, ხეხილის ბაღები 750 ჰა-ს შეადგენს(3,7%), ხოლო სათიბ-საძოვარს 5 550ჰა (27,3%) უკავია. მუნიციპალიტეტის სოფლის ერთ მცხოვრებზე მოდის დაახლოებით 0,7ჰა მიწის ფართობი.

მემცენარეობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სახნავ-სათესს 14 000ჰა უკავია, რაც სასოფლო სამეურნეო სავარგულების 69%-ია. მემცენარეობა აქ ფართოდაა გავრცელებული. პრიორიტეტული კულტურებიდან გამოირჩევა: სიმინდი, თხილი, ბაღჩეული, ბოსტნეული და ხილი. უკანასკნელ დეკადაში სიმინდის, ბაღჩეულისა და ბოსტნეულის მოსავლიანობა გაზრდილია, კერძოდ, სიმინდის მოსავლიანობაა 3,5 ტ/ჰა, ეს მაჩვენებელი გაიზარდა 1,5ტ/ჰა-ით, ბაღჩეულის მოსავლიანობაა 30 ტ/ჰა, რაც 5 ტ/ჰა-ით გაზრდილია, ბოსტნეულის მოსავლიანობა შეადგენს 40 ტ/ჰა, გაიზარდა 8- 10 ტ/ჰა-ით. ხილის მოსავლიანობა შემცირდა და შეადგენს 5 ტ/ჰა-ზე.თხილის მოსავალი კი გაზრდილია 22%-ით.

მეცხოველეობა

სამტრედიის მუნიციპალიტეტში სათიბ-საძოვრებს სასოფლო-სამეურნეო მიწების 5 550ჰა უკავია. მეცხოველეობა აქ ფართოდაა გავრცელებული. მუნიციპალიტეტის გამგეობის

მონაცემებით, 2012 წლის მდგომარეობით ადმინისტრაციულ ერთეულში აღრიცხულია 28900 მსხვილფეხა საქონელი, ეს მაჩვენებელი უკანასკნელ ათწლეულში 5 000 სულითაა გაზრდილი. სხვა მუნიციპალიტეტებიდან პირუტყვის შემოყვანა არ ხდება.

ინდუსტრია/წარმოება

სამტრედიის მუნიციპალიტეტში წარმოება ცუდადაა განვითარებული. ფუნქციონირებს მხოლოდ ქვიშა-ხრეშის მომპოვებელ-გადამამუშავებელი, ასფალტ-ბეტონისა და მეფრინველეობის ფაბრიკა. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავების თვალსაზრისით არის რამდენიმე მცირე გადამამუშავებელი საწარმო, თუმცა, მათ შორის თხილის გადამუშავების მიმართულება არც ისე კარგადაა განვითარებული.

აღსანიშნავია, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტში შედარებით უკეთაა განვითარებული ისეთი წარმოება, რომელიც არ საჭიროებს რაიმე იურიდიულ და ფინანსურ პროცედურებს და ის ძირითადად ინდივილუალური მეწარმეების საქმიანობას წარმოადგენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია თხილის ნედლეულის შემდგომი წარმოება_გადამუშავება.

- **მუნიციპალიტეტის ეკონომიკის კონკურენტული უპირატესობების აღწერა (ეკონომიკის დარგები, პროდუქცია და მომსახურება, ბუნებრივი, ადამიანური რესურსების და ტექნოლოგიების აღწერა)**

ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით სამტრედიის მუნიციპალიტეტის კონკურენტული ეკონომიკური დარგია სოფლის მეურნრნეობა, კერძოდ, კი მემცენარეობა, რომელიც ძირითადად წვრილი ფერმერული მეურნეობების ფორმითაა წარმოდგენილი და რომელშიაც განსაკუთრებული ნიშა უჭირავს თხილის მოყვანას.

თხილი

თხილის წარმოება

საქართველოში თხილი ჯერ კიდევ ოდითგანვე მოყავდათ. ისტორიული წყაროები მოწმობს იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარ ეზოებში ზრდიდა ველურ თხილს ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ხალხური სელექციის გზით მიღებულ იქნა უკეთესი ხარისხის თხილი, რომელიც შესანიშნავად იყო შეგუებული ადგილობრივ პირობებს. დღეს საქართველოში გავრცელებულია ზოგიერთი ენდემური ჯიშები, მათ შორის უმთავრესია: შველისყურა, ბერძნულა, ანაკლიური, გულში-შველა, ხაჭაპურა, ნემსა და ა.შ. ქართული ენდემური ჯიშები წარმოადგენს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს, რადგანაც მათ მოსაყვანად არ გამოიყენება პესტიციდები. მათ თითქმის არასოდეს ემართებათ სხვადასხვა დაავადებები და ამიტომ საქართველოში პრაქტიკულად არ გამოიყენება ქიმიური სასუქები; ეს კი ზრდის ქართული თხილის კონკურენტუნარიანობას, არამარტო ევროპის, არამედ მსოფლიო ბაზარზე.

თხილის წარმოება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეტად პერსპექტიული დარგია. ეს სექტორი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსახლეობისა და ქვეყნის შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს, რადგან მიღებული მოსავლის მოცულობის საკმაოდ დიდი ნაწილი საექსპორტო დანიშნულებას ატარებს. მოყვანილი თხილის მხოლოდ მცირე ნაწილის რეალიზება ხდება ადგილობრივ ბაზარზე, თხილის ძირითადი რაოდენობა (დაახლოებით 90%) გადამუშავდება თხილის ქარხნების მიერ და თხილის გაშრობის, დახარისხების და შეფუთვის შემდეგ, (თხილის ან თხილის გულის) როგორც ნედლეულის, რეალიზაცია ხდება ევროპის და აზიის ქვეყნებში. ქართული თხილის წარმოება საგრძნობლად განვითარდა ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, ნიადაგური და კლიმატური პირობები ხელს უწყობს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში წარმოებული იყოს მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი მოსავალი.

მაგრამ, ბუნებრივია საქართველო მსოფლიო ბაზარზე თხილის წარმოების და გაყიდვის მოცულობითი ლიდერი ვერ გახდება. ამიტომ ქართული თხილის ინდუსტრიის განვითარების

პირობაა, რომ ქართულმა თხილმა თავისი ნიშა ხარისხის ხარჯზე დაიმკვიდროს მსოფლიო ბაზარზე; თხილის სამრეწველო ტიპის ბაღი საქართველოში ძირითადად წარმოდგენილია: აჭარაში, სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში და კახეთში. გავრცელებულია ძირითადად თხილის ისეთი ენდემური ჯიშები, რომლებიც სრულიად ესადაგება ადგილობრივ კლიმატურ პირობებსა და მიწის თვისობრიობას, რაც ასევე განაპირობებს ხარისხობრივად მაღალ და მოსავლიანობით უხვ წარმოებას. ძირითადად ფართოდ გავრცელებული ჯიშებია: გულშიშველა, ხაჭაპურა, შველისყურა, ანაკლიური, ნემსა, დედოფლის თითი,ცხენისკბილა და სხვა.

მუნიციპალიტეტის წამყვანი დარგის ეკონომიკური ანალიზი

თხილის წილი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში გადამწყვეტი არ არის, მაგრამ მნიშვნელოვანია წვრილი ფერმერებისა და იმ წვრილი მეწარმეების რესურსი, რომლებიც თხილის შემდგომ გადამუშავებას აწარმოებენ და ეს ქმნის წინაპირობას იმისა, რომ თხილის წარმოება გაიზარდოს და გახდეს პერსპექტიული დარგი.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია თხილის წარმოების მოცულობა წლების მიხედვით საქართველოში,იმერეთის რეგიონში და სამტრედიის მუნიციპალიტეტში (საქსტატი და მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო ცენტრი).

(ათასი ტონა)	2010	2011	2012	2013
საქართველო	28,6	37,2	37,7	51,8
იმერეთის რეგიონი	3,8	4,9	5,4	7,9
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	1,2	1,8	1,6	2,8

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია სამტრედიის მუნიციპალიტეტში წარმოებული სხვადასხვა აგრო კულტურების პროპორციული წილი.



სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფაღაურში PACA-ს ექსპერტებიე მიერ ჩაუტარ-და სწავლება დაახლოებით 3000 ადგილობრივ მოსახლეს. სრულიად მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი საერთო ტენდენციები შესაბამისობაში მოდის სოფელ ნაფაღაურთან.

შერჩეული ბიზნეს ერთეულების საქმიანობის აღწერა და ეკონომიკური ანალიზი

იმის გათვალისწინებით, რომ თხილის წარმოებაში მრავალი ჯაჭვია ჩართული, კონკრეტულად, ფერმერები, დისტრიბუტორები (ხშირ შემთხვევაში) გადამამუშავებელი და დამამზადებელი ინდ.მეწარმეები და მომხმარებელი, წარმოების სწორედ ეს დარგი შეირჩა სამუშაო ჯგუფის მიერ. აქვე უნდა ითქვას, რომ სხვა მუნიციპალიტეტში ზოგჯერ თხილზე

უფრო დომინანტური მეურნეობა და წარმოება, ვერ მოიცავს სრულ და მასშტაბურ წარმოების ჯაჭვს. ამიტომაც, როგორც კვლევებმა გვიჩვენა, ისევე, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობაზე მეტად ხელშესახები დადებითი გავლენა ექნება თხილის წარმოების განვითარებას.

შერჩეული ბიზნეს ერთეულების ღირებულების ჯაჭვის ანალიზი

საქართველოში თხილის ღირებულებათა ჯაჭვში ამჟამად რამდენიმე ძირითადი რგოლი მონაწილეობს.



რასაკვირველია, ჯაჭვი ფერმერული მეურნეობით იწყება, სადაც ძირითადად, უმეტეს შემთხვევებში გამოყენებულია, წვრილი ფერმერების შემთხვევაში, ხელით საკმაოდ მძიმე და შრომატევადი კრეფისა და უფრო მწიფე ნაყოფის მიწიდან აკრეფის პროცედურა, რითაც განპირობებულია გარკვეულწილად ნედლეულის ადგილობრივი მაღალი ღირებულება. შედარებით მსხვილ მეთხილე ფერმერებს, თხილის საშუალო და დიდ პლანტაციებში, დაქირავებული მუშახელის შრომა ჩანაცვლებული აქვთ არცთუ ისე თანამედროვე, მაგრამ მაინც, მაღალწარმოებადი, თხილის ხის მავნებლებისგან დაცვისა და ნაყოფის ამკრები ტექნიკით.

თხილის მოსავლის აღება

მაგრამ მცირე და დანაწევრებული მეურნეობების შემთხვევაში თხილი გადამამუშავებელ ქარხნებს დამამზადებლისა და დისტრიბუტორის რგოლის მეშვეობით მიეწოდებათ. ეს გარკვეულწილად განპირობებულია იმ მიზეზით, რომ წვრილ მეურნეებს არ აქვთ საჭირო ინფორმაცია გადამამუშავებელი საწარმოებისა და უშუალოდ ექსპორტიორების შესახებ (კომუნიკაციის ნაკლებობა) და ასევე არ იცნობენ იმ სტანდარტებს, რომელიც დააკმაყოფილებს მათ. დამამზადებლები უზრუნველყოფენ თხილის შეგროვებას მცირე მეურნეობებიდან, მაგრამ მათი გავლენა ნედლეულის ფასნამატზე დაბალია და 7-8%-ს შეადგენს. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც, როცა ფერმერები თხილს პირდაპირ გადამამუშავებელ ქარხნებს აბარებენ.

გაუტეხავი თხილისა და თხილის გულის წარმოების ტექნოლოგიური ბლოკ-სქემა



თხილის გადამუშავების ეტაპები მოიცავს თხილის გაშრობას, გაუტეხავი თხილის დაკალიბრებას, გატეხვას, თხილის გულის დაკალიბრებას, გადარჩევას, მოხალვა-დაქუცმაცებას (საჭიროების შემთხვევაში) და დაფასოებას, რაც შემდეგ როგორც მზა პროდუქტი, მყიდველს მიეწოდება.

როგორც ვთქვით, თხილის ფერმერული მეურნეობები სამტრედიის მუნიციპალიტეტში უმეტეს წილად წარმოდგენილია დანაწევრებული სახით რაც, შეიძლება ითქვას, რომ აფერხებს არა ზოგადად დარგის, არამედ დარგის მარკეტინგული სქემის განვითარებას. თუ კი წვრილი ფერმერული მეურნეობების გამსხვილების მიღწევა იქნება შესაძლებელი, მაშინ მივღებთ გაცილებით უფრო ძლიერ და სოლიდურ საწაარმოო ჯაჭვის ძლიერ და მთავარ რგოლს. შედეგად, შეიძლება მივიღოთ მეტი დაინტერესება გადამამუშავებელი საწარმოების მხრიდან და ისინი „მივიდნენ სასაუბროდ“ ფერმერბეთან, რაც თავის მხრივ განაპირობებს აღმოიფხვრას ის კომუნიკაციის ნაკლებობა ამ ორ რგოლს შორის, რომელსაც ავსებს დისტრიბუტორები (გადამამუშავებლები). საინტერესო ფაქტია ის, რომ ნედლეულის შემდგომი წარმოების ერთ ერთი პროცედურა-გადამუშავება, სწორედ რომ დისტრიბუტორების ხელშია ხშირ შემთხვევაში (გამოკვლეული შემთხვევების 1/3), თუ კი ჩვენ ვისაუბრებთ ამ შუალედური რგოლის ამოგდებაზე კომუნიკაციის გაღრმავების გზით, მაშინ მივიღებთ სურათს, როცა წვრილი ფერმერების 1/3-ს საკუთრი შესაძლებლობებით მოუწევთ მხოლოდ და მხოლოდ ნედლეულის შემდგომი გადამუშავება გაუტეხავი თხილის მისაღებად(თხილის ბუდიდან ამოღება). რაც უმნიშვნელოდ ზრდის მათ ხარჯებს. სანაცვლოდ, თუ ვიგულისხმებთ, რომ დისტრიბუტორ - გადამამუშავებლებისგან თხილის ნამატი ღირებულება 7-8%, გაიყოფა თანაბრად სარგებლის სახით მოსაზღვრე ორ რგოლზე, ფერმერებზე და წვრილ გადამამუშვებელ ქარხნებზე მოგების სახით ყველა ფერმერი ღებულობს მინიმუმ 3% ფასნამატს. რაც შეეხება დისრიბუტორ-გადამამუშავებლებს, მათი როლი მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში არც ისე დიდია, მათი რაოდენობისა და იმის გათვალისწინებით, რომ არ იბეგრებიან საშემოსავლო ან /და მოგების გადასახადით. ამავე დროს მათ არ აქვთ რაიმე სპეციალური ან პროფესიული განათლება და იგულისხმება, რომ არ არიან ამ სფეროში მიზნობრივად კვალიფიციური კადრები და მათ საქმიანობა იგივე ცოდნით და უნარებით შეუძლიათ გააგრძელონ სხვა მსგავს სფეროში.

ინდ. მეწარმე „გელა ნადირაძე“

ინდ. საწარმო „გელა ნადირაძე“, სამტრედიის მუნიციპალიტეტში ყველაზე მსხვილი თხილის გადამამუშავებელი ქარხანაა, რომლის საწარმოო სტრუქტურა და ინფრასტრუქტურა ყველაზე მეტად მიესადაგება თხილის საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნებს, წარმოების სრული ციკლით, აქ მოიაზრება, ისევე როგორც, თხილის უშუალოდ გადამუშავების პირობები, ასევე გადამუშავებული (დამტვრეული,დაკალიბრებული) თხილის შეფუთვის, დასაწყობების და ტრანსპორტირების შესაბამისობა ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

საწარმო შეიქმნა 2009 წელს ინდსაწარმოს იურიდიული ფორმით, თუმცა დღესდღეობით აქტიურად განიხილება მფლობელის მიერ საწარმოს შპს-დ გარდაქმნის საკითხი, რადგან კანონმდებლობიდან გამომდინარე, საწარმო გაცდა ინდსაწარმოსთვის განსაზღვრულ საკანონმდებლო პირობებს, კერძოდ, მისი სრული დატვირთვით ფუნქციონირებისათვის, ნაცვლად კანონით განსაზღვრული დასაქმებული 5 ადამიანისა, აუცილებელია მუშახელის რაოდენობის გაზრდა.

მისი წარმოებადობა შეადგენს ერთ სეზონზე დაახლ. 1000 ტ თხილის პროდუქციას, რაც მუნიციპალიტეტის მოსავლის 30%-ზე მეტს შეადგენს, ასევე საწარმო ითვისებს თხილის არამარტო მუნიციპალიტეტში მოსული მოსავლის წილს, არამედ მეზობელ რაიონებიდანაც (ვანი,ხონი,აბაშა).

მისი წარმოების ასორტიმენტი მრავალფეროვანია და წარმოადგენს აღნიშნულ რაიონებში გავრცელებულ თხილის ჯიშებს.

წვრილ გადამამუშავებელ ქარხნების მიმოხილვის შემთხვევაში არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ის საწარმოო ინფრასტრუქტურა, რომელიც მათ უმრავლესობას გააჩნია, საკმაოდ მოძველებულია და საჭიროზე მეტ დანახარჯს მოითხოვს წარმოებისთვის. თუმცა, არსებობს თანამედროვე და ახალი ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ქარხნებიც. ამ მხრივ საკმაოდ გამართულია ი/მ „გელა ნადირაძე“-ს საწარმო.(იხ.ფოტომასალა)

გელა ნადირაძის საწარმო

წვრილ ფერმერებთან შემაკავშირებელი დისტრიბუტორთა რგოლი გარკვეულწილად ფასნამატის განმაპირობებელია გადამამუშავებელი საწარმოებისთვისაც. ასევე გარკვეულ სისუსტედ შეიძლება მათთვის ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ მათ არ აქვთ საკმაო ფინანსური რესურსები იმისთვის, რომ შეძლონ გადამუშავებული მზა პროდუქტის დასაწყობება და უსაფრთხოდ შენახვა, რათა დაელოდონ უფრო მაღალ ფასს ბაზარზე. საბრუნავი კაპიტალის არ ქონის გამო ისინი იძულებულნი არიან ბაზარზე მყიდველის გამოჩენისთანავე გაყიდონ თავიანთი წარმოებული პროდუქტი, როდესაც, დაყოვნების შემთხვევაში შესაძლებელია ფასის ზრდა, რაც ყოველთვის ფიქსირდება იანვარში და თხილის აგრონომიული წლის მიწურულს, მაის-ივნისში.

ძალიან ცუდია ის ფაქტი, რომ როგორც ანალიზიდან ჩანს, თხილის წარმოების ჯაჭვში ჩართული ვერცერთი რგოლი ვერ ახერხებს გავლენა მოახდინოს პროდუქტის საბაზრო ფასზე და ისინი დამოკიდებულნი არიან ექსპორტიორების მიერ შემოთავაზებულ ღირებულებაზე.

	წვრილი ფერმერული მეურნეობები	**წვრილი გადამამუშავებელი საწარმოები**
ძლიერი მხარეები	✓ ცოდნა იმისა, თუ რა, როგორ და როდისაა საჭირო მეურნეობაში ✓ სამუშაო ძალაში ხარჯების ეკონომია საოჯახო ფიზიკური შრომით ჩანაცვლებით ✓ ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ადგილობრივი მიწის თვისებები	✓ გადასამუშავებელი ნედლეულის არსებობა მუნიციპალიტეტის შიგნით ✓ ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა ✓ პროდუქციის გასაღების მუდმივი ბაზარი
სუსტი მხარეები	❖ კომუნიკაციის ნაკლებობა მყიდველებთან ❖ მცირე ზომის, დანაწევრებული მეურნეობები ❖ მოძველებული სამეურნეო ტექნიკა ❖ ბუნებრივ-კლიმატური რისკები	❖ საწარმოო კაპიტალის სიმცირე ❖ მოძველებული საწარმოო ტექნოლოგიები და ინფრასტრუქტურა ❖ სუსტი მენეჯმენტი ❖ კომუნიკაციის ნაკლებობა ნედლეულის მწარმოებლებთან

ინიციატივების აღწერა

ტენინგების მიმდინარეობისას და სამუშაო შეხვედრების პროცესში გამოიკვეთა ერთსულოვნად ინიციატივა იმისა, რომ თხილის ფერმერული მეურნეობები გადავიდნენ უფრო მომგებიანი ჯიშის წარმოებაზე, რაც გულისხმობს უფრო მაღალმოსავლიან და

მავნებლებისა და შესაძლო მკაცრი კლიმატური პირობებისადმი მეტად მედეგი ჯიშის დანერგვას ფერმერულ მეურნეობებში.

ფერმერები სამუშაო შეხვედრაზე შეჯერდნენ, რომ ასეთი თხილის ჯიში, მუნიციპალიტეტის ადგილობრივი პირობების მიხედვით არის „დედოფლის თითი“. იგი ენდემური ჯიშია, ხასიათდება ზომიერი ზრდით, სუსტად დატოტვილი, გადაშლილი ვარჯით. მცირე რაოდენობით ივითარებს ამონაყრებს. საადრეო ჯიშია. თანაყვავილედში 2-3 ნაყოფია განვითარებული. საბურველი 1,5-ჯერმეტია ნაყოფზე. ნაყოფი საბურველიდან ადვილად ვარდება, მას მოგრძო ოვალური ფორმა აქვს შებრტყელებული გვერდებით და შუაში კარგად გამოხატული ღარით. ნაჭუჭი თხელი და ადვილად მტვრევადია. გულის სიდიდე 2,5X1,8X1,6 სმ-ია, ხოლო გამოსავლიანობა 55-57%. გამოირჩევა განსხვავებული გემოვანი თვისებებით. ერთი ბუჩქის (ხის) საშუალო მოსავალი სრულმსხმოიარობის პერიოდში 7-9 კგ-ია. გავრცელებულია იმერეთისა და გურიის რეგიონებში.

წვრილ მეთხილე ფერმერებს აქვთ კოოპერატიული გაერთიანების იდეა, რაც უშუალოდ შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესაბამისი მიმართულებით გაიღრმავებენ ცოდნას, ზოგადად, კი ისინი მეტნაკლებად გაცნობიერებულნი არიან კოოპერატიულ მეურნეობებად გაერთიანების დადებით და ძლიერ მხარეებში, მაგრამ სრულად მაინც ვერ წარმოუდგენიათ, თუ როგორი ფორმა შეიძლება მიეცეს ამ გაერთიანებას და რა არის მისი მთავარი იდეა. ერთეული ფერმერები, რომელთაც სხვებზე მეტი ფართის თხილის პლანტაცია აქვთ მფლობელობაში, ფიქრობენ, რომ მათი ინტერესები შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს და დააზიანოს ამგვარი ფორმის გაერთიანებებმა. მაგრამ, როდესაც ტრენინგების პროცესში ჩვენ მათ მივაწოდეთ კოოპერატიულ მეურნეობებად გაერთიანების ძირითადი ძლიერი მხარეები, ყოველივე ამის მიმართ დაინტერესება გამოხატეს.

ფოკუს-ჯგუფის წევრებმა გამოთქვეს იდეა, შექმნილიყო რაიმე საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობდა მეთხილე ფერმერების ცნობიერების ამაღლებას მათ სფეროში აღმოჩენილი სიახლეებისა და უახლესი მიღწევების შესახებ. როგორც აგრონომიულ, ასევე ტექნოლოგიური განახლებებისა და წარმატებების გაცნობას მათთვის. ამასთან დაკავშირებით აზრისა და დამოკიდებულების დაფიქსირება ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, რომელმაც ფერმერებს მისცა თანხმობა და გამოხატა დაინტერესება მოცემული გეგმით და განაცხადა, რომ შეისწავლის მოცემული საკითხის განხორციელების გზებსა და საშუალებებს და მაქსიმალური შესაძლებლობებით ჩაერთვება აღნიშნული საკითხის გადაწყვეტასა და მოგვარებაში.

წვრილი მეთხილე ფერმერები და თხილის გადამამუშავებელი მცირე ქარხნების მფლობელები თანხმდებიან და შეიმუშავებენ გეგმას (1) მათ შორის კომუნიკაციის გაღრმავებისათვის, რამეთუ ორივე მხარე კარგად აცნობიერებს იმ დადებით შედეგებსა და სარგებელს, რაც აქტიურ კომუნიკაციას შეუძლია მოუტანოს მათ. (2) ამისთვის გადაწყვეტილია შეიქმნას მიზნობრივი ფორუმები და ერთგვარი საკომუნიკაციო მონაცემთა ბაზა, ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობით, რომელის განახლებაზე, შევსებაზე და ზოგადად, წვდომაზე, თითოეულ მათგანს და სფეროში მოღვაწე ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს ექნება წვდომა. ეს პროცესი უკვე დაწყებულია, ტრენინგების მსვლელობისას, მონაწილეებმა გაცვალეს იურიდიული მისამართები, ტელეფონის ნომრები, ელექტრონული და სოც.ქსელების მისამართები.

ასევე განხილული იყო ის გარემოებაც, რომ გადამამუშავებელ-დისტრიბუტორთა არც თუ ისე დიდი რაოდენობა, რომელთა ხელშიც გაივლის თითქმის სრული თხილის მოსავალი (დაახლოებით 95%), თითოეული მხარის მოგებას მცირედ, მაგრამ მაინც ამცირებს. ამის თავიდან აცილების გზად, სწორედ კომუნიკაციის გაღრმავება მიიჩნია ფოკუს ჯგუფის წარმომადგენლებმა და აქვე აღინიშნა, რომ აღნიშნული შუამავალი თუ შუალედური რგოლის წარმოქმნა სრულიად ჯანსაღი მოვლენაა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში და

თითოეული მხარე აქტიურად და კოორდინირებულად უნდა მუშაობდეს აღნიშნული ჩრდილოვანი კონკურენციის აღმოსაფხვრელად.

ის საკითხები, რომლებიც არ და ვერ მოგვარდება უშუალოდ სექტორში მომუშავე მხარეების შესაძლებლობებით, სასურველია, რომ გადაწყვეტილი იყოს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების თანადგომითა და ინვესტირებით, (3) მიზნობრივად ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვისა და ხელშეწყობის მიმართულებით. ასევე, მნიშვნელოვანია ნებისმიერი საინვესტიციო პროექტი, სოფლის მეურნეობის ამ კონკრეტულ დარგში, ნებისმიერი საინვესტიციო კომპანიისა და ორგანიზაციის ეგიდით.

ფოკუს ჯგუფის წევრები, მას შემდეგ, რაც გაეცნენ იმ სიახლეებს, რომელნიც ჩვენს ხელთ იყო თავმოყრილი ტრენინგ-მასალების სახით, ცდილობდნენ, რაც შეიძლება კრეატიული იდეები მიეწოდებინათ ერთმანეთისთვის, რასაც თან ახლდა მრავალი ნაყოფიერი დისკუსია, და ვფიქრობთ, რომ ის საფუძველი, რომელიც ტრენინგებზე ჩაეყარა მათ ურთიერთობებს, ნაყოფიერი, რეალური შედეგიანობით გაგრძელდება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიუანსი დადებითად იმოქმედებს როგორც ზოგადად დარგზე, ასევე კონკრეტულად, ინდსაწარმო „გელა ნადირაძე“_ს განვითარებაზე. საწარმოს ხელმძღვანელმა ჩვენს მიერ ინიცირებულ სამუშაო შეხვედრებზე განაცხადა, რომ ასევე აპირებს მიწის ნაკვეთის იჯარით აღებას და მასზე თხილის ფერმერული მეურნეობის წარმოებას, რისთვისაც დააყენა საკითხი (4) ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომლებმაც მას დახმარება აღუთქვეს და შეთანხმდნენ აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად უახლოეს მომავალში კონსულტაციებზე და კანონიერების ფარგლებში დახმარებაზე. (5) „თუმცა ინდსაწარმოს ამ პროექტის განსახორციელებლად სჭირდება არცთუ ისე მცირე თანაინვესტირება ძვირადღირებული და თანამედროვე სასუფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად“-განაცხადა საწარმოს ხელმძღვანელმა,-„და ჩვენ ამ მიზნით აქტიურად ვეძებთ ინვესტორს...“

PACA-ს ტრენინგების შედეგად განხორციელებული ინიციატივები:

1. PACA-ს ტრენინგების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა წვრილ მეთხილე ფერმერთა გაერთიანებული პლატფორმა, რომელიც ერთგვარ ინფორმაციული მექანიზმის ფუნქციას შეასრულებს თხილის მყიდველებთან მოლაპარაკებების საწარმოებლად. წვრილი ფერმერები უერთიერთშეთანხმების საფუძველზე გაყიდიან საერთო პროდუქციას დიდი რაოდენობით, რის საფუძველზეც შეამცირებენ ტრანსპორტირებისა და მოლაპარაკებებისთვის განსაზღვრულ ხარჯებს.
2. ადგილობრივი ფერმერებისა და თვითმმართველი ერთეულის ერთიანი ქმედებით ნათელი გახდა “სამტრედიის ფერმერთა ინფორმაციული ცენტრ“-ის სტრუქტურული ნაწილის გაუმჯობესების ქმედუნარიანობა. კერძოდ, ცენტრი მუდმივად მიაწვდის ინფორმაციას ადგილობრივ მეთხილე ფერმერებს თხილის წარმოებაში მომხდარი ყველა ტექნოლოგიური სიახლის შესახებ, გაუზიარებს რჩევებს მოსავლის დაცვასთან დაკავშირებით და ა.შ. ფერმერებს ასევე შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ ინფორმაცია იმ მოწყობილობა-დანადგარების სპეციფიკაციების შესახებ, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ეკონომიკის აღნიშნულ დარგში. სამტრედიის ფერმერთა საინფორმაციო ცენტრში ყოველწლიურად მოეწყობა პრეზენტაცია თხილის წარმოების სფეროში უკანასკნელი მიღწევების განსახილველად, რომლის დროსაც ფოკუსირება მოხდება საქართველოს იმ წარმატებულ რეგიონზე, რომლის საერთო შემოსავლის დონე ამ დარგში მაღალია და ამასთანავე ტექნოლოგიური განვითარების თვალაზრისით წინ უსწრებს სამტრედიას.

3. ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გაკეთდა მიმართვა ცენტრალური ხელისუფლებისადმი, ადგილობრივი ფერმერებისათვის დაბალ პროცენტიანი კრედიტის გამოყოფისა და იმ მომგებიანი პროექტების თანდაფინანსების შესახებ, რომლესაც საზოგადოებრივი ხასიათი გააჩნია. ამ შეთანხმების საფუძველზე შემუშავდა პროექტი თანადაფინანსებისა და იაფი კრედიტების შესახებ. მემორანდუმი გადაეგზავნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს განსახილველად და უკუკავშირისთვის.
4. PACA-ს ტრენინგებზე გამოიკვეთა წვრილ მეწარმეთა „კოოპერატივად“ ჩამოყალიბების საჭიროების საკითხი („საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“ საფუძველზე), შემუშავდა ხელშეკრულების სამუშაო ვერსია წევრებს შორის სამომავლო თანამშრომლობის შესახებ.

შემოთავაზებული ტრანსსასაზღვრო ინიციატივები:

საქართველო-სომხეთი

- სომხების მიერ ქართველი მეწარმეებისათვის სომხური ჩირის წარმოებაში დაგროვილი გამოცდილების გაზიარება.
- თხილის იმპორტი სომხეთში.

საქართველო-ბულგარეთი

1. სტარო ორიაჰოვოს მხრიდან გამოცდილების გაზიარება, ერთი ფანჯრის პინციპის სავაჭრო ცენტრის დაფუძნების შესახებ.

დმანისის მუნიციპალიტეტი

ქვემო ქართლის რეგიონის ზოგადი დახასიათება

ქვემო ქართლის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. რეგიონს დასავლეთით ესაზღვრება სამცხე-ჯავახეთი, ჩრდილოეთით - თბილისი, შიდა ქართლი და მცხეთა- მთიანეთი, აღმოსავლეთით - კახეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანის რესპუბლიკა, ხოლო სამხრეთით - სომხეთის რე სპუბლიკა. ქვემო ქართლის ფართობია 6,5 ათასი კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 9,3%. რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა 511,2 ათასია, რაც საქართველოს მოსახლეობის 11,4%-ს შეადგენს. რეგიონში შედის 347 დასახლებული პუნქტი - 7 ქალაქი, 6 დაბა და 334 სოფელი. რეგიონის მოსახლეობის 39% ცხოვრობს ქალაქებსა და დაბებში, ხოლო 61% სოფლებში. მაღალმთიან დასახლებებს მიეკუთვნება დმანისის მუნიციპალიტეტის 19 (1500 მ-ზე ზევით), წალკის მუნიციპალიტეტის 46 (1500 მ-ზე ზევით) და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 35 სოფელი (1300 მ-ზე ზევით). მოსახლეობის 44,7% ეთნიკურად ქართველია, 45,1% - აზერბაიჯანელი, 6,4% - სომეხი, ხოლო 3,8% - აფხაზი, ოსი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი და ქურთი. ამასთან, რუსთავსა და თეთრიწყაროში ჭარბობს ეთნიკურად ქართული, წალკაში - სომხური და ბერძნული, ხოლო გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისსა და დმანისში - აზერბაიჯანული მოსახლეობა. მოსახლეობის სიმჭიდროვე რეგიონის ტერიტორიაზე შეადგენს 128 ადამიანს კვ.კმ-ზე.

ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედებს 7 თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი **ქალაქი რუსთავი და ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და**

წალკის მუნიციპალიტეტები. რეგიონალურ დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი, რომლის ადმინისტრაცია ქ. რუსთავშია განთავსებული. ქ. რუსთავი უშუალოდ ესაზღვრება ქვეყნის დედაქალაქს - თბილისს. ქვემო ქართლის სიახლოვე **ქ. თბილისთან, თბილისის აეროპორტთან და აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან,** მისი მდებარეობა სატრანსპორტო კორიდორების გადაკვეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოკორიდორის ზონაში და **ურბანიზაციის მაღალი დონე რეგიონს განვითარების კარგ შესაძლებლობას უქმნის.**

რეგიონის სოციალური განვითარება, მოსახლეობის ცხოვრების დონე და სოციალური უზრუნველყოფა

დაქირავებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 2011წელს 547,5 ლარს შეადგენდა (ადგილობრივ კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან - 430 ლარი, უცხოელ/უცხოურ კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან - 978,6 ლარი, საჯარო სექტორში - 220 ლარი), რაც 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 24 ლარით ნაკლებია. ამასთან, შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება მსხვილ საწარმოებში 787,8 ლარს, საშუალო საწარმოებში 391 ლარს, ხოლო მცირე საწარმოებში 182,8 ლარს შეადგენდა. საშუალო თვიური ანაზღაურების ოდენობით, ქვემო ქართლი საქართველოს რეგიონებს შორის მეორე ადგილს იკავებს და მხოლოდ მცხეთა-მთიანეთს ჩამორჩება. რუსთავის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისშია დასაქმებული.

მოსახლეობის შემოსავლებში დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავალს ყველაზე დიდი წილი უჭირავს (41%).

რეგიონში შინამეურნეობის ყოველთვიური საშუალო ფულადი და არაფულადი შემოსავლები 2011 წელს 485,3 ლარს, ხოლო ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები 412,8 ლარს შეადგენდა. ამ მაჩვენებლებით, ქვემო ქართლი საქართველოს ათ რეგიონს შორის, შესაბამისად, მეცხრე და მეშვიდე ადგილს იკავებს. შინამეურნეობების შემოსავლები მათი სახეების მიხედვით შემდეგი სახით არის განაწილებული:



წყარო: www.geostat.ge

ქართლის რეგიონში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობა 195,5 ათასს, თვითდასაქმებულთა რაოდენობა 122,5 ათასს, უმუშევრობის დონე 9,4%-ს, აქტიურობის დონე

64,2%- ს, ხოლო დასაქმების დონე 58,2%-ს შეადგენს. თვითდასაქმებულთა უდიდესი ნაწილი, მათი შრომითი საქმიანობის საშუალო წლიური ხანგრძლივობისა და დაბალი შემოსავლების გათვალისწინებით, ვერ მიეკუთვნება სრულფასოვან დასაქმებულთა კატეგორიას.

2011 წელს რეგიონში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო წლიურმა რაოდენობამ 25 ათასი ადამიანი (რეგიონის მოსახლეობის 5,26%), ხოლო დაქირავებულთა შრომის საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ 547,5 ლარი შეადგინა. საშუალო თვიური ანაზღაურების ოდენობით, ქვემო ქართლი საქართველოს რეგიონებს შორის მეორე ადგილს იკავებს და მხოლოდ მცხეთა-მთიანეთს ჩამორჩება. რუსთავის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისშია დასაქმებული.

ბიზნეს სექტორი

ბიზნესის რეგისტრის ოფიციალური მონაცემებით, რეგიონში აღირიცხება 31250 სუბიექტი, მათ შორის 237 საშუალო და 106 მსხვილი მოქმედი საწარმო. ქვემო ქართლში 2011 წელს ბიზნესსექტორში შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ 625,7 მლნ ლარი, ხოლო ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებულმა ინვესტიციებმა - 214,8 მლნ ლარი შეადგინა. 2012 წელს ბიზნესსექტორის ბრუნვამ შეადგინა 2302,4 მლნ ლარი, გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ - 1844,4 მლნ ლარი, ბიზნესსექტორში დაქირავებულთა რაოდენობამ - 32268 ადამიანი, ხოლო ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ანაზღაურებამ - 547,5 ლარი.

რეგიონში ბიზნესსექტორის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია: მისი სტრატეგიული მდებარეობა - სიახლოვე ქ. თბილისთან, აგრეთვე მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთთან. უკანასკნელ წლებში, რეგიონში, ქ. რუსთავში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის თვალსაზრისით, გაჩნდა მნიშვნელოვანი სექტორი - საავტომობილო ბაზრობა, რომელიც კლიენტებს კავკასიის რეგიონის სხვადასხვა ქვეყნიდან იზიდავს. აღნიშნული ბაზრობა ერთ-ერთი უმსხვილესი დამსაქმებელია რეგიონში. უკანასკნელ წლებში, ქვემო ქართლში აღინიშნება დადებითი ტენდენციები ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარების მხრივ. შეიმჩნევა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, როგორც მრეწველობის, ისე მომსახურების სფეროში. გაჩნდა თანამედროვე ტიპის სავაჭრო ობიექტები და აგრარული ბაზრობები.

ქვემო ქართლში შემავალ ყველა თვითმმართველ ერთეულში ფუნქციონირებს კომერციული ბანკების ფილიალები. ამასთან, რუსთავსა და მარნეულში საქართველოში მოქმედი თითქმის ყველა ბანკის ფილიალი და მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებს. წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა მხარეში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლობების რაოდენობა. თუმცა, ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში, საპროცენტო განაკვეთები კრედიტსა და სესხზე, ქვემო ქართლშიც საკმაოდ მაღალია (მერყეობს 15%-დან 26%-მდე), ხოლო დედაქალაქის ბანკებთან შედარებით, მომსახურება - მნიშვნელოვნად სუსტი.

რეგიონში წარმოდგენილია (თუმცა, არათანაბრად) კონსალტინგური მომსახურების ორგანიზაციები. კერძო აუდიტორული ორგანიზაციები, ძირითადად, ქ. რუსთავში ფუნქციონირებს. რეგიონში მოქმედებს ბიზნესის მხარდამჭერი რამდენიმე მნიშვნელოვანი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ ადგილობრივი ეკონომიკის, ფერმერული მეურნეობის, მესაქონლეობისა და რწყვის თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას. მარნეულში ფუნქციონირებს მცირე ბიზნესცენტრი. სამომავლოდ, რეგიონის ბიზნესსექტორის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს თბილისი-რუსთავის ავტობანის მშენებლობა.

ჰტრეგიონში ბიზნესსექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებია: სუსტი კომერციული და საბაზო ინფრასტრუქტურა, მოსახლეობის შემოსავლების სიმწირე, ინვესტიციების მცირე მოცულობა, ადგილობრივი სოციალური კაპიტალის განვითარების დაბალი დონე, მუშახელის ბაზარზე არსებული მდგომარეობა (კვალიფიკაცია), საბანკო კრედიტების (მ.შ. აგროსესხების) სიძვირე და რთული ხელმისაწვდომობა, ალტერნატიული კაპიტალის დაბალი შესაძლებლობები და ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების

(ბიზნესინკუბატორების, საინვესტიციო თუ საკონსულტაციო ცენტრების, სალიზინგო კომპანიების და სხვ.) ნაკლებობა, სისტემური ინფორმაციის ნაკლებობა ადგილობრივი ბიზნესის პოტენციალისა და სამიმწოდებლო ბაზის შესახებ, ადგილობრივი საბიუჯეტო რესურსების სიმწირე.

გარდა ამისა, ექსპორტზე ორიენტირებული ბიზნესის შემაფერხელ გარემოებად ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი განიხილავს „მაღალ საბაჟო გადასახადს“ და „ჭარბ ბიუროკრატიულ პროცედურებს“.

დმანისის მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

დმანისის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს და ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის.

მუნიციპალიტეტს თეთრიწყაროს, წალკის, ბოლნისის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები და სომხეთის რესპუბლიკა ესაზღვრება.

მუნიციპალიტეტის ცენტრი - დმანისი თბილისიდან დაშორებულია 102 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან - 116 კმ-ით, უახლოესი რკინიგზის სადგურიდან 30 კმ-ით. მანძილი უახლოეს საბაჟომდე (გუგუთი) 38 კმ-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობია 119 880 კვ.კმ და ზღვის დონიდან საშუალოდ 1250 მეტრზეა.

დმანისის მუნიციპალიტეტში ჰავა ზომიერად ნოტიოა, ცივი ზამთარით და თბილი ზაფხულის აბსოლუტური ტემპერატურა +30 გრადუსს აღწევს. (აღმოსავლეთ ნაწილში). ივლისის საშუალო ტემპერატურაა +15, +25 გრადუსი. ამ ტერიტორიის განსაკუთრებული მახასიათებელი არის გვალვა. გვალვიანი დღეების საერთო რაოდენობა 65-ს აღწევს. ზაფხულის საშუალო ტემპერატურაა თვეში +16 გრადუსი. ნალექების რაოდენობა წელიწადში 650-800 მმ-ს შეადგენს. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მაისის თვეში მოდის, მინიმალური - დეკემბერში. ზაფხულის თვეებში ხშირია კოკისპირული წვიმა და ელჭექი, რომელსაც ხშირად თან სეტყვა ახლავს.

2012 წლის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 28 900 ადამიანს1. აქედან დაახლოებით 49% კაცია, ხოლო 51% ქალი. მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აზერბაიჯანელია (65,37%), ქართველები მუნიციპალიტეტის მოსახლეობის - 32,16% შეადგენენ, ხოლო დანარჩენი მოსახლეობა არის: სომეხი, რუსი, ბერძენი და სხვა ეროვნების - 2,47%.

დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ძირითადი მაპროფილებელი დარგებია მეცხოველეობა (მსხვილფეხა და წვრილფეხა) და მემინდვრეობა. მეცხოველეობა გამოირჩევა რძისა და რძის ნაწარმის წარმოებით, მატყლის დამზადებით. ერთ ფურზე მოწველილი რძის წლიური რაოდენობა საშუალოდ 1,200 კგ-ია. სწორად მოვლისა და კვების პირობებში შესაძლებელია მისი 2,500 კგ-მდე გაზრდა. ბუნებრივი პირობები: ალპური და სუბალპური საძოვრები იძლევა შვეიცარული ყველის წარმოების საშუალებას.

სოფლის მეურნეობა

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მთლიანი ფართობი შეადგენს 85,947 ჰა-ს. აქედან სახნავი ფართობი არის 12,072.1 ჰა, სათიბი - 13,330 ჰა, საძოვრები - 59,583 ჰა, მრავალწლიან ნარგავებს უჭირავს - 962 ჰა.

მიწის რესურსები

დმანისის მუნიციპალიტეტში ძირითადად მძიმე შავმიწა ნიადაგებია, ასევე, მუქი ყავისფერი და ნეშომპალა კარბონატული მიწა. ნიადაგი მდიდარია მაგნიუმით და კალციუმით, უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს ნატრიუმსა და კალიუმს. ყოველივე ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ იწარმოოს მაღალი კვებითი ღირებულების , ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის ისეთი პროდუქტები, როგორიცაა: კარტოფილი სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, ლობიო, სიმინდი, ხორბალი და სხვა. ბუნებრივი სათიბები და საძოვრები ალპურ და სუბალპურ ზონებში მდებარეობს. ეს ერთ-ერთი მყარი წინაპირობაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და მეცხვარეობის განვითარებისათვის.

მესაქონლეობა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მესაქონლეობა, სადაც მოსახლეობის 60%ია დასაქმებული. სულ მუნიციპალიტეტში 22 210 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია აღრიცხული, ძირითადად, ადგილობრივი და კავკასიური წაბლა ჯიშის ძროხები, რომელთა პროდუქტიულობა ლაქტაციის პერიოდში 800_1200 ლიტრი რძეა.

მეფუტკრეობა

მეფუტკრეობამ უკანასკნელ პერიოდში ფართო განვითარება ჰპოვა. ალპურ და სუბალპურ ზონაში დამზადებული თაფლი ხარისხით და შემადგენლობით უნიკალურია. ამჟამად აღრიცხულია 2000-მდე ფუტკრის ოჯახი. დმანისში ფუნქციონირებს მეფუტკრეობის 2 კოოპერატივი. მეფუტკრეობით მოსახლეობის 5%-ია დაკავებული.

მემინდვრეობაში უპირატესად განვითარებულია კარტოფილის და მარცვლოვანი კულტურების წარმოება. აგრეთვე, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების მოყვანა. კარტოფილის საჰექტრო მოსავლიანობა საშუალოდ 10,000-15,500 კგ-ია. ხორბლის მოსავლიანობა 1 ჰა-ზე საშუალოდ 2,500-2,700 კგ.

მეცხვარეობა

დმანისის მუნიციპალიტეტში ასევე განვითარებულია მეცხვარეობა. 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 29 509 წვრილფეხა პირუტყვი (ცხვარი და თხა). სულადობის 96% თავმოყრილია მოსახლეობის კერძო საკუთრებაში. მატყლის ნაპარსი ერთ სულზე 2-2,5 კგ-ია.

მებოსტნეობა მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია, რომლითაც დაკავებულია მოსახლეობის 30%. ბოსტნეულის წარმოებაში წამყვანი ადგილი კარტოფილის კულტურის მოყვანას უკავია, თუმცა ბუნებრივ-კლიმატური პირობები საუკეთესო პირობებს ქმნის მაღალი კვებითი ღირებულების, ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეულის (სტაფილო, ჭარხალი, კომბოსტო, ლობიო, სიმინდი, ხორბალი და სხვ.) წარმოებისთვისაც.

ყველის წარმოება

დმანისის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ყველაზე გავრცელებულ დარგს მესაქონლეობა წარმოადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობის მონაცემებით, 2012 წელს მუნიციპალიტეტში 22,000-ზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი აღირიცხა. საშუალო წველადობამ წლის განმავლობაში 1 სულზე 1.5-2 ტონა შეადგინა.

ყველის წარმოება

აღნიშნული დარგის განვითარება განპირობებულია ადგილობრივი კლიმატური პირობებით და გეოგრაფიული მდებარეობით. მუნიციპალიტეტი განლაგებულია ზღვის დონიდან 1250 მეტრის სიმაღლეზე, რაც ხელს უწყობს საძოვრების ნაყოფიერებას და

შედეგადაც პირუტყვის მაღალპროდუქტიულობას. დმანისის მუნიციპალიტეტიდან თბილისამდე 102 კილომეტრის მანძილია, რაც განაპირობებს აგრარული ბაზრების ხელმისაწვდომობას. დმანისი ცნობილია თავისი ღირსშესანიშნაობებით და ტურისტებისა და დამსვენებლების ნაკადი ზრდის პროდუქციაზე მოთხოვნას.

ფერმერული ოჯახები თავიანთი საჭიროებების და პროდუქციაზე ფასების გათვალისწინებით იღებენ გადაწყვეტილებას თუ რა რაოდენობის საქონელი იყოლიონ. რაც უფრო მაღალია პროდუქციის (რძე, ყველი, ხორცი) ფასი, მით უფრო მეტი საქონლის ყოლა არის ყველაზე მომგებიანი.

ფერმერული მეურნეობა

ადგილობრივი ბაზრის განვითარების გეგმის ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზი

ღირებულებათა ჯაჭვი

რძის მწარმოებლები	მცირე ფერმერები, რომელთა საკუთრებაში 2-3 სული ძროხაა, თავად არიან პასუხისმგებელნი პირუტყვის საკვების დამზადებაზე, წველასა და რძის რეალიზაციაზე. ასევე საშუალო ფერმერები, რომელთაც 10-20 სული ძროხა ჰყავთ, საკვების დასამზადებლად და მოსაწველად დამხმარე მუშა-ხელს ქირაობენ.
რძის შემგროვებელი	პატარა და საშუალო ფერმერები, რომლებიც სოფლებში აგროვებენ რძეს და აბარებენ რძის შემგროვებელ პუნქტებში ან ყველის ქარხნებში. ფერმერები უპირატესობას ანიჭებენ იმ რძის შემგროვებელი პუნქტებს, სადაც რძის ჩაბარება მაღალ ფასად ხდება. თუმცა, რძის ჩამბარებელი პუნქტებისთვის სათანადო ხარისხის რძის მიწოდებაა აუცილებელი. თუ რძის მჟავიანობა იმაღლებს არასათანადო შენახვის პირობების გამო, ამ შემთხვევაში მისი ჩაბარება შესაძლებელია მხოლოდ ყველის ქარხნებში, რომლებიც ლიტრზე 5-10 თეთრით ნაკლებს იხდიან. რძის შემგროვებელი პუნქტები თითქმის ყველა სოფელშია.
ყველის მწარმოებლები	მსხვილი ფერმერები, რომლებსაც 30 სულ პირუტყვზე მეტი ჰყავს დაკავებული არიან ყველის წარმოებით. აგრეთვე ყველის ქარხნები, რომლებიც იბარებენ რძეს მოსახლეობისგან.
შუამავლები	შუამავლები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებიან ფერმერებს, მიაქვთ ყველი და დიდი ქალაქების საბაზრო ფასზე საშუალოდ ერთი ლარით ნაკლებ ფასს აწესებენ. როგორც წესი, შუამავლები ყიდულობენ 2-3 ტონა ყველს. ზოგჯერ შუამავლები ფერმერებს ფულს პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ უხდიან.
გასაღების ბაზარი	ძირითადად გასაღების ბაზარს წარმოადგენს თბილისი და რამდენიმე დიდი ქალაქი. პროდუქციის ნაწილი იყიდება სოფლებში, ძირითადად, აზერბაიჯანიდან და თბილისიდან ჩამოსულ დამსვენებლებზე.

მოკლე მიმოხილვა

2012 წლის მონაცემებით დმანისის მუნიციპალიტეტში 22 210 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი აღირიცხება. ძირითადად გავრცელებულია ადგილობრივი კავკასიური ჯიშები. ზაფხულის სეზონზე დღეში 20 ტონა რძე იწარმოება მუნიციპალიტეტის მასშტაბით და რამდენიმე შემგროვებელ პუნქტში იყრის თავს, ესენია: ყარაბულახის, გომარეთის, ოროზმანის, ირგანჩაის და ჯავახის. მიღებული რძით ძირითადად თბილისი რძის გადამამუშავებელი საწარმოები „სანტე“ და „ვიმ-ბილ-დანი“ მარაგდება და ბოლნისის რამდენიმე მცირე საწარმო (4-5), რომლებიც ყველს ამზადებენ. 1 ლიტრი რძის ადგილობრივი საბაზრო ღირებულება 0.7 - 0.8 ლარია. მოსახელობის უდიდესი უმრავლესობა მესაქონლეობითაა დაკავებული, თუმცა ეს მხოლოდ შინამეურნეობების ხარჯზე ხდება.

ჯიშების გაუმჯობესება

2008 წელს „ჯი-ერ-ემ“-ის პროექტის ფარგლებში დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პროექტი, რომლის შედეგადაც 62 ახალი საჯიშე ხბო იქნა გამოყვანილი და მოსახლობას გრანტის სახით გადაეცა.

პრობლემები

ჯიშების გაუმჯობესება დმანისის მუნიციპალიტეტში ქაოტურ ხასიათს ატარებს, რაც ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია რომელიმე დონორი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტზე, თუმცა პროექტის შედეგების მდგრადობა დამოკიდებულია გრანტიორ ფერმერებზე, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საქონელს, ინფორმირებულობის დაბალი დონის ან ხშირ შემთხვევაში საჭირო რესურსების უქონლობის გამო და შესაბამისად, მთავრი ეფექტი მსგავსი ღონისძიებებისა ხშირად იკარგება.

ყველის წარმოება

ყველის წარმოება დმანისის მუნიციპალიტეტში ძირითდად შინამეურნეობებში ხდება თუმცა რამდენიმე მცირე (4-5) საწარმოც ფუნქციონირებს. აქაური ტრადიციული ქართული ყველი და სულგუნი დიდი პოპულარობით სარგებლობს, მისი ადგილწარმოშობის გამო, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მდებარეობა განაპირობებს იქ წარმოებული ყველის და რძის პროდუქტების მაღალცხიმიანობას და ალპური კომპონენტების სიჭარბეს.

პრობლემები

ყველის წარმოების მრავალწლიანი ტრადიციის მიუხედვად, მუნიციპალიტეტში არ არის სტანდარტიზებული საწარმო, რომელიც შესაძლოა პასუხობდეს წარმოების სრულ პროცესს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს. არსებული საწარმოები ძირითადად საკუთარი ნედლეულით აწარმოებენ ყველს, ხოლო დამატებით რძის მიღების შემთხვევაში მხოლოდ ცხიამიანობაზე ამოწმებენ და არ ხდება რძის სხვა კომპონენტების დადგენა, რაც პროდუქციის შემდგომ დამუშავებაზე, ხარსხზე და საბაზრო სახეზეც მოქმედებს.

დმანისის ყველის წარმოება სეზონურია, ზაფხულში მისი რეალიზაციის აქტიური პერიოდია, ხოლო ზამთარში წარმოება თითქმის 70%-ით მცირდება, რადგან ზამთარში ადგილობრივი ფერმერები ვერ ახერხებენ საქონლის კომბინირებული და მაღალკალორიული საკვებით უზრუნველყოფას, რაც იწვევს რძის რაოდენობის კლებას. სურსათის უვნებლობის ადგილობრივი სამსახური საცალო ბაზრისთვის განკუთვნილი ყველის ხარისხს არ ამოწმებს, ვინაიდან ადგილზე არც შესაბამისი ინფრასტრუქტურაა და არც სპეციალისტები, ხოლო ექსპორტზე გატანის შემთხვევაში წარმოშობის სერთიფიკატს რეგიონული სამსახური გასცემს, რომელიც რუსთავშია ბაზირებული.

კონსულტაციები

სურსათის უვნებლობის ადგილობრივი სამსახური წარმოადგენს მხსვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა პარტონობის პროცესში ერთადერთ ოფიციალურ წყაროს ადგილობრივი ფერმერებისთვის ინფორმაციის და მომსახურების მიწოდების თვალისაზრისით. მათ

კომპეტენციაში ძირითადად დავადებათა კონტროლი, პროფილაქტიკური ღონისძიებები, დაავადებული პირუტყვის გამოვლენა და დიაგნოსტიკისთვის შესაბამის ლაბორატორიაში გადაგზავნა წარმოადგენს. დროდადრო დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების ფაგრლებში ხდება მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება საქონლის დაავადებათა კონტროლის, გადასარეკი ტრასების დაცვა/მოწესრიგების, ახალი ჯიშების გავრცელების საკითხებში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების ფარგლებში ხდება მსხვილფეხა საქონლის პრევენციული უფასო და სავალდებულო ვაქციანცია, თუმცა დაავადებათა გავრცელების პირობებში სამინისტროს ინტერვენციის გააქტიურებამდე მოსახლეობა საკუთარი ძალებით თავად ახდენს შემთხვევებზე რეაგირებას. ამ ეტაპზე Mercy Corps - ის პროექტი Alliance Kvemo Kartli რომელიც მხარს უჭერს დაბალი შემოსავლების მქონე მესაქონლეობით დაკავებულ ფერმერებს შემოსავლების ზრდის კუთხით.

პრობლემები

ვეტერინარული მომსახურების ხეომისაწვდომობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ადგილობრივი ფერმერებისთვის. პროფესიონალი ვეტერინარები მხოლოდ ასაკში შესული ადამიანები არიან და ამასთანავე და მათი რაოდენობა იმდენად მცირეა (3 ვეტერინარი), რომ სრულად ვერ წვდებიან მთელს მუნიციპალიტეტს. შესაბამისად ფერმერებს უწევთ საკუთარი პრაქტიკის და ამ საქმეში შედარებით ჩახედული (მეტი პრაქტიკის მქონე) ადამიანიების რეკომენდაციებზე დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება, რაც ხშირ შემთ-ხვევაში არაზუსტი და საზიანოა.

მექანიზაცია

დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შპს „მექანიზატორი“, რომელიც მოსახლეობას უწევს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურებას. რაც შეეხება კერძო მექანიზატორებს, მათი რიცხვი მცირეა. ტექნიკა, რომელსაც ისინი ფლობენ, არის ამორტიზებული და მოძველებული. შესაბამისად, მათი მომსახურების საფასური უფრო მცირეა, ვიდრე შპს მექანიზატორის.

საბითუმო ბაზარი

დმანისის ყველის რეალიზაციას შინა მეურნეობები და მცირე საწარმოები ადგილზევე ახდენენ თბილისიდან ჩამოსული დისტრიბუტირების დახმარებით. შესაბამისად პროდუქტის პირველადი რეალიზაციის ფასი დაბალია.

ექსპორტი

დმანისში წარმოებული ყველის საბითუმო მიწოდება აზერბაიჯანშიც ხდება ადგილობრივი აზერბაიჯანელი მოსახლეობის მხრიდან, თუმცა იმპორტირებული პრო-დუქციის რაოდენობა არ არის დიდი, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა მასზე გაზრდილია.

პრობლემები

ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს ის რომ ექსპორტი აზერბაიჯანში ცალკეული მოვაჭრეების მიერ მცირე რაოდენობით გადატანილი ყველით შემოიფარგლება და ექსპორტს არ გააჩნია სისტემური ხასიათი, შესაბამისად ამ ფონზე პრაქტიკულად შეუძლებელია ექსპორტირებული პროდუქტის მოცულობის ზუსტი აღწერა.

საცალო ბაზარი

დმანისის ყველის საცალო ბაზარი ძირითდად თბილისის აგრარული ბაზრები და სუპერმარკეტებია, სადაც პროდუქტი დიდი პოპულარობით სარგებლობს.

პრობლემები

თუმცა სეზონზე პროდუქტის წარმოების შემცირების დროს ხშირია დმანისის ყველის ნიშნის ქვეშ სხვა ადგილწარმოშობის პროდუქტის რეალიზაცია. ასევე არ ხდება ადგილობრივი პროდუქტის სარეალიზაციოდ შეფუთვა და სპეციალური სავაჭრო ნიშნის ქვეშ გაყიდვა, რაც

უზრუნველყოფდა დმანისის ყველისთვის განსაკუთრებული ნიშის არსებობას დედაქალაქის ბაზარზე.

1. ბაზრის სქემა დმანისის მუნიციპალიტეტისათვის (გამოყენებული პროდუქტი - რძე და რძის პროდუქტები)



რძე და რძის პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის SWOT ანალიზი (დმანისი)

ძლიერი მხარეები	*სუსტი მხარეები*
• რძისა და ყველის წარმოების მდიდარი ტრადიციების არსებობა; • მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის უფასო და სავალდებულო ვაქცინაცია; • დედაქალაქთან სიახლოვე საცალო და საბითუმო ქსელთან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით; • მინუციპალიტეტში რძის ჩამბარებელი პუნქტების არსებობა;	• რძის პროდუქტების გადამამუშავებელი სტანდარტიზებული საწარმოს არარსებობა; • რძის ხარისხის შემმომწმებელი ლაბორატორიის არარებობა; • საქონლის კომბინირებული და მაღალკალორიული საკვების დეფიციტი; • საქონლის დაავადებების შესახებ ფერმერთა ინფორმირებულობის დაბალი დონე; • კვალიფიციური ვეტერინარების სიმწირე; • ზოგიერთ შემთხვევაში საძოვრების არახელმისაწვდომობა ფერმერთათვის; • სუსტი სავაჭრო კავშირები მეზობელ ქვეყნებთან.
შესაძლებლობები	*საფრთხეები*
• სურსათის უვნებლობის სფეროში შესაბამისი სამართლებრივი ბაზის არსებობა;[1] • საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის თავი V; • დონორი ორგანიზაციების მხრიდან მზარდი დაინტერესება; • ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, რომელიც ბაზრის გაფართოების საშუალებას იძლევა; • დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბაზრის განვითარების სტრატეგია; • სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის შექმნა; • ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ (მუხლი #16, პუნქტი-გ), რომელიც საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრის საშუალებას აძლევს მუნიციპალიტეტს.	• ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი; • პირუტყვისთვის საკვები პროდუქტების გაძვირება; • იმპორტის პროდუქციის მოცულობის ზრდის ტენდენცია; • სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული ფორსმაჟორული სიტუაციები (სტიქიური მოვლენები);

[1] სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი

დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრი ბაზრის განვითარების ხედვა და პრიორიტეტები

დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბაზრის განვითარების გეგმის ფარგლებში შემუშავებული ხედვა და პრიორიტეტები ეყრდნობა სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულ SWOT-ანალიზის შედეგებს, მუნიციპალიტეტის პროფილს, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს და ექსპერტ-ფასილიტატორების მოსაზრებებს. მოცემული ხედვა და პრიორიტეტები მუნიციპალიტეტს მისცემს საშუალებას სწორად განსაზღვროს და დაგეგმოს სამომავლო ღონისძიებები სოფლის მეურნეობის სფეროს შემდგომი განვითარებისათვის, აღნიშნული კი ასევე ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში არსებული ფერმერული მეურნეობების განვითარებას და ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრი ბაზრის განვითარების ხედვა

ხედვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ ჩამოყალიბებულ მუნიციპალიტეტის მომავლის კონცეფციას აღწერს იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მუნიციპალიტეტისა და მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი მოსახლეობის მდგომარეობა მომავალში (ჩვეულებისამებრ 3-4 წლის შემდეგ). დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბაზრის განვითარების ხედვა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფისა (რომლის შემადგენლობაში შედიან: ადგილობრივი ფერმერები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები) და ექპერტ/ფასილიტატორების მიერ (კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსიტუტიდან). აღნიშნული პროდუქტი შეიქმნა სამუშაო შეხვედრების, პირველადი და მეორადი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

მოცემული ხედვა ასახავს თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სფერო 4 წლიან პერსპექტივაში. ხედვა: დმანისის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სფეროში (მეცხოველეობის და მემცენარეობის დარგში) თანამედროვე ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობით გაუმჯობესდება ადგილობრივ ბაზარზე ამ სფეროში პროდუქციის წარმოების მასშტაბები, რაც გამოიწვევს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას 2016 წლისთვის.

დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრი ბაზრის განვითარების მიზნები

დმანისის მუნიციპალიტეტში განხორციელებულმა სამუშაო შეხვედრებმა და მოპოვებული ინფორმაციის ანალიზმა შესაძლებელი გახადა მიზნების დასახვა ადგილობრივი ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებით.

მთავარი მიზნები იმ კონკრეტულ შედეგებს მიანიშნებენ, რომელთა მიღწევა მუნიციპალიტეტმა დაისახა. ხედვასთან შედარებით ეს მიზნები უფრო კონკრეტულია, მაგრამ მათ მაინც აღწერითი ხასიათი აქვს:

- სოფლის მეურნეობის დარგის (მეცხოველეობის) განვითარებით (წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდით) ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.
- მუნიციპალიტეტში ბიზნესის განვითარებისათვის (ფერმერული მეურნეობების) ხელშემწყობი პროგრამების შემუშავებით ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების გაუმჯობესება.

დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბაზრის განვითარების პრიორიტეტები

ხედვის და ზოგადი მიზნების განსაზღვრის შემდეგ დმანისის მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა ადგილობრივი ბაზრის განვითარების რამოდენიმე პრიორიტეტული მიმართულება. პრიორიტეტები დაიყო პირველი და მეორე რიგის პრიორიტეტებად. პრიორიტეტული მიმართულებები დაეყრდნო SWOT ანალიზს, მუნიციპალიტეტის პროფილს, ხედვასა და ზოგადი მიზნებს.

პირველი რიგის პრიორიტეტები:

- მეცხოველეობაში და მემცენარეობაში ჯიშების გაუმჯობესობა, პროფესიული განათლების ხელშეწყობა და პროდუქციის ხარისხის კონტროლი.
- ადგილობრივი ფერმერების ხელმშემწყობი ეფექტური პროგრამების განხორციელება და სოფლის მეურნეობის დარგში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ინვესტიციების მოზიდვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების (რძის და ხორცის) გადამამუშავებელი საწარმოების შესაქმნელად.

მეორე რიგის პრიორიტეტები:

- „გადასარეკი ტრასების“ მოწყობა;
- ვეტერინარული მომსახურებისა და ჯიშთა გაუმჯობესების ცენტრების ხელმისაწვდომობა;
- საძოვრების გაკულტურების და აგრო-ტექნიკის სერვის ცენტრების ხელმისაწვდომლობა;
- ირიგაციისა და დასარწყულებლების მოწესრიგება;
- „ტაშირის“ მეწარმეთა გამოცდილების გაზიარება ევროსტანდარტების დანერგვის თვალსაზრისით (რეგიონში არსებობს 10-მდე ევროსტანდარტის ქარხანა).

PACA-ს ტრენინგების შედეგად განხორციელებული ინიციატივები:

PACA-ს ტრენინგების დამთავრების შემდეგ დმანისში ჩატარებული დისკუსიების შედეგად ადგილობრივი მეწარმეების მიერ გაკეთდა მიმართვა ცენტრალური ხელისუფლებისადმი, კერძოდ კი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი, ახალი საცდელი ჯიშის ძროხების მხარდასაჭერად. მიმართვა გაკეთდა ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებისა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ერთობლივი ძალისხმევით. სოფლის მეურნეობის სამინისტრო დადებითად შეხვდა მიმართვას, გამომდინარე იქიდან, რომ იგი მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას. დმანისის რეგიონში გადაიგზავნა სამი სხვადასხვა მაღალპროდუქტიული ჯიშის ძროხა, რეგიონში არსებულ ძველი ჯიშის ძროხებთან შესადარებლად. აღნიშნული ძროხები გადაეცა რეგიონს გამოსაცდელად, და მაღალპროდუქტიულობის დამტკიცების შემდეგ, მათი შეძენა მოხდება ადგილობრივების მხრიდანაც.

მსხვილფეხა საქონლის „გადასარეკი ტრასების“ პრობლემა ნაწილობრივ გადაწყდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაწილეობით. ეკონომიკის სამინისტროსადმი განკუთვნილი ტერიტორიები, რომელიც კვეთს „გადასარეკი ტრასების“ ტერიტორიებს გადაეცა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს. მოგვიანებით მოხდება „გადასარეკი ტრასების“ ორგანიზებულად მოწყობა. ერთობლივი განცხადების საფუძველზე საერთაშორისო ორგანიზაცია „Mercy Corps“-ის მიმართ, დაიწყო პროექტის განხორციელება თანადაფინანსებით, რომლის ფარგლებშიც მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის უზრუნველყოფა, მათ მიერ მოთხოვნადი ახალი მაღალპროდუქტიული ბუღებით. პროიექტი ითვალისწინებს 50-50%-იან თანადაფინანსებას აღნიშნული

შემოთავაზებული ტრანსსასაზღვრო ინიციატივები:

საქართველო-სომხეთი

1. თანამშრომლობა მეწარმეთა შორის ბაზრის განაწილებასთან დაკავშირებით, მაგ, საქართველო -> სომხეთი -> რუსეთი
2. ყველის მწარმოებლების მიერ გამოცდილების გაზიარება რეგიონების მასშტაბით.
3. სომხების მიერ ჩირის წარმოების გამოცდილების გაზიარება ქართველი მეწარმეებისათვის.

შერჩეული ტრანსსასაზვრო ინიციატივები, რომელთაც გაეწიათ ქოუჩინგი LRED-NET პროექტის ფარგლებში

1. **საქართველო-საბერძნეთი:** მარტვილი, პეტრა და პიერა, დიონი: გამოცდილების გაზიარება ევროპის ბაზრის ტექნიკური რეგულაციების შესახებ ბერძნების მხრიდან, გამოცდილების გაზიარება რუსეთის ბაზარზე ექსპორტის თავისებურებების შესახებ ქართველების მხრიდან.
2. **საქართველო-სომხეთი:** მარტვილი, ნოემბერიანი, ნორატუსი, სარუხანი: ქალაქ ნოემბერიანში ქართული აგრო-ტურიზმის შესახებ ინფორმაციის/რეკლამის გავრცელება სომეხ და ირანელ ტურისტებზე გათვლით.
3. **საქართველო-მოლდოვა:** მარტვილი - სანგერეის რაიონის, ჩისკარენის მუნიციპალიტეტის გამოცდილების გაზიარება აგრო ტურიზმის სფეროში ბიზნეს პაკეტებში თანამედროვე ICT საშუალებების (ე.წ. ვირტუალური ვაჭრობა) გამოყენების შესახებ.

ბულგარეთი

ბულგარეთი, რომლის ოფიციალური სახელწოდება არის ბულგარეთის რესპუბლიკა, მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ჩრდილოეთიდან მას ესაზღვრება რუმინეთი, დასავლეთიდან სერბეთი და იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია, სამხრეთიდან საბერძნეთი და თურქეთი, ხოლო აღმოსავლეთიდან შავი ზღვა. მისი ტერიტორის ფართობი შეადგენს 110,994 კვ/კმ-ს (42,855 კვ.მ), და ამ მაჩვენებლით იგი ევროპის უდიდეს ქვეყნებს შორის მე-16-ე ადგილს იკავებს.

მისი ჩრდილოეთის საზღვრის დიდი ნაწილი მდინარე დუნაის მიუყვება ქალაქ სილისტრამდე. ბულგარეთის სახმელეთო ტერიტორია მოიცავს 110,550 კვ.კმ-ს (42,680 კვ.მ) და ამ მაჩვენებლით იგი ოდნავ აღემატება ისლანდიასა და აშშ-ს ერთ-ერთ შტატს ტენესს.

ქვეყანა მდებარეობს შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. მიუხედავად მასშტაბების სიმცირისა, იგი გამოირჩევა ტოპოგრაფიული მრავალფეროვნებით. ქვეყნის თუნდაც სულ მცირე ნაწილში შესაძლოა შეგვხვდეს დაბლობები, პლატოები, გორაკები, მთები, მდინარის აუზები, კანიონები, და მდინარის ღრმა ხეობები. ბულგარეთის გეოგრაფიული ცენტრი მდებარეობს უზანაში.

PACA ობშტინა დობრიჩკას, დოლნი ჩიფლიკის და სტარო ორიაჰოვოს მუნიციპალიტეტებში.

ობშტინა დობრიჩკას მუნიციპალიტეტი

ობშიტა დობრიჩკას მუნიციპალიტეტი მდებარეობს ბულგარეთის ყველაზე ნაყოფიერ ნაწილში - სამხრეთ დობრუდჟას რეგიონში ქ. დობრიჩის მიმდებარედ, რომელიც ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენს. მოსაზღვრე მეზობელი მუნიციპლიტეტებია: აღმოსავლეთით ბალჩიკის და გენერალ-ტოშევოს მუნიციპალიტეტები, დასავლეთით ტერველის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით კრუშარის მუნიციპალიტეტი. ყველა მათგანი დობრიჩის ოლქის მუნიციპალიტეტებია. ხოლო სამხრეთით ესაზღვრება ვარნას ოლქში შემავალი აკსაკოვოს და ვალჩი დოლის მუნიციპალიტეტები. პრაქტიკულად, მას დობირჩის ოლქიდან მხოლოდ კავარნას და შაბლას მუნიციპალიტეტები არ ესაზღვრება. გამომდინარე იქიდან, რომ აქ არ მდებარეობს ადმინისტრაციული ცენტრი, ოლქის ადმინისტრაციული და ტერიტორიული სტრუქტურა უჩვეულოა. დობრიჩკას მუნიციპალიტეტი წარმოადგენს 68 პუნქტის გაერთიანებას, რომლებიც იმართება არჩეული და დანიშნული მერების (კმეტი) მიერ.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ფართობი შეადგენს 1298 კვ.კმ-ს და დაყოფილია მათი გამოყენების შესაბამისად:

- სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი ტერიტორიები -1025217
- ტყეებით დაფარული ტერიტორიები - 195028
- დასახლებული ტეროტორიები - 65384
- წყლით დაფარული ტერიტორიები - 4370
- ტერიტორიები სადაც მდებარეობს მინერალური რესურსები- 1614
- სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული ტერიტორიები – 7227

რელიეფი, რომელზედაც ობშტინა დობრიჩკას მუნიციპალიტეტი მდებარეობს, წარმოქმნის მდინარე დუნაის მთიან დაბლობს და ხასიათდება ბრტყელი და მომრგვალებული ფორმის ბორცვებით, მეჩხერი და ფართო ხეობებით, რომელზედაც ვხვდებით მსუბუქ ფერდობებს. დაბლობს ყოფს მდინარე სუჰას ხეობა.

მუნიციპალიტეტში ზომიერად კონტინენტალური კლიმატი დომინირებს, რომელსაც ახასიათებს ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს 10.2 °C-ს. შესაბამისად ნალექების რაოდენობა წლის განმავლობაში მცირეა - 571 ლ/კვ.მ-ზე. ჰაერის წლიური ფარდობითი ტენიანობა საშუალოდ 78%-ს შეადგენს, ხოლო მშვიდი და სასურველი ამინდების რაოდენობის პროცენტულობა დაბალია, რაც ძირითადად გამოწვეულია ჩრდილო-დასავლეთიდან მონაბერი ზამთრის მაღალი და ზაფხულის მცირე მასების ნაკადით.

ობშტინა დობრიჩკას მუნიციპალიტეტი მდებარეობს ბულგარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და შედის იმ ოლქის შემადგენლობაში, რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც ქალაქი დობრიჩია. მას მთლიანი ქვეყნის ტერიტორიის ერთ-ერთი ყველაზე დიდ ნაწილი უკავია და ესაზღვრება დობრიჩის ოლქის ოთხი მუნიციპალიტეტი, ესენია: გენერალ ტოშევო, კრუშარი, ბალჩიკი და ტერველი და ვარნას ოლქის ორი მუნიციპალიტეტი: ვალჩი დოლი და აკსაკოვა. დობრიჩკას მუნიციპალიტეტი მდებარეობს დობრუჟნას რეგიონის სამხრეთით, მთიან დაბლობზე, ზღვის დონიდან საშალოდ 240 მ-ზე.

ობშტინა დობრიჩკას მუნიციპალიტეტი შეიქმნა ქვეყნის ადმინისტრაციულ და ტერიტორიულ ცვლილებებთან დაკავშირებით, სახელმწიფო საბჭოს №3005 ბრძანების საფუძველზე, 1987 წლის 10 სექტემბერს. მუნიციპალიტეტი მოიცავს 68 ტერიტორიულ ერთეულს, ესენია: ალცეკი, ბატოვო, ბენკოვსკი ბოჟუროვო, ბრანიშტე, ვედრინა, ვლადიმიროვო, ვოდნიანცი, დოლინა, დონჩევო, დრაგანოვო, ენევო, ჟიტნიცა, კამენი, კარაპელიტი, კოზლოდუიცი, კოტლენცი, ლოვჩანცი, ლომნიცა, ლიასკოვო, მეტოდიევო, ოვჩაროვო, ოდრინცი, ოდურცი, პასკალევო, პლაჩიდოლი, პობედა, პოდსლონი, კოლონელ მინკოვო, პჩელინო, როსენოვო, სვობოდა, სლავეევო, სლივენცი, სმოლნიცა, სტეფან კარადჯა, სტეფანოვო, სტოჟერი, ტიანევო, ფელდფებელ დენკოვო, ჰიტოვო, ცარევეცი, ჩერნა, ბდინცი, ბოგდანი, ვრატარიტე, ვრაჩანცი, გენერალ კოლევო, დებრენე, დობრევო, დრიანოვეცი, ზლატია, კრაგულევო, პატარა სმოლნიცა, მედოვო, მილადინოვცი, ბოტევო, ოპანეცი, ორლოვა მოგილა, კოლონელ სვეშტაროვო, პოპგრიგოროვო, გეშანოვო, პრიმორცი, პრილეპი, პჩელნიკი, კოლონელ ივანოვო, სამუილოვო, სოკოლნიკიპო. ისინი, მუნიციპალიტეტისა და რეგიონალური ცენტრის ირგვლივ წრიულად არიან განლაგებულნი, და მაქსიმალური მანძლი მათ შორის მერყეობს 30კმ-დან და 35 კმ-მდე. 43 ტერიტორიულ ერთეულში ჩამოყალიბებულია მერიის ოფისები, ხოლო დანარჩენ 25 ერთეულს გააჩნია დანიშნული მერები.

ბულგარეთში მდებარე აღმოსავლეთ დობრუდჯას რეგიონი მოიცავს ტერიტორიას, რომელსაც ჩრდილოეთიდან ესაზღვრება დუნაის დაბლობი, აღმოსავლეთიდან შავი ზღვა და სამხრეთ-დასავლეთიდან ლუდოგორიეს რეგიონი. იგი წარმოადგენს დუნაის დაბლობის ყველაზე ნაყოფიერ ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს ორგანული სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი და მსუბუქი მრეწველობის დარგების განვითარების შესაძლებლობებს. რეგიონის უპირატესობას წარმოადგენს ბულგარეთის შიდა ტერიტორიაზე და რუმინეთის ბაზარზე ადვილად მისაწვდომობა. მდინარე დუნაი ბულგარეთს აკავშირებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 11 ქვეყანასთან. რეგიონს ასევე უშუალო გასასვლელი გააჩნია ბულგარეთში მდებარე ვარნას ოლქის შავი ზღვის პორტზე და რუმინეთში მდებარე კონსტანტას შავი ზღვის პორტზე. შავი ზღვის რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს სატრანსპორტო მაგისტრალი „ევროპა 87“, რომელიც ქვეყანას ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპასთან და თურქეთთან აკავშირებს. დობრიჩის ოლქის ტერიტორიაზე გადის ორი მთავარი სარკინიგზო მაგისტრალი, რომლის საშუალებითაც ხდება ტვირთის ტრანსპორტირება დუნაის და შავის ზღვის პორტებიდან ქ. სოფიისა და სამხრეთ ბალკანეთის ქვეყნების მიმართულებით. რეგიონის სიახლოვეს მდებარეობს ვარნას აეროპორტი და რუმინეთის საზღვრიდან სულ რაღაც 210 კმ მანძილზე კი ბუქარესტის საერთაშორისო აეროპორტი. რეგიონი ასობით აკრი ნაყოფიერი, სუფთა და გონივრულად განლაგებული მიწის ნაკვეთებით არის უზრუნველყოფილი. მუნიციპალიტეტი განფენილია 1296 კვ.კმ ფართობზე და მისი სახნავ-სათესი მიწების საერთო ფართობი შეადგენს 1090 კვ.კმ-ს, ტყით დაფარული ტერიტორიები - 193 კვ.კმ, წყლით დაფარული ზონები/ჯებირები - 2.5 კვ.კმ, ხოლო გზებს - 9.5 კვ.კმ. უკავია. მისი რელიეფი სწორია და ხელსაყრელ პირობებს ქმნის თანამედროვე სოფლის მეურნეობისა და სხვა აქტივობების განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო ქსელის საერთო სიგრძე 439 კმ-ია:

IV კლასის გზების სიგრძე - 202.7კმ.
III კლასის გზების სიგრძე - 86.8 კმ.
II კლასის გზების სიგრძე - 149.5 კმ.

სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ადგილობრივი ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვან დარგს. საარსებო წყარო, გასული საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე, სოფლის მეურნეობასთან და მეცხოველეობასთან ასოცირდება, და ყურადღება ძირითადად გამახვილებულია სოფლის მეურნეობის დარგში არსებულ კოოპერატივებზე, მოიჯარადეებზე

და კერძო ფერმერებზე. ხელსაყრელი კლიმატი და ნაყოფიერი ნიადაგი განსაზღვრავს რეგიონის ეკონომიკის დონეს, სადაც ტრადიციულად მოყავთ ხორბალი, მზესუმზირა, სიმინდი და სხვა კულტურები. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციების წყალობით აქ მოსავალი ყველაზე მაღალია. საიმედო მიმართულებას წარმოადგენს სასათბურე წარმოების ბოსტნეულის მოყვანა. სათბურების მიერ დაკავებული ტერიტორიების ფართობების გაზრდა და კულტურების გამრავალფეროვნება ხელს შეუწყობს, ბოსტნეულისა და სხვა რამდენიმე ინდუსტრიული კულტურის სასათბურე წარმოების განვითარებას. მუნიციპალიტეტში ინდუსტრიული სტრუქტურა განისაზღვრება ქვე-დარგებით, ესენია: კვების მრეწველობა, საკვები ზეთისა და სოსისების წარმოება, მსუბუქი მრეწველობა, ქალის სამოსის წარმოება, ფეხსაცმლისა და ტყავის ნაწარმის წარმოება, მანქანა-დანადგარების წარმოება, ავტომობილების ფილტრების წარმოება. მუნიციპალიტეტი წყლის რესურსებით ღარიბ ტერიტორიას წარმოადგენს. სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით გადაშლილია მდინარე სუჰას ხეობა, რომელიც მიმდებარე ხეობებითა და ციცაბო კლდეებით უნიკალურ ბუნებას ქმნის და საინტერესო არქეოლოგიურ მხარეს წარმოადგენს სამხრეთ დობრუჯაში. მდინარის პირას არსებული კანიონი აკავშირებს მუნიციპალიტეტის 8 სოფელს. ეს გახლავთ ნამდვილი ოაზისი, რომელმაც შემოინახა ველური სამყაროს ბიოლოგიური მრავალფეროვნება.

ტერიტორიის გეოლოკაციურმა მდებარეობამ დიდი ინტერესი გამოიწვია ეკოლოგისტებს, არქეოლოგებსა და მკვლევრებს შორის. უამრავი ჩატარებული კვლევები იძლევა საკმარის საფუძველს იმისა, რომ ტერიტორია განვითარდეს, როგორც ეკოლოგიური და კულტურული ტურიზმის ცენტრი. მუნიციპალიტეტში მდებარეობს დაცული ტერიტორია - „ორლოვა მოგილა“ სადაც შემონახულია იორდასალამი და სტეპი ტყეების ნაშთები სამხრეთ დობრუჯაში. მდინარე ბატოვსკას ხეობის უნიკალურობა, ეკოლოგიურად სუფთა ბუნების, ტყეების და სანადირო ტერიტორიების, სათევზაო ადგილების არსებობა, ექსპედიციები და აგრარული ტურიზმის განვითარებისათვის არსებული ხელსაყრელი პირობები იზიდავს უამრავ კომპანიას და სურვილს უჩენს ჩამოაყალიბოს ტურისტული ცენტრი, რომლის განვითარების საფუძვლადაც „ალბენას“ და“ოქროს ქვიშების“ კურორტებთან სიახლოვე მოისაზრება. ამ ხეობის ირგვლივ ხედი თანდათანობით იშლება ბატოვოსა და ტიულიუშნოს ღარტაფის მიმართულებით. სოფლების: კარაპელიტი, კრაგულევო, ოდურცი, დებრენე და პრილეპის იგვლივ მდებარე ტერიტორიისადმი ინტერესის საბაბს წარმოადგენს fossils ნარჩენები, ძველი რომაული და ბიზანტიური ციხე-სიმაგრე, რომელიც თარიღდება 4-6 საუკუნეებით.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	*სუსტი მხარეები*
❖ გეოსტრატეგიული მდებარეობა - ორ მნიშვნელოვან ქალაქთან და ორ საერთაშორისო აეროპორტთან (ვარნა და ბუქარესტი) სიახლოვე; უშუალო მეზობლობა დობრიჩთან, რომელიც „მარცვლოვანი კულტურების მრეწველობის ცენტრს“ წარმოადგენს; მოწესრიგებული სატრანსპორტო კომუნიკაციის არსებობა. ❖ ნატურალურად გამდიდრებული და ანთროპოგენური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რესურსების და ნაყოფიერი ნიადაგის არსებობა (საუკეთესო ხარისხის ნიადაგი მთელ ბულგარეთში) ❖ მარცვლოვანი კულტურის მეურნეობის სფეროში საჭირო ტექნიკისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დასამუშავებელი მანქანა-დანადგარების არსებობა. ❖ შესაფერისი ბუნებრივი და კლიმატურის პირობების და ადგილობრივი ტრადიციების არსებობა, ეფექტური ფერმერული მეურნეობების უზრუნველსაყოფად. ❖ კერძო კომპანიებისა და სასაწყობე მეურნეობების არსებობა. ❖ მარცვლოვანი და მრავალწლიანი კულტურების მოყვანის ტრადიციების არსებობა; ❖ ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოების არსებობა; ❖ მცირე ზომის ხეხილის ბაღებისა და ბოსტნეულის მეურნეობების სიმრავლე; ❖ ბოსტნეულის მეურნეობის დარგის სპეციალისტთა სიმრავლე; სასოფლო-სამეურნეო ტურიზმის განვითარების წინაპირობის არსებობა; ბიო პროდუქტების დანერგვის ინიციატივები; ❖ პროფესიონალური ტრენინგების ჩასატარებლად პირობების უზრუნველყოფა; ❖ გამუყენებელი სახნავ-სათესი მიწების ხელმისაწვდომობა.	❖ მცირე ფერმერული მეურნეობების და ექსტენსიური პროდუქციის სიმრავლე; ❖ მცირე და საშუალო ზომის მეურნეობების მქონე ფერმერთა საკუთარი საინვესტიციო კაპიტალის სიმწირე, რაც თავის მხრივ აფერხებს ადაპტაციასა და ევროპული სტანდარტების დამკვიდრების პროცესს. ❖ აქტიური თანამშრობლობის დეფიციტი; ❖ სოფლის-მეურნეობის წარმოებისათვის საჭირო პროცედურების (დამაზადება, შემენა, გადამუშავება და მარკეტინგი) შორის კავშირის არარსებობა; ❖ სუსტი სავაჭრო კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან; ❖ ინვესტიციების დეფიციტი ადგილობრივი კომპანიებში; ❖ მოძველებული შენობები და ხელსაწყოები; ❖ შესაძლებლობების არასაკმარისი პრომოუშენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბიზნეს აქტივობების ინიცირების, ჩამოყალიბების და განვითარების თვალსაზრისით; ❖ სოფლის მეურნეობის დარგში საირიგაციო სისტემების დეფიციტი;
შესაძლებლობები	*საფრთხეები*
❖ ბიო სოფლის მეურნეობასთან და აგრო ტურიზმთან დაკავშირებული ახალი ბიზნეს სფეროების განვითარების შესაძლებლობა. ❖ რესურსების ხელმისაწვდომობა ბიო პროდუქტების განვითარებისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით; ❖ მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება ადგილობრივი ხილის, თაფლის, ხორცის, ყველის და ბოსტნეულის ბაზრის შესაქმნელად; ❖ ინვესტორების მოზიდვა სამეურნეო და	❖ შეზღუდული ბიუჯეტი არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური რეაბილიტაციისათვის; ❖ შეუთანხმებელი პოლიტიკა განვითარებასთან დაკავშირებული პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით. ❖ კომპანიების დახურვა; ❖ სოფლის მეურნეობის და სამრეწველო ნატურის იმპორტირების დამპინგი; ❖ EU სტანდარტების მაღალი დონე და მოკლე

გადამამუშავებელი საწარმოების დასაფუძვნებლად და დასანერგად; ❖ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ადგილობრივი ორგანული წარმოების გასაფართოებლად; ❖ სოფლის მეურნეობის სფეროში წარმატებული პრაქტიკის დამკვიდრება და ევროპული გამოცდილების დანერგვა; ❖ ტურისტებისათვის ალტერნატიული ტურიზმის ფორმების შეთავაზება - კულინარია, ჯანსაღი ცხოვრების წესი, განათლება, ბიო-სოფელი. სანაპიროების აქტივიზაცია მიმზიდველი რეგიონალური ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად. ფიტო-სანიტარიის ევრო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; ❖ კონკურენტუნარიანი მეცხოველეობის დარგის ჩამოყალიბება; ❖ დამამზადებლებსა და გადამმამუშავებლებს შორის კავშირების ჩამოყალიბება მტკიცე ბაზრის უზრუნველსაყოფად; ❖ სტრუქტურულ ფონდებსა და ევროკავშირის სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ფონდების პროექტებში მონაწილეობის მიღება.	საშეღავათო პერიოდი; ❖ არსებული წყლის რესურსების გამოუყენებელი პოტენციალი საირიგაციო სისტემების მოსაწყობად; ❖ ადგილობირივი ბუნების წარუმატებელი გამოყენება აგრო ტურიზმის განვითარებისათვის.

„ობშტინა დობრიჩკას“ ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის პოზიცია/უნიკალური კონკურენტული უპირატესობების არსებობა.



PACA-ს გუნდის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად შერჩეული სტრატეგიული ინტერვენციები

იდეის აღწერა	ვადა	სპეციფიური ინტერვენცია	გავლენა/შედეგები
ერთი ფანჯრუის პრინციპის სავჭრო ცენტრის ჩამოყალიბება ბიზნეს გარიგებების საწარმოებლად - ობშტინა დობრიჩკას ვირტუალური ქსელი საერთო ბიზნესისათვის.	ხანმოკლე	საკომუნიკაციო კავშირებისთვის საჭირო ინვენტარით 68 სოფლის უზრუნველყოფა	ცნობიერების ამაღლება საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ შერჩეულ რეგიონებში
	ხანმოკლე	მოლაპარაკებების წარმოება იმ ადგილობრივ ბიზნესმენებთან, რომლებმაც შექმნეს ინტერნეტ-კავშირები სოფლებში	კომუნიკაციური ინფრასტრუქტურის გამოუმჯობესება, სოფლებს შორის საიმედო ინტერნეტ-კავშირების არსებობა
	ხანმოკლე	არსებული ელ-ფოსტების, პროფილების და ვებ-გვერდების შეგროვება	ცნობიერების ამაღლება ინტერნეტ-ქსელების თვალსაზრისით
	ხანმოკლე	ყველა სოფლის მასშტაბით ადგილობრივი ექსპერტებისათვის ტრენინგების ჩატარება კომპიუტერული უნარების ასამაღლებლად	ადგილობრივი ხელისუფლების კომუნიკაციური უნარების გაუმჯობესება
	ხანმოკლე	ელ-ფოსტების შექმნა იმ სოფლებისათვის სადაც არ არსებობდა ინტერნეტ-ქსელები	ცენტრალურ ადმინისტრაციასა და სოფლებს შორის კომუნიკაცების გაუმჯობესება.
	ხანმოკლე	მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ქვედომენის დამატება, სადაც განთავსებული იქნება ინფორმაცია სოფლის მოსახლეობისათვის	წვლილის შეტანა კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომი გარემოს შესაქმნელად.
	ხანმოკლე	ადგილობრივი ხელისუფლების ოფისების კომპიუტერული მოწყობილობებით აღჭურვა	წვლილის შეტანა კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომი გარემოს შესაქმნელად.
	ხანმოკლე	სოფლების ვებ-ინიციატივა: „ეკოლოგიურად სუფთა დობრუჯა“	ადგილობრივი თვითრწმენის ამაღლება; ინვესტიციების მოზიდვა

	ხანმოკლე	ადგილობირივი მერის მოადგილის როლის განხივლა შუამავლის რანგში, ბიზნეს ურთიერთობების საწარმოებლად.	ადგილობრივი თვითრწმენის ამაღლება; ინვესტიციების მოზიდვა
	საშუალო	68 სოფელში საერთო ვებ-გვერდის ჩამოყალიბება	ურთიერთშეთანხმებული შესაძლებლობები; კერძო და საჯარო სექტორს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება; სტრატეგიული დაგეგმარების განვითარება;
	საშუალო	Facebook-ში, Instagram-ში და სხვა სოც.ქსელებში სოფლის ფან-გვერდების შექმნა;	ადგილობრივი ადამიანური რესურსების შენარჩუნება; თვითრწმენისა და თვითრეალიზების უნარის ამაღლება სოფლებში; ადგილობრივი რესურსების მაქსიმიზაცია. იმიზაცია
	საშუალო	საკონსულტატო ერთეულის ჩამოყალიბება ადგილობრივი ბიზნეს ერთეულებისათვის	ურთიერთშეთანხმებული შესაძლებლობები; კერძო და საჯარო სექტორს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება; სტრატეგიული დაგეგმარების განვითარება; ბიზნეს გადაწყვეტილებების პრომოუშენი.
	საშუალო	დისტანციური სასწავლო პლათფორმის ჩამოყალიბება	შესაბამისი უნარების არმქონე მოსახელობის მოზიდვა კვალიფიკაციის ასამაღლებლად; ცნობიერების ამაღლება პროფესიული ტრენინგების საჭიროების თვალსაზრისით.
	საშუალო	ადგილობრივი მრეწველობისა და საბაზრო მოთხოვნების და შესაძლებლობების შესაბამისი უნარების განვითარების პროგრამის შემუშავება	ადგილობირივი მოსახლეობის უნარების და ცოდნის ბაზისის გაფართოება და ორგანიზება, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით.
	საშუალო	ვირტუალური ქსელში ახალგაზრდული ცენტრის ჩამოყალიბება	არსებული ძლიერი ახალგაზრდული ბაზისის ჩამოყალიბება; ემიგრაციისათვის ხელის შეშლა; ახალგაზრდების ცხოვრების სტილის გაუმჯობესება
	საშუალო	პროდუქციის/ბიზნეს სექტორების/სერვისების ცნობარის შემუშავება	ინვესტიციების მოზიდვა; ადგილობრივი კაპიტალდაბანდებების გაზრდა; დასაქმების გაუმჯობესება;

	საშუალო	სერვისების შექმნა სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება სოფლის მეურნეობაზე	ვაჭრების შემოსავლის გაზრდა; ვაჭრებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბება.
	ხანგრძლივი	ახალი ვირტუალური საინფორმაციო პორტალის შეთავაზება ინვესტორთათვის.	სამეწარმეო შესაძლებლობების მასიური გაფართოების უზრუნველყოფა; დასაქმების ზრდა; საკუთრების ინდუსტრიის გაუმჯობესება;
	ხანგრძლივი	ბიზნეს ერთეულის ჩამოყალიბება ცენტრალურ მუნიციპალიტეტში, ვირტუალური ქსელის სამართავად;	ოფიციალური გარიგებების გაუმჯობესება პოტენციურ და არსებულ ინვესტორებთან.
	ხანგრძლივი	ადგილობირივი აგრო კლასტერის შექმნა	ახალი ბიზნეს პრაქტიკის დანერგვა და დასაქმების გაუმჯობესება; ახალი ბიზნეს საქმიანობების წამოწყება.
	ხანგრძლივი	აგრო კლასტერის სრულყოფა მოსაზღვრე და ტრანს-სასაზღვრო ურთიერთთანამშრომლობის ეტაპზე	სტიმულების გაუმჯობესება ინვესტორების მოსაზიდად; შემოსავლის გაზრდა; შესაძლებლობები ახალი კაპიტალდაბანდებებისათვის;

სტარო ორიაჰოვოს მუნიციპალიტეტი.

სტარო ორიაჰოვო წარმოადგენს დოლნი ჩიფლიკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელს და მდებარეობს ბულგარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბალკანეთის მთების აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც მდებარეობს მდინარე კამჩიას გაყოლებაზე და წარმოადგენს ვარნას ოლქის შემადგენელ ნაწილს. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვენლოვან ფაქტორს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება შავი ზღვა, დასავლეთიდან - დალგოპოლის, ჩრდილოეთიდან - ავრენის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთიდან პროვადიას მუნიციპალიტეტები. მის სამხრეთით კი შავი ზღვის მუნიციპალიტეტები - ბიალა, ნესებირი და პომორიეა განლაგებული. სტარო ორიაჰოვო მდებარეობს საერთაშორისო დანიშნულების მქონე მაგისტრალზე, რომელიც ჩრდილოეთ ბულგარეთს სამხრეთ ბულგარეთთან, ხოლო რუმინეთს თურქეთთან აკავშირებს.

მუნიციპალიტეტის ცენტრს წარმოადგენს ქალაქი დონლი ჩიფლიკი და მისი საზღვრების ფარგლებში შედის სულ 17 დასახლება, მათ შორის 1 ქალაქი და 16 სოფელი. დასახლებების რიცხვს მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიც ქალაქი დოლნი ჩიფლიკი.

მერის არჩევა ხდება შემდეგ დასახლებებში: შკორპილოვცი, რუდნიკი, სტარო ორიაჰოვო, დეტელინა, გოლიცა, პჩელნიკი, ვენელინი, ზემო ჩიფლიკი და გროზდიოვო; ხოლო დანარჩენ

დასახლებებში ხდება მერის დანიშვნა: სოლნიკი, ნოვა შიპკა, ახალი ორიაჰოვო, კრივინი, ბურდარევო, იუნეცი, ბულაირი.

სანაპირო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 საკურორტო ზონა: კამჩია - ლონგოსა, შკორპილოვცი - ჩრდილოეთი, შკორპილოვცი - სამხრეთი და შკორპილოვცი - სოფელი.

დოლნი ჩიფლიკის საერთო ფართობი 487.2 კვ.კმ-ია რაც ვარნას ოლქის მთლიანი ტერიტორიის 13%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით იგი მესამე ადგილზეა ვარნას ოლქში, პროვადიას მუნიციპალიტეტისა და რეგიონალური ცენტრის შემდეგ.

მუნიციპალიტეტი ზღვის დონიდან 0-561 მ-ზე მდებარეობს, სოფელი კი 14მ-ზე. დოლნი ჩიფლიკის მუნიციპალიტეტს გააჩნია კარგად განვითარებული საგზაო ტრანსპორტი.

ქალაქ სოფიამდე მანძლი 450 კმ-ია, ხოლო ვარნამდე 38 კმ. ბულგარეთის ზღვის კურორტების უმრავლესობიდან ნახევარ საათზე ცოტა დრო არის საჭირო, ხოლო დასახლებებიდან სტარო ორიაჰოვომდე 20 წთ-ის სავალი მანძილია. მისი ადვილად მისაწვდომობა ამარტივებს მოსახლეობას შორის კომუნიკაციების არსებობას და მარაგების დროულად მიწოდებას.

მუნიციპალიტეტის რელიეფი წარმოდგენილია ძირითადად მცირე დაქანების მქონე ფერდობებით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოფლის მეურნეობის აქტივობების განვითარებისათვის, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობებისათვის. მდინარე კამჩიას და ფანდაკლისკას შესართავში არსებული ქვიშიანი სანაპირო ზოლი ბულგარეთის შავი ზღვისპირა სანაპიროში ყველაზე გრძელ სანაპირო ზოლს წარმოადგენს. სანაპირო ზოლის მიკროკლიმატური ხასიათი უწყვეტი საკურორტო სეზონის არსებობის საშუალებას იძლევა.

მუნიციპალიტეტში დომინირებს III-V კატეგორიის მიწები მდინარე კამჩიას ხეობის გაყოლებაზე, VI- IX კატეგორიის მიწები კი ბალკანეთის სოფლებშია გავრცელებული. ათ ბალიანი კატეგორიზაციის მიხედვით მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საუკეთესო კატეგორიის მიწები. უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტში არსებული სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სამსახურის მონაცემების მიხედვით მიტოვებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი მუნიციპალიტეტში 53 473 კვ. მეტრს შეადგენს, რაც სამწუხარო ფაქტს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. დასახლებების უმრავლესობა, რომელიც მთიან ტერიტორიებზე მდებარეობს ძირითადად გაუკაცრიელებულია.

მუნიციპალიტეტის უდიდესი ნაწილი (50.6 %) უჭრავს ტყეებით დაფარულ ტერიტორიებს და მოიცავს 28 5331 კვ. მეტრს. დასახლებული და სხვა ურბანიზებული ტერიტორიების სრული ფართობი კი მუნიციპალიტეტის სრული ტერიტორიის მხოლოდ 3.7%-ს შეადგენს. ურბანიზაციის მხრივ ყველაზე დიდი ქალაქია დოლნი ჩიფლიკი - 2787 კვ. მეტრს.

სახნავ-სათესი მიწების 32% წარმოადგენს საირიგაციო ტერიტორიები.

აქედან შეიძლება დასკვნის სახლით აღვნიშნოთ, რომ მუნიციპალიტეტში უნდა გატარდეს საჭირო ზომები მიწის პოტენციალის ასამაღლებლად და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საძოვრებად გადაქცევის თავიდან ასაცილებლად. სასურველი მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება, სოფლის მეურნეობის ალტერნატიული დარგის, ორგანული ფერმერული მეურნეობის დანერგვის და მისი შემდგომი განვითარების საშუალებით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება საკვები პროდუქტების წარმოების, გარემოს დაცვისა და სამუშაო ადგილების შექმნის პროცესების დაბალანსება. ორგანული ფერმერული მეურნეობა ახდენს მიწის ეკოსისტემის სტაბილიზირებას და იძლევა მდგრადი აგრო მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას.

დოლნი ჩიფლიკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და სტარო ორიაჰოვოს მიმდებარედ არსებობს დაცული ტერიტორია - ნაკრძალები, დაცული ტერიტორიები და უნიკალური ნაკრძალი „კამჩია“ , რაც აერთიანებს ყამირ ტყიან მიწებს დაუსრულებელი პლაჟების ზოლთან.

სტარო ორიაჰოვოში მოსახლეობის დინამიკამ უკანასკნელ წლებში უკუსვლა იწყო და ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით დაახლოებით 2600 ადამიანი შეადგინა.

შრომისუნარიანი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი 15-დან 64 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში შედის, და მათი რაოდენობა მოსახლეობის დაახლოებით 66.31 %-ს შეადგენს. ქვეყანაში არსებული ასაკობრივი ტენდენციისგან განსხვავებით მუნიციპალიტეტში არაშრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა 22.5%-ით ჭარბობს ზემოთხსენებულ შრომისუნარიან ასაკოვან ჯგუფს.

ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომელიც სათავეს 2008 წელს იღებს, ვარნას ოლქის ეკონომიკური აქტივობა და დასაქმების დონე გაუარესდა და ამ მხრივ არც სტარო ორიაჰოვო არის გამონაკლისი.

დაბალი ეკონომიკური აქტივობისა და უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული კრიზისი, სამსახურების დეფიციტი და პროფესიულ სწავლებებსა და შრომის ბაზარს შორის შეუთავსებლობაა, რაც გამოწვეულია ეკონომიკური რესტრუქტურიზაციითა და სეზონური დასაქმებით. მუნიციპალიტეტი განიცდის კვალიფიციური მუშახელის დეფიციტს რეგიონალურ (ტერიტორიებზე, რომლებიც მდებარეობს ინდუსტრიული და ადმინისტრაციული ცენტრებისგან მოშორებით, მთიან რეგიონებში) და ქვე-სექტორების დონეზე (ზოგიერთი პროფესიული მიმართულებებისა და პროფესიებისათვის).

სტარო ორიაჰოვოს მუნიციპალიტეტში ეკონომიკის განვითარებაზე დადებით ზეგავლენას ახდენს მისი საოლქო ადმინისტრაციულ ცენტრ ვარნასთან სიახლოვე, გეო-სტრატეგიული მდებარეობა, კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა, საგანმანათლებლო ინსტიტუტები და გამართული სატრანსპორტო სისტემის არსებობა. სტარო ორიაჰოვოში დომინირებს ეკონომიკის შემდეგი განვითარებადი დარგები: სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა, ვაჭრობა, ხის დამამუშავებელი ინდუსტრია, სასტუმროების ინდუსტრია და უძრავი ქონების მართვა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად გამოწვეულმა შეზღუდულმა საბაზრო ეკონომიკამ ნეგატიური ზეგავლენა იქონია „გადამამუშავებელი ინდუსტრიის“ სექტორში არსებულ ფირმებზე.

შემოსავლების უდიდესი ფარდობითი წილი მოდის „ვაჭრობის“ სფეროში ფუნქციონირებად კომპანიებზე, რაც გამოწვეულია ტურისტული სეზონურობისა და ტურისტთა მყიდველობითი უნარიანობის წყალობით.

კომპანიების რაოდენობა სასტუმროების ინდუსტრიის სექტორში „სასტუმროები და რესტორნები“ 7 ერთეულით გაიზარდა და შესაბამისად გაიზარდა შემოსავალიც.

ხე-ტყის დამამზადებელი და გადამამუშავებელი სექტორების განვითარებისათვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მათი უზრუნველყოფა ნედლეულით ადგილობირივი ტყის სექტორებიდან და დეპოზიტების გაერთიანებას მშენებლობის განვითარებისათვის.

გავრცელებული ფოთლოვანი ხეები - მუხა, წიფელი და იფანი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხის დამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარებაში.

მრეწველობის უდიდესი წილი მოდის ხე-ტყის დამამზადებელ და ხის დამამუშავებელ სექტორებზე. წამყვან პროდუქტს წარმოადგენს პარკეტი, შპონი, ავეჯი, ხის ნაწარმი, ნახშირი.

სტარო ორიაჰოვოს გააჩნია ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო გამოუყენებელი რესურსების დიდი რაოდენობა - გარდა არსებული ტრადიციული საზღვაო ტურიზმისა, მუნიციპალიტეტს გააჩნია პოტენციალი განავითაროს ალტერნატიული ტურიზმის ფორმები, როგორიცაა მაგ, აგრო ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, სამონადირეო და ეკოტურიზმები. მდინარე კამჩიას და ფანდაკლისკას შესართავში არსებული ქვიშიანი სანაპირო ზოლი ბულგარეთის შავი ზღვისპირა სანაპიროში ყველაზე გრძელ სანაპირო ზოლს წარმოადგენს. მისი სიგრძე მუნიციპალიტეტის ფარგლებში 9.7 კმ-ია. სანაპირო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 საკურორტო ზონა: კამჩია - ლონგოსა, შკორპილოვცი - ჩრდილოეთი, შკორპილოვცი - სამხრეთი და შკორპილოვცი - სოფელი.

არასათანადოდ გამოყენებულ ტურისტულ რესურსებს შორის უნდა აღინიშნოს მინერალური წყაროები, რაც სანაპიროზე კლიმატთან კომბინირებული სამკურნალო-გამაჯანსაღებელი (სპა) კომპლექსის შექმნის საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ ტურისტული სეზონის გაზრდის წინაპირობა იქნება. ასევე მნიშვენლოვან რესურსს

წარმოადგენს პეიზაჟები - ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რაც ასევე ტურისტული მარშრუტების გამრავალფეროვნებისა და ტურისტული სეზონის გახანგრძლივების საწინდარი გახდება.

მუნიციპალიტეტში არსებული გარემო პირობები ალტერნატირული ტურიზმის ფორმების განვითარების შესაძლებლობას იძლევა. შკორპილოვცის რეგიონში არსებული თერმული მინერალური წყლები, მისი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური თვისებებით, სამედიცინო სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. სამონადირეო ტურიზმის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს ჯიშების ინტენსიური მოშენება და ისეთი ტერიტორიების გამოყენება, როგორიცაა „სამოტინო“ და „გორსკა ბარაკას“ კომპლექსი, სანადირო ზონა „შერბა“, და „ ხოხბის ფერმა“. ყოველივე ზემოთხსენებული უპირატესობა - ტერიტორიის მდებარეობა შავ ზღვასთან და მდინარე კამჩიასთან, ისტორიული პეიზაჟების, ბიო-რეზერვების და სამონადირეო ზონების, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებების მქონე თერმულ-მინერალური წყლების არსებობა - ექსკლუზიურ წინაპირობას ქმნის მრავალფეროვანი ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. ტურიზმის გავითარებისათვის რეალური მნიშვნელობის ახალ ასპექტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტის უდიდესი ნაწილის ჩართულობა მიზანმიმართული სფეროს პან-ევროპულ პროგრამაში „ბუნება 2000“.

დოლნი ჩიფლიკის მთლიანი ტერიტორიის 35% სახნავ-სათესი მიწებია. დადგენილება № 3/1999 მიხედვით მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულია სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწე 240 მეწარმე, და აგრძელებს იმ ფერმერთა რეგისტრაციას, რომელიც სახნავ-სათესი მიწების 100%-ს ამუშავებს.

სახნავ-სათესი მიწების ფართობების სიუხვე, ხელსაყრელი კლიმატური პირობები და ნიადაგის ნაყოფიერება, მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. მიწის მფლობელები გაერთიანებულნი არიან 2 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივში და 4 კერძო საკუთრებაში. ძირითადად მოყავთ ბურღულეული (სახნავ-სათესი მიწების 83%), ინდუსტრიული მარცვლოვანი კულტურები, ბოსტნეული და სხვა მრავალწლიანი ნარგავები. ზეთის მრეწველობის სფეროში მნიშვნელოვანი წილი მოდის მზესუმზირაზე, რომლის პლანტაციები მოიცავს 9199 კვ. მეტრს, რაც მთლიანი დამუშავებული მიწების 16%-ს შეადგენს. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, ბურღულეულის მოყვნა თავმოყრილია დიდ სავარგულოებში.

მუნიციპალიტეტში ტრადიციულად მოყავთ მრავალწლიანი ნარგავები - ვაშლი, ქლიავი, ატამი, ბალი, ყურძენი. მათი ტერიტორია მოიცავს 1672 კვ. მეტრს. მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთ ნაწილში დომინირებს ხილის პლანტაციები, ხოლო სამხრეთით ყურძნის ვენახები. ხილის მოსავლის უდიდესი წილი მოდის ვაშლზე. პროდუქციის ძირითადი ნაწილი მიმართულია ქალაქ ვარნისკენ, მცირე ნაწილი კი რეალიზდება ცნობილ კურორტებზე „შკორპილოვცი“ და „კამჩია“.

მეხილეობა წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ერთ-ერთ ტრადიციულ შემოსავლის წყაროს, გამომდინარე შესანიშნავი პირობებიდან და მიწების ფრაგმენტაციიდან, სადაც არ დაიშვება სხვა მომხმარებელი. მეხილეობა ხელს შეუწყობს გაუკაცრიელებული მიწების ათვისებას, და ასევე სარგებელის მომტანი იქნება რეგიონის ეკონომიკის სხვა დარგებისთვისაც.

მრავალწლიანი ნარგავების მეურნეობა საჭიროებს პირობების განახლებას, შედეგად, უკანასკნელ წლებში აგრო განვითარების პროგრამებიდან მოხდა ინვესტიციების მოზიდვა აღნიშნულ ტერიტორიაზე. ფაქტიური გამოყენების ამორტიზაციის პერიოდი იწურება. მიწების უმეტესობა კი დამუშავებულიც არაა, გამომდინარე იმ ფაქტებიდან, რომ ხდება კულტურების უწყვეტი დაზიანება და ასევე არ არსებობს საკმარისი ფინანსური რესურსები მათი დამუშავების უზრუნველსაყოფად. მთავარ პრობლემას კი წარმოადგენს კავშირების დეფიციტი ადგილობრივი პროდუქციის შეძენის უზრუნველსაყოფად და მეხილეთა

პროდუქციის უმაღლესი ხარისხის შესაბამისი გასაყიდი ფასის შესანარჩუნებლად. რეგიონის გაუკაცრიელების თავიდან ასაცილებლად საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს მებაღეობის მეურნეობის განვითარება, მასში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა და მათი კეთილდღეობის გაუმჯობესება.

საჭიროა ძველი და დრომოჭმული ხილის ხეების ამოძირკვა და ლიკვიდაცია და ახალი თანამედროვე მოდელის ხილის პლანტაციების გაშენება.

მეწარმეთა უუნარობა დროულად და დამაკმაყოფილებელ საბაზარო ფასად მოახდინონ საკუთარი პროდუქციის რეალიზება წარმოადგენს მთავარ პრობლემას და საჭიროა ამ პრობლემის მოგვარება, ვიდრე მოხდება რეგიონის კონკურენტუნარიანი უპირატესობების გამოყენება, გახდეს ორგანული მებაღეობის ცენტრი და აწარმოოს საკუთარი მაღალი ხარისხის პროდუქტის რეალიზება უახლოეს სამომხმარებლო ცენტრ ვარნასა და ჩრდილო და სამხრეთ კურორტებზე.

ბოსნტეულის პროდუქცია მოყავთ მდინარე კამჩიას გაყოლებაზე და მისი ფართობი დამუშავებული მიწების 0.4%-ს მოიცავს. ბოსტნეულის წარმოების განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორია მისი სიახლოვე სამომხმარებლო ცენტრ - ვარნასთან და კურორტებთან.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	*სუსტი მხარეები*
❖ გეოსტრატეგიული მდებარეობა - ორ მნიშვნელოვან ქალაქთან და ორ საერთაორისო აეროპორტთან (ვარნა და ბუქარესტი) სიახლოვე; უშუალო მეზობლობა ბულგარეთის „საზღვაო ცენტრ“ ვარნასთან; მოწესრიგებული სატრანსპორტო კომუნიკაციის არსებობა. ❖ ნატურალურად გამდიდრებული და ანთროპოგენური რეკრეაციული და ტურისტული რესურსები (ზღვისპირეთი, პლაჟები, მინერალური წყაროები, წყლის ავზები ,კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა) ტრადიციული და ალტერნატიული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას იძლევა; ❖ შესაფერისი ბუნებრივი და კლიმატური პირობების და ადგილობრივი ტრადიციების არსებობა, ეფექტური ფერმერული მეურნეობების უზრუნველსაყოფად. ❖ საგარეო და საშინაო სასაწყობე მეურნეობების სიმრავლე; ❖ მრავალწლიანი კულტურების მოყვანის ტრადიციების არსებობა; ❖ მუნიციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის გადამუშავების შესაძლებლობა; ❖ მცირე ზომის ხეხილის ბაღებისა და	❖ მცირე ფერმერული მეურნეობების სიმრავლე; ❖ მცირე და საშუალო ზომის მეურნეობების მქონე ფერმერთა საკუთარი საინვესტიციო კაპიტალის სიმწირე, რაც თავის მხრივ აფერხებს ადაპტაციასა და ევროპული სტანდარტების დამკვიდრების პროცესს. ❖ მეწარმეთა აქტიური თანამშრობლობის დეფიციტი; ❖ სოფლის-მეურნეობის წარმოებისათვის საჭირო პროცედურების (დამაზადება, შეძენა, გადამუშავება და მარკეტინგი) შორის კავშირის არარსებობა; ❖ სუსტი სავაჭრო კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან; ❖ მსხვილი ინვესტიციების დეფიციტი; ❖ მოძველებული შენობები და ხელსაწყოები; ❖ შესაძლებლობების არასაკმარისი პრომოუშენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბიზნეს აქტივობების ინიცირების, ჩამოყალიბების და განვითარების თვალსაზრისით; ❖ სოფლის მეურნეობის დარგში საირიგაციო სისტემების დეფიციტი; ❖ მცირე მესაკუთრეობა უძრავ ქონებაზე;

ბოსტნეულის მეურნეობების სიმრავლე; ❖ ბოსტნეულის მეურნეობის დარგის სპეციალისტთა სიმრავლე; ბიო პროდუქტების დანერგვის ინიციატივები; ❖ პროფესიონალური ტრენინგების ჩასატარებლად პირობების უზრუნველყოფა; ❖ გამუყენებელი სახნავ-სათესი მიწების ხელმისაწვდომობა.	
შესაძლებლობები	***საფრთხეები***
❖ ბიო სოფლის მეურნეობასთან და ალტერნატიულ და აგრო ტურიზმთან დაკავშირებული ახალი ეკონომიკის დარგების განვითარების შესაძლებლობა. ❖ რესურსების ხელმისაწვდომობა ბიო პროდუქტების განვითარებისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით; ❖ მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება ადგილობრივი ხილის და ბოსტნეულის ბაზრის შესაქმნელად; ❖ ინვესტორების მოზიდვა ბიზნეს საწარმოების დასაფუძვნებლად ხეხილის ბაღების მეურნეობის დარგში; ❖ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ადგილობრივი ორგანული წარმოების გასაფართოებლად; ❖ სოფლის მეურნეობის სფეროში წარმატებული პრაქტიკის დამკვიდრება და ევროპული გამოცდილების დანერგვა; ❖ ტურისტებისათვის ალტერნატიული ტურიზმის ფორმების შეთავაზება - კულინარია, ჯანსაღი ცხოვრების წესი, საგანმანათლებლო, ბიო-სოფელი. სანაპიროების აქტივიზაცია მიმზიდველი რეგიონალური ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად. ფიტო-სანიტარიის ევრო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; ❖ კონკურენტუნარიანი მეცხოველეობის დარგის ჩამოყალიბება; ❖ დამამმზადებლებსა და გადამმამუშავებლებს შორის კავშირების ჩამოყალიბება მტკიცე ბაზრის უზრუნველსაყოფად; ❖ სტრუქტურულ ფონდებსა და ევროკავშირის სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ფონდების პროექტებში მონაწილეობის მიღება.	❖ შეზღუდული ბიუჯეტი არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური რეაბილიტაციისათვის; ❖ შეუთანხმებელი პოლიტიკა განვითარებასთან დაკავშირებული პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით. ❖ კომპანიების დახურვა; ❖ სოფლის მეურნეობის და სამრეწველო ნატურის იმპორტირების დამპინგი; ❖ EU სტანდარტების მაღალი დონე და მოკლე საშეღავათო პერიოდი; ❖ არსებული წყლის რესურსების გამოუყენებელი პოტენციალი საირიგაციო სისტემების მოსაწყობად; ❖ ადგილობირივი ბუნების წარუმატებელი გამოყენება აგრო ტურიზმის განვითარებისათვის.

„სტარო ორიაჰოვოს“ ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის პოზიცია/უნიკალური კონკურენტული უპირატესობების არსებობა.



PACA-ს გუნდის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად შერჩეული ძირითადი სტრატეგიული ინტერვენციები

იდეის აღწერა	ვადა	სპეციფიური ინტერვენცია	გავლენა/შედეგები
ერთი კარის პირნციპის სავაჭრო ცენტრის ჩამოყალიბება „სტარო ორიაჰოვოს“ პრომოუშენისათვის	ხანმოკლე	საინფორმაციო კამპანიის წარმოება მათთვის ვინც უზრუნველყოფს დროებით საცხოვრებელ ფართებს და სერვისებს; არსებული დისტრიბუტორების ჩართვა საერთო ფასიანი ქაღალდების რეესტრში	ცნობიერების ამაღლება სამომავლოდ მიზანმიმართული სარეკლამო კამპანიის დაგეგმვის შესახებ
	ხანმოკლე	ოფისის სპეციფიური აღჭურვილობით უზრუნველყოფა მიზანმიმართული სარეკლამო კამპანიისა და ბიზნეს საქმიანობის სტიმულირებისათვის	გაუმჯობესებული გარემო საერთო მიზნების განსახორციელებლ ად

	ხანმოკლე	საბაზრო კამპანიის წამოწყება, რომელიც მოახდენს სტარო ორიაჰოვოს როგორც აგრო ტურიზმის განვითარების ცენტრის პრომოუშენს, დამატებითი აქტივობების გათვალისწინებით (სპორტის, თავგადასავლებისა და ველური სამყაროს მოყვარულთათვის)	ცნობიერების ამაღლება და ვიზიტორთა რიცხვის ზრდა
	ხანმოკლე	რეგიონის ბიზნეს და საზოგადოებრივ სფეროებში მოღვაწე ადგილობრივ მომწოდებლებს შორის სარეკლამო კამპანიის გატარება (ხორცი, ბოსტნეული და ა.შ.)	ადგილობრივი პროდუქტის ბაზრის შესამჩნევი ზრდა
	ხანმოკლე	ვებ-გვერდებისა და საერთო რეზერვირების სისტემების შექმნა	პრევენცირება ისეთი მოთხოვნების წარმოქმნისა, რომლის დაკმაყოფილებაც ვერ ხერხდება და რაც შესაძლოა გახდეს საბაბი ვიზიტორთა იმედგაცრუებისა
	ხანმოკლე	კვლევების წარმოება ადგილობრივთა მოთხოვნების დასადგენად, ადამიანური კაპიტალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.	ცნობიერების ამაღლება ადგილობრივთა მოთხოვნების შესახებ
	ხანმოკლე	ტრადიციულ ბაზრობებს შორის სამიზნე ბაზრობების გამოვლენა, აგრო ტურიზმის პროდუქციის	შემოწმებების დონისა და ხარჯების გაზრდა
	ხანმოკლე	ადგილობირივი აგრო პროდუქციისა და გამოცდილების პრომოუშენი, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ონლაინ მედია საშუალებებში აგრო შეტყობინების რეკლამის სახით განთავსებით.	როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის ზრდა
		ახალი სოციალური მედია საშუალების და ვირუსული მარკეტინგის ტექნიკის გამოყენების წამოწყება ახალგაზრდა აუდიტორიის მოსაზიდად	როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობის ზრდა

		ადგილობრივ მეწარმეთა და დისტრიბუტორთა ინფორმირება „ერთიანი გაუმჯობესებული რესურსების ჯაჭვის“ სარგებლის შესახებ	ადგილობრივი და ბიო პროდუქტების გამოყენების მოცულობის ზრდა
	ხანმოკლე	ადგილობრივი ტურიზმის საქმიანობის სფეროში შესაბამისი უნარების, მხარდაჭერისა და ბიზნეს რჩევების არსებობის წინაპირობების უზრუნველყოფა	მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება
	საშუალო	ადგილობრივი აგრო ტურიზმის პროდუქციის გამრავალფეროვნება და მოდერნიზაცია, რაც წარმოშობს ადგილობრივ გარემოსთან და საზოგადოებასთან მორგებულ ბიზნეს შესაძლებლობების განვითარებას და ვიზიტორთა უწყვეტი ნაკადის უზრუნველყოფას მთელი წლის განმავლობაში.	ტურიზმიდან მიღებული საქონელბრუნვის მატება და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
	საშუალო	ადგილობრივ აგრარულ სფეროში დაფარვის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა ბიზნესის ზრდისა, და ადგილობრივი აგრო ტურიზმის შეთავაზების ეფექტური მარკეტინიგისა და კომუნიკაციების უზრუნველყოფისათვის	გარემო გაუმჯობესებული კომუნიკაციებით და მსხვილ ბაზრებთან მისაწვდომობა, უკეთესი წინა-პირობების შემნა გაყიდვების ზრდისათვის
	საშუალო	სტუმრების და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების შესაფერისი აგრარული საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალების იდენტიფიცირება და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება მაგ. ველოსიპედების გაქირავება.	აგრო ტრანსპორტთან დაკავშირებული ინიციატივებისა და გამოსავლების პრაქტიკული გამოყენება და ინფორმირებულობა.
	საშუალო	მომხმარებლის ცნობიერების დონის, თვითშეგნების, პროდუქტისადმი დადებითი დამოკიდებულების დონის ამაღლება, აგრო მეურნეობაში გამოცდილების გაზიარების ხელმისაწვდომობა.	გაყიდვების ზრდა ადგილობრივ პროდუქციზე და მომსახურების სფეროებზე.

	საშუალო	აგრარული საზოგადოებისთვის და ეკონომიკისათვის სტიმულის მიცემა ადგილობრივი აგრო ტურიზმის სფეროდან სარგებლის მიღების თვალსაზრისით, აგრარული აქციების და ლოკაციების განვითარებაზე, მენეჯმენტსა და დაცვა-შენახვაზე მესაკუთრეობის მოპოვების გზით.	ადგილობრივი თანამშრომლობის სტიმულირება ადგილობრივი რესურსების მდგრადი მართვისა და ადგილობრივი აქციების გაუმჯობესებულად გამოყენებისათვის, ახალი შესაძლებლობების შექმნა აქციების მართვის სფეროში დასაქმებისათვის.
	საშუალო	არსებული და ახალი ტურისტული აქტივობების და გამოცდილების განვითარება, ისეთი კუთხით რაც ამინდზე ნაკლებადაა დამოკიდებული, იზიდავს ახალ ვიზიტორებს მთელი წლის განმავლობაში და ასახავას და მხარს უჭერს ადგილობრივ ივენთებს (კულინარიული შოუ, ღვინის ტური, თამაშები/ჩიტებზე დაკვირვება)	მოცულობისა და ფასეულობის სრული ზრდა არასეზონურ პერიოდში დადგნილ მაჩვენებელთან შედარებით
	საშუალო	საუკეთესი გამოცდილების იდენტიფიცირება დაგეგმარებასა და ტურიზმს შორის ადგილობრივ დონეზე, და საზოგადოებრივი ჩართულობა დაგეგმარების პროცესებში, თვითშეგნების ასამაღლებლად და მზარდი შესაძლებლობების რეალიზებისათვის.	მომავლის მოდელირება საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.
	საშუალო	გამოუყენებელი ან შემცირებული აგრარული აქციების იდენტიფიცირებ და მფლობელთათვის დახმარების გაწევა და ხელშეწყობა ტურიზმის პოტენციალის რეალიზების თვალსაზრისით.	აქციების გამოყენების ზრდა
	საშუალო	სასტუმროების სფეროში ხარისხიანი შვიდ-დღიანი სადღეღამისო მომსახურების განვითარების გზების ძიება	მომსახურების სფეროში ხარისხის გამოუჯობესება და აქციების გამოყენების ზრდა

	საშუალო	1 კომერციული გამოცდილების ჩამოყალიბება, სადაც ფოკუსირება მოხდება აღმოჩენითი ტურის განვითარებაზე კომპლექსური გამოცდილებით „აუთენტური რეგიონალური გამოცდილება კვების და ღვინის სფეროში“ (შეხვედრები მწარმოებლებთან, ექსპერიმენტალური სადილები, კულინარიული სკოლები)	მომსახურების სფეროში ხარისხის გამოუჯობესება და აქციების გამოყენების ზრდა
	ხანგრძლივი	ტრადიციული და ახალი დაბალი გავლენისა და დაბალი ნახშირბადის შემცველობის პროდუქტების წარმოების და გამოცდილების დანერგვა აგრარულ სფეროებში მომხმარებლის ტენდენციების გათვალისწინებით, რომელიც მორგებული იქნება ადგილობრივ გარემოსა და საზოგადოებაზე. (ე.წ. ფეხით ან ველოსიპედით სიარული, იურტები, ქოხები და შილინგები ლაშქრობისთვის; კონცერტები ღია ცის ქვეშ; მუზეუმები და ღამის პარკები).	ახალი პროდუქციისა და გამოცდილების ზრდა. მოცულობისა და ფასეულობის ზრდა.
	ხანგრძლივი	ნაციონალურ სააგენტოებთან მოლაპარაკებების წარმოება იმის გამოსავლენად თუ რამდენად შეუწყობს ხელს სამთავრობო დაგეგმარების სტრუქტურა ადგილობივი აგრარული ტურიზმის გონივრულად განვითარებას	ზემოდან- ქვემოთ სტრატეგიის განვითარება ადგილობრივი განვითარებისათვის
	ხანგრძლივი	საფონდო სქემების კლასიფიკაციის ადაპტირება იმ ობიექტების განვითარების სტიმულირებისათვის, რომელიც ნაკლებად დამოკიდებულია ამინდზე.	გაუმჯობესებული პირობები ადგილობრივი განვითარებისათვის

	ხანგრძლივი	ბიზნესის მხარდაჭერისა და ტურიზმის მდგრადი განვითარების ინიციატივების მიმართვა ენერგო ეფექტიანობის მნიშვნელობის შესახებ პროფესიული რჩევის უზრუნველსაყოფად, ალტერნატიულ იაფ საწვავზე გადასვლის შესაძლებლობების განხილვა.	ტერიტორიაზე ენერგო ეფექტიანობის გაუმჯობესება
	ხანგრძლივი	მიზნის მხარდაჭერა ტურისტების გადაადგილების გეგმის შესაქმნელად და ბიზნეს კომპანიებთან და სასტუმროს მფლობელებთან მოლაპარაკებების წარმოება მხარი დაუჭირონ ისეთ ქმედებებს რაც მოითხოვს ნაკლებ დროს გადაადგილებისათვის	ტერიტორიაზე სასათბურე ემისიების შემცირება

დოლნი ჩიფლიკის მუნიციპალიტეტი.

დოლნი ჩიფლიკის მუნიციპალიტეტი მდებარეობს ბულგარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბალკანეთის მთების აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც მდებარეობს მდინარე კამჩიას გაყოლებაზე და წარმოადგენს ვარნას ოლქის შემადგენელ ნაწილს. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვენლოვან ფაქტორს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება შავი ზღვა, დასავლეთიდან - დალგოპოლის, ჩრდილოეთიდან - ავრენის, ხოლო ჩრდილო-დასავლე-თიდან პროვადიას მუნიციპალიტეტები. მის სამხრეთით კი შავი ზღვის მუნიციპალიტეტები - ბიალა, ნესებირი და პომორიეა განლაგებული.

მუნიციპალიტეტის ცენტრს წარმოადგენს ქალაქი დონლი ჩიფლიკი და მისი საზღვრების ფარგლებში შედის სულ 17 დასახლებული პუნქტი, მათ შორის 1 ქალაქი და 16 სოფელი. დასახლებების რიცხვს მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი დოლნი ჩიფლიკიც.

მერის არჩევა ხდება შემდეგ დასახლებულ პინქტებში: შკორპილოვცი, რუდნიკი, სტარო ორიაჰოვო, დეტელინა, გოლიცა, პჩელნიკი, ვენელინი, ზემო ჩიფლიკი და გროზდიოვო; ხოლო შემდეგ დასახლებებში ხდება მერის დანიშვნა: სოლნიკი, ნოვა შიპკა, ახალი ორიაჰოვო, კრივინი, ბურდარევო, იუნეცი, ბულაირი.

სანაპირო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 საკურორტო ზონა: კამჩია - ლონგოსა, შკორპილოვცი - ჩრდილოეთი, შკორპილოვცი - სამხრეთი და შკორპილოვცი - სოფელი.

დოლნი ჩიფლიკის საერთო ფართობი 487.2 კვ.კმ-ია რაც ვარნას ოლქის მთლიანი ტერიტორიის 13%-ს შეადგენს და ამ მაჩვენებლით იგი მესამე ადგილზეა ვარნას ოლქში, პროვადიას მუნიციპალიტეტისა და რეგიონალური ცენტრის შემდეგ.

მუნიციპალიტეტი ზღვის დონიდან 0-561 მ-ზე მდებარეობს, სოფელი კი 14მ-ზე. დოლნი ჩიფლიკის მუნიციპალიტეტს გააჩნია კარგად განვითარებული საგზაო ტრანსპორტი.

ქალაქ სოფიამდე მანძლი 450 კმ-ია, ხოლო ვარნამდე 38 კმ. დასახლებებიდან მუნიციპ-ალიტეტის ცენტრამდე 25 წთ-ის სავალი მანძილია. მისი ადვილად მისაწვდომობა ამარტივებს მოსახლეობას შორის კომუნიკაციების არსებობას და მარაგების დროულად მიწოდებას.

მუნიციპალიტეტის რელიეფი წარმოდგენილია ძირითადად მცირე დაქანების ფერდობებით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოფლის მეურნეობის აქტივობების განვითარებისათვის, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობებისათვის. მდინარე კამჩიას და ფანდაკლისკას შესართავში არსებული ქვიშიანი სანაპიო ზოლი ბულგარეთის შავი ზღვისპირა სანაპიროში ყველაზე გრძელ სანაპირო ზოლს წარმოადგენს. სანაპირო ზოლის მიკროკლიმატური ხასიათი უწყვეტი საკურორტო სეზონის არსებობის საშუალებას იძლევა.

მუნიციპალიტეტში დომინირებს III-V კატეგორიის მიწები მდინარე კამჩიას ხეობის გაყოლებაზე, VI- IX კატეგორიის მიწები კი ბალკანეთის სოფლებშია გავრცელებული. ათ ბალიანი კატეგორიზაციის მიხედვით მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საუკეთესო კატეგორიის მიწები. უფრო მეტიც, მუნიციპალიტეტში არსებული სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის სამსახურის მონაცემების მიხედვით მიტოვებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი მუნიციპალიტეტში 53 473 კვ. მეტრს შეადგენს, რაც სამწუხარო ფაქტს წარმო-ადგენს სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭი-როებს. დასახლებების უმრავლესობა, რომელიც მთიან ტერიტორიებზე მდებარეობს ძირითადად გაუკაცრიელებულია.

მუნიციპალიტეტის უდიდესი ნაწილი (50.6 %) უჭრავს ტყეებით დაფარულ ტერიტორიებს და მოიცავს 28 5331 კვ. მეტრს. დასახლებული და სხვა ურბანიზებული ტერიტორიების სრული ფართობი კი მუნიციპალიტეტის სრული ტერიტორიის მხოლოდ 3.7%-ს შეადგენს. ურბანიზაციის მხრივ ყველაზე დიდი ქალაქია დოლნი ჩიფლიკი - 2787 კვ. მეტრს.

სახნავ-სათესი მიწების 32% წარმოადგენს საირიგაციო ტერიტორიები.

აქედან შეიძლება დასკვნის სახლით აღვნიშნოთ, რომ მუნიციპალიტეტში უნდა გატარდეს საჭირო ზომები მიწის პოტენციალის ასამაღლებლად და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საძოვრებად გადაქცევის თავიდან ასაცილებლად. სასურველი მიზნის მიღწევა შესაძლებელი იქნება, სოფლის მეურნეობის ალტერნატიული დარგის, ორგანული ფერმერული მეურნეობის დანერგვის და მისი შემდგომი განვითარების საშუალებით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება საკვები პროდუქტების წარმოების, გარემოს დაცვისა და სამუშაო ადგილების შექმნის პროცესების დაბალანსება. ორგანული ფერმერული მეურნეობა ახდენს მიწის ეკოსისტემის სტაბილიზირებას და იძლევა მდგრადი აგრო მეურნეობის განვითარების შესაძლებლობას.

დოლნი ჩიფლიკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს დაცული ტერიტორიები - ნაკრძალები, დაცული ტერიტორიები და უნიკალური ნაკრძალი „კამჩია“.

დოლნი ჩიფლიკის მოსახლეობის დინამიკამ უკანასკნელ წლებში უკუსვლა იწყო და შემცირდა 5.3%-ით ანუ 2011 წლის სტატისტიკური მონაცემებით რეგიონში დაფიქსირდა 1028 ადამიანით ნაკლები 2005 წელთან შედარებით. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით დოლნი ჩიფლიკის მოსახლეობამ 2013 წლის 31 დეკემბრისათვის 19,129 ადამიანი შეადგინა.

შრომისუნარიანი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი 15-დან 64 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში შედის, და მათი რაოდენობა მოსახლეობის დაახლოებით 66.31 %-ს შეადგენს. ქვეყანაში არსებული ასაკობრივი ტენდენციისგან განსხვავებით მუნიციპალიტეტში არაშრომისუნარიანი მოსახლებოის რაოდენობა 22.5%-ით ჭარბობს ზემოთხსენებულ შრომისუნარიან ასაკოვან ჯგუფს.

ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომელიც სათავეს 2008 წელს იღებს, ვარნას ოლქის ეკონომიკური აქტივობა და დასაქმების დონე გაუარესდა და ამ მხრივ არც დოლნი ჩიფლიკი არის გამონაკლისი.

დაბალი ეკონომიკური აქტივობისა და უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული კრიზისი, სამსახურების დეფიციტი და პროფესიულ სწავლებებსა და შრომის ბაზარს შორის შეუთავსებლობაა, რაც გამოწვეულია ეკონომიკური რესტრუქტურიზაციითა და სეზონური დასაქმებით. მუნიციპალიტეტი განიცდის კვალიფიციური მუშახელის დეფიციტს რეგიონალურ (ტერიტორიებზე, რომლებიც მდებარეობს ინდუსტრიული და ადმინისტრაციული ცენტრებისგან მოშორებით, მთიან რეგიონებში) და ქვე-სექტორების დონეზე (ზოგიერთი პროფესიული მიმართულებებისა და პროფესიებისათვის).

დოლნი ჩიფლიკის მუნიციპალიტეტში ეკონომიკის განვითარებაზე დადებით ზეგავლენას ახდენს მისი საოლქო ადმინისტრაციულ ცენტრ ვარნასთან სიახლოვე, გეო-სტრატეგიული მდებარეობა, კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა, საგანმანათლებლო ინსტიტუტები და გამართული სატრანსპორტო სისტემის არსებობა. დოლნი ჩიფლიკში დომინირებს ეკონომიკის შემდეგი განვითარებადი დარგები: სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და მეთევზეობა, ვაჭრობა, ხის დამამუშავებელი ინდუსტრია, სასტუმროების ინდუსტრია და უძრავი ქონების მართვა.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად გამოწვეულმა შეზღუდულმა საბაზრო ეკონომიკამ ნეგატიური ზეგავლენა იქონია „გადამამუშავებელი ინდუსტრიის“ სექტორში არსებულ ფირმებზე. მათი რაოდენობა 47-დან 34-მდე შემცირდა.

შემოსავლების უდიდესი ფარდობითი წილი მოდის „ვაჭრობის, ავტომობილებისა და მოტოციკლების შეკეთების“ სფეროში ფუნქციონირებად კომპანიებზე და შეადგენს დოლნი ჩიფლიკის მუნიციპალიტეტის საწარმოების 43.5%-ს, ტურისტული სეზონურობისა და ტურისტთა მყიდველობითი უნარიანობის წყალობით.

კომპანიების რაოდენობამ სასტუმროების ინდუსტრიის სექტორში „სასტუმროები და რესტორნები“ 7 ერთეულით მოიმატა და შემოსავალიც შესაბამისად 451 000 ლევით გაიზარდა.

ხე-ტყის დამამზადებელი და გადამამუშავებელი სექტორების განვითარებისათვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მათი უზრუნველყოფა ნედლეულით ადგილობრივი ტყის სექტორებიდან და დეპოზიტების გაერთიანებას მშენებლობის განვითარებისათვის.

გავრცელებული ფოთლოვანი ხეები - მუხა, წიფელი და იფანი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხის დამამუშავებელი ინდუსტრიის განვითარებაში.

მრეწველობის უდიდესი წილი მოდის ხე-ტყის დამამზადებელ და ხის დამამუშავებელ სექტორებზე. წამყვან პროდუქტს წარმოადგენს პარკეტი, შპონი, ავეჯი, ხის ნაწარმი, ნახშირი.

დოლნი ჩიფლიკის მუნიციპალიტეტს გააჩნია ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო გამოუყენებელი რესურსების დიდი რაოდენობა - გარდა არსებული ტრადიციული საზღვაო ტურიზმისა, მუნიციპალიტეტს გააჩნია პოტენციალი განავითაროს ალტერნატიული ტურიზმის ფორმები, როგორიცაა მაგ, აგრო ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, სამონადირეო და ეკოტურიზმები. მდინარე კამჩიას და ფანდაკლისკას შესართავში არსებული ქვიშიანი სანაპირო ზოლი ბულგარეთის შავი ზღვისპირა სანაპიროში ყველაზე გრძელ სანაპირო ზოლს წარმოადგენს. მისი სიგრძე მუნიციპალიტეტის ფარგლებში 9.7 კმ-ია. სანაპირო ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 საკურორტო ზონა: კამჩია - ლონგოსა, შკორპილოვცი - ჩრდილოეთი, შკორპილოვცი - სამხრეთი და შკორპილოვცი - სოფელი.

არასათანადოდ გამოყენებულ ტურისტულ რესურსებს შორის უნდა აღინიშნოს მინერალური წყაროები, რაც სანაპიროზე კლიმატთან კომბინირებულ სამკურნალო-გამაჯანსაღებელი (სპა) კომპლექსის შექმნის საშუალებას იძლევა, რაც თავის მხრივ ტურისტული სეზონის გაზრდის წინაპირობა იქნება. ასევე მნიშვენლოვან რესურსს წარმოადგენს პეიზაჟები - ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, რაც ასევე ტურისტული მარშრუტების გამრავალფეროვნებისა და ტურისტული სეზონის გახანგრძლივების საწინდარი გახდება.

მუნიციპალიტეტში არსებული გარემო პირობები ალტერნატირული ტურიზმის ფორმების განვითარების შესაძლებლობას იძლევა. შკორპილოვცის რეგიონში არსებული თერმული მინერალური წყლები, მისი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური თვისებებით, სამედიცინო სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების

საშუალებას იძლევა. სამონადირეო ტურიზმის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს ჯიშების ინტენსიური მოშენება და ისეთი ტერიტორიების გამოყენება, როგორიცაა „სამოტინო“ და „გორსკა ბარაკას“ კომპლექსი, სანადირო ზონა „შერბა“, და „ ხოხბის ფერმა“. ყოველივე ზემოთხსენებული უპირატესობა - ტერიტორიის მდებარეობა შავ ზღვასთან და მდინარე კამჩიასთან, ისტორიული პეიზაჟების, ბიო-რეზერვების და სამონადირეო ზონების, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი თვისებების მქონე თერმულ-მინერალური წყლების არსებობა - ექსკლუზიურ წინაპირობას ქმნის მრავალფეროვანი ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. ტურიზმის გავითარებისათვის რეალური მნიშვნელობის ახალ ასპექტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტის უდიდესი ნაწილის ჩართულობა მიზანმიმართული სფეროს პან-ევროპულ პროგრამაში „ბუნება 2000“.

დოლნი ჩიფლიკის მთლიანი ტერიტორიის 35% სახნავ-სათესი მიწებია. დადგენილება № 3/1999 მიხედვით მუნიციპალიტეტში დარეგისტრირებულია სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწე 240 მეწარმე, და აგრძელებს იმ ფერმერთა რეგისტრაციას, რომელიც სახნავ-სათესი მიწების 100%-ს ამუშავებს.

სახნავ-სათესი მიწების ფართობების სიუხვე, ხელსაყრელი კლიმატური პირობები და ნიადაგის ნაყოფიერება, მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს. მიწის მფლობელები გაერთიანებულნი არიან 2 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივში და 4 კერძო საკუთრებაში. ძირითადად მოყავთ ბურღულეული (სახნავ-სათესი მიწების 83%), ინდუსტრიული მარცვლოვანი კულტურები, ბოსტნეული და სხვა მრავალწლიანი ნარგავები. ზეთის მრეწველობის სფეროში მნიშვნელოვანი წილი მოდის მზესუმზირაზე, რომლის პლანტაციები მოიცავს 9199 კვ. მეტრს, რაც მთლიანი დამუშავებული მიწების 16%-ს შეადგენს. მთლიანი ქვეყნის მასშტაბით, ბურღულეულის მოყვნა თავმოყრილია დიდ სავარგულოებში.

მუნიციპალიტეტში ტრადიციულად მოყავთ მრავალწლიანი ნარგავები - ვაშლი, ქლიავი, ატამი, ბალი, ყურძენი. მათი ტერიტორია მოიცავს 1672 კვ. მეტრს. მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთ ნაწილში დომინირებს ხილის პლანტაციები, ხოლო სამხრეთით ყურძნის ვენახები. ხილის მოსავლის უდიდესი წილი მოდის ვაშლზე. პროდუქციის ძირითადი ნაწილი მიმართულია ქალაქ ვარნისკენ, მცირე ნაწილი კი რეალიზდება ცნობილ კურორტებზე „შკორპილოვცი“ და „კამჩია“

მეხილეობა წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის ერთ-ერთ ტრადიციულ შემოსავლის წყაროს, გამომდინარე შესანიშნავი პირობებიდან და მიწების ფრაგმენტაციიდან, სადაც არ დაიშვება სხვა მომხმარებელი. მეხილეობა ხელს შეუწყობს გაუკაცრიელებული მიწების ათვისებას, და ასევე სარგებელის მომტანი იქნება რეგიონის ეკონომიკის სხვა დარგებისთვისაც.

მრავალწლიანი ნარგავების მეურნეობა საჭიროებს პირობების განახლებას, შედეგად, უკანასკნელ წლებში აგრო განვითარების პროგრამებიდან მოხდა ინვესტიციების მოზიდვა აღნიშნულ ტერიტორიაზე. ფაქტიური გამოყენების ამორტიზაციის პერიოდი იწურება. მიწების უმეტესობა კი დამუშავებულიც არაა, გამომდინარე იმ ფაქტებიდან, რომ ხდება კულტურების უწყვეტი დაზიანება და ასევე არ არსებობს საკმარისი ფინანსური რესურსები მათი დამუშავების უზრუნველსაყოფად. მთავარ პრობლემას კი წარმოადგენს კავშირების დეფიციტი ადგილობრივი პროდუქციის შეძენის უზრუნველსაყოფად და მეხილეთა პროდუქციის უმაღლესი ხარისხის შესაბამისი გასაყიდი ფასის შესანარჩუნებლად. რეგიონის გაუკაცრიელების თავიდან ასაცილებლად საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს მებაღეობის მეურნეობის განვითარება, მასში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა და მათი კეთილდღეობის გაუმჯობესება.

საჭიროა ძველი და დრომოჭმული ხილის ხეების ამოძირკვა და ლიკვიდაცია და ახალი თანამედროვე მოდელის ხილის პლანტაციების გაშენება.

მეწარმეთა უუნარობა დროულად და დამაკმაყოფილებელ საბაზარო ფასად მოახდინოს საკუთარი პროდუქციის რეალიზება წარმოადგენს მთავარ პრობლემას და საჭიროა ამ პრობლემის მოგვარება, ვიდრე მოხდება რეგიონის კონკურენტუნარიანი უპირატესობების

გამოყენება, გახდეს ორგანული მებაღეობის ცენტრი და აწარმოოს საკუთარი მაღალი ხარისხის პროდუქტის რეალიზება უახლოეს სამომხმარებლო ცენტრ ვარნასა და ჩრდილო და სამხრეთ კურორტებზე.

ბოსნტეულის პროდუქცია მოყავთ მდინარე კამჩიას გაყოლებაზე და მისი ფართობი დამუშავებული მიწების 0.4%-ს მოიცავს. ბოსტნეულის წარმოების განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორია მისი სიახლოვე სამომხმარებლო ცენტრ - ვარნასთან და კურორტებთან. გოლიცას და ბურდარევოს ტერიტორიაზე იზრდება ლავენდები.

მუნიციპალიტეტში ხილის და ბოსტნეულის მწარმოებლების მთავარ პრობლემას წარმოადგენს საირიგაციო სისტემის გაუმართაობა, რაც გამოწვეულია მისი რესტავრაციისათვის და შეკეთებისათვის საჭირო ფონდების დეფიციტით. მომდევნო პროგრამულ პერიოდში რომელიც მოიცავს 2014-2010 წლებს, ფართო-მასშტაბიანი ინვესტიციების განხორციელება იგეგმება სწორედ ამ ტერიტორიაზე.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	*სუსტი მხარეები*
❖ გეოსტრატეგიული მდებარეობა - ორ მნიშვნელოვან ქალაქთან და ორ საერთაშორისო აეროპორტთან (ვარნა და ბუქარესტი) სიახლოვე; უშუალო მეზობლობა ბულგარეთის „საზღვაო ცენტრ“ ვარნასთან; მოწესრიგებული სატრანსპორტო კომუნიკაციის არსებობა. ❖ ნატურალურად გამდიდრებული და ანთროპოგენური რეკრეაციული და ტურისტული რესურსები (ზღვისპირეთი, პლაჟები, მინერალური წყაროები, წყლის ავზები, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა) ტრადიციული და ალტერნატიული ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას იძლევა; ❖ შესაფერისი ბუნებრივი და კლიმატური პირობების და ადგილობრივი ტრადიციების არსებობა, ეფექტური ფერმერული მეურნეობების უზრუნველსაყოფად. ❖ საგარეო და საშინაო სასაწყობე მეურნეობების სიმრავლე; ❖ მრავალწლიანი კულტურების მოყვანის ტრადიციების არსებობა; ❖ მუნიციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის გადამუშავების შესაძლებლობა; ❖ მცირე ზომის ხეხილის ბაღებისა და ბოსტნეულის მეურნეობების სიმრავლე; ❖ ბოსტნეულის მეურნეობის დარგის სპეციალისტთა სიმრავლე; ბიო პროდუქტების დანერგვის	❖ მცირე ფერმერული მეურნეობების სიმრავლე; ❖ მცირე და საშუალო ზომის მეურნეობების მქონე ფერმერთა საკუთარი საინვესტიციო კაპიტალის სიმწირე, რაც თავის მხრივ აფერხებს ადაპტაციასა და ევროპული სტანდარტების დამკვიდრების პროცესს. ❖ მეწარმეთა აქტიური თანამშრობლობის დეფიციტი; ❖ სოფლის-მეურნეობის წარმოებისათვის საჭირო პროცედურების (დამაზადება, შეძენა, გადამუშავება და მარკეტინგი) შორის კავშირის არარსებობა; ❖ სუსტი სავაჭრო კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან; ❖ მსხვილი ინვესტიციების დეფიციტი; ❖ მოძველებული შენობები და ხელსაწყოები; ❖ შესაძლებლობების არასაკმარისი პრომოუშენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბიზნეს აქტივობების ინიცირების, ჩამოყალიბების და განვითარების თვალსაზრისით; ❖ სოფლის მეურნეობის დარგში საირიგაციო სისტემების დეფიციტი; ❖ მცირე მესაკუთრეობა უძრავ ქონებაზე;

ინიციატივები; ❖ პროფესიონალური ტრენინგების ჩასატარებლად პირობების უზრუნველყოფა; ❖ გამუყენებელი სახნავ-სათესი მიწების ხელმისაწვდომობა.	
შესაძლებლობები	*საფრთხეები*
❖ ბიო სოფლის მეურნეობასთან და ალტერნატიულ და აგრო ტურიზმთან დაკავშირებული ახალი ეკონომიკის დარგების განვითარების შესაძლებლობა. ❖ რესურსების ხელმისაწვდომობა ბიო პროდუქტების განვითარებისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით; ❖ მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება ადგილობრივი ხილის და ბოსტნეულის ბაზრის შესაქმნელად; ❖ ინვესტორების მოზიდვა ბიზნეს საწარმოების დასაფუძვნებლად ხეხილის ბაღების მეურნეობის დარგში; ❖ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ადგილობრივი ორგანული წარმოების გასაფართოებლად; ❖ სოფლის მეურნეობის სფეროში წარმატებული პრაქტიკის დამკვიდრება და ევროპული გამოცდილების დანერგვა; ❖ ტურისტებისათვის ალტერნატიული ტურიზმის ფორმების შეთავაზება - კულინარია, ჯანსაღი ცხოვრების წესი, საგანმანათლებლო, ბიო-სოფელი. სანაპიროების აქტივიზაცია მიმზიდველი რეგიონალური ტურისტული პროდუქტის შესაქმნელად. ფიტო-სანიტარიის ევრო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა; ❖ კონკურენტუნარიანი მეცხოველეობის დარგის ჩამოყალიბება; ❖ დამამმზადებლებსა და გადამმამუშავებლებს შორის კავშირების ჩამოყალიბება მტკიცე ბაზრის უზრუნველსაყოფად; ❖ სტრუქტურულ ფონდებსა და ევროკავშირის სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ფონდების პროექტებში მონაწილეობის მიღება.	❖ შეზღუდული ბიუჯეტი არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის კაპიტალური რეაბილიტაციისათვის; ❖ შეუთანხმებელი პოლიტიკა განვითარებასთან დაკავშირებული პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით. ❖ კომპანიების დახურვა; ❖ სოფლის მეურნეობის და სამრეწველო ნატურის იმპორტირების დამპინგი; ❖ EU სტანდარტების მაღალი დონე და მოკლე საშეღავათო პერიოდი; ❖ არსებული წყლის რესურსების გამოუყენებელი პოტენციალი საირიგაციო სისტემების მოსაწყობად; ❖ ადგილობირივი ბუნების წარუმატებელი გამოყენება აგრო ტურიზმის განვითარებისათვის.

„დოლნი ჩიფლიკის“ ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის პოზიცია/უნიკალური კონკურენტუნარიანი უპირატესობების არსებობა.



PACA-ს გუნდის მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად შერჩეული ძირითადი სტრატეგიული ინტერვენციები

სტრატეგიული სფერო	ვადა	სპეციფიური ინტერვენცია	გავლენა/შედეგები
დოლნი ჩიფლიკი როგორც მეხილეობის სადისტრიბუტორო ცენტრი	ხანმოკლე	ინფორმაციული კამპანიის წარმოება ადგილობრივ მეწარმეებთან ახალი „Kamtchiiski plod” მეხილეობის სადისტრიბუციო ცენტრის შექმნის თაობაზე;	ფერმერებს შორის კავშირების გამყარების შესაძლებლობა.
	ხანმოკლე	სამი ადგილობრივი პიროვნების დანიშვნა ცენტრის სამართავად - მათ შორის 2 ახალგაზრდის, რომლებიც არ არიან დასაქმებულები და 1 გამოცდილის პიროვნების.	სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი ხელისუფლების პრესტიჟის გაზრდა, როგორც ადგილობრივი მეწარმეობის ხელშემწყობი ორგანო

	ხანმოკლე	სპეციფიური ოფისის შერჩევა და სათანადოდ აღჭურვა მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ცენტრის სამართავად	მეხილეობის ადგილობრივი ინდუსტრიის შესახებ სავაჭრო ინფორმაციის თავმოყრა ერთი დანიშნულების მქონე პუნქტში - -ერთი ფანჯრის პრინციპის სავაჭრო ცენტრი
	ხანმოკლე	მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე ქვედომენის რეგისტრირება და საინფორმაციო კამპანიის წარმოება	ადგილობირვ ხილსა და ბოსტნეულზე ინფორმაციის მოპოვების ხელმისაწვდომობა
	ხანმოკლე	HUB ცენტრის აქტივობების წამოწყება;	მასშტაბის ეკონომიის ეფექტის ზრდა
	ხანმოკლე	ტრენინგ-კურსების ჩატარება ფერმერთათვის	სამეწარმეო შესაძლებლობები; სამუშაო ადგილების შექმნა;
	საშუალო	საერთო ქსელის შექმნა	კონკურენტებს შორის კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობა; დასაქმების ზრდა; ფასების შეცირება მუდმივი კლიენტებისათვის, მეხილეობის კლასტერებისა და ბიოპროდუქციისთვის წინაპირობების უზრუნველყოფა
	საშუალო	საინფორმაციო ქსელის გაუმჯობესება	ფულისა და დროის უმიზოდ ხარჯვის შემცირება; ბაზრობებზე მისაწვდომობის და საცალო ვაჭრობის გაუმჯობესება.
	საშუალო	ბიუჯეტირებული და დაგეგმარებული სტრატეგიის შემუშავება რაოდენობისა და დაფასოებისათვის	რეალიზებული პროდუქციის ტარიფის გაუმჯობესება
	ხანგრძლივი	საერთო ტვირთგადამზიდი ტერმინალის ცენტრის დაარსება	სამეწარმეო შესაძლებლობების მასიური გაფართოება; დასაქმება;

	ხანგრძლივი	მრავალწლიანი ხილის კულტურების ხელახლა განვითარება	პრაქტიკული ბიზნეს პრაქტიკის დანერგვა; დასაქმება; ახალი ბიზნეს საქმიანობების წამოწყება;
	ხანგრძლივი	საირიგაციო სისტემის გაუმჯობესება	უკეთესი პირობების შექმნა მდგრადი ფერმერული მეურნეობების განვითარებისათვის;
		მრავალწლიანი ხილის პლანტაციებით დაკავებული მიწების გაფართოება;	ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გამოუჯობესება

სტრატეგიული სფერო	ვადა	სპეციფიური ინტერვენცია	გავლენა/შედეგები
დოლნი ჩიფლიკი როგორც ხანმოკლე აგრო ტურიზმის ცენტრი	ხანმოკლე	მუნიციპალიტეტსა და B&B სასტუმროების მფლობელებს შორის ურთიერთობის გზების განახლება	ბიზნეს აქტივობების და საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფა; ურთიერთობების გაღრმავება.
	ხანმოკლე	მოკლე ტრენინგ-კურსის ჩატარება B&B-ის მფლობელთათვის ინტერნეტისა და ახალი მედია საშუალებების გამოყენების შესახებ (ფეისბუქი, ინსტაგრამი და ა.შ.)	სამეწარმეო შესაძლებლობები; სამუშაო ადგილების შექმნა;
	საშუალო	B&B-ის მფლობელთათვის საერთო ქსელის შექმნა	ურთიერთობების წარმართვის შესაძლებლობა; სამუშაო ადგილების შექმნა; ფასების შემცირება მაკავშირებელი ორგანოებისათვის;
	საშუალო	B&B-ის მფლობელთათვის საერთო ვებ-გვერდის შექმნა - ქალაქის ვებ-გვერდის ქვედომენის სახით.	ურთიერთობების წარმართვის შესაძლებლობა; სამუშაო ადგილების შექმნა; ფასების შემცირება საშუამავლო რგოლებისათვის;

	საშუალო	ღია კარის დღეები და ტურისტული გიდებისათვის ტურისტული მარშრუტების გაცნობა	სპეციფიური დანიშულების პუნქტის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მისი პოპულარობის ზრდა;
	საშუალო	დიდი ზომის სატრანსპორტო საშუალებებისათვის ავტოსადგომების პირობების გაუმჯობესება	იმედგაცრუებისა და დროის უმიზნოდ ხარჯვის შემცირება; B&B-მდე მისაწვდომობის
	საშუალო	B&B-ის მფლობელთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარება	მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება
	საშუალო	ადგილობრივი სტრატეგიის გაფართოება ნარჩენების მართვის თვალსაზრისით - B&B-ის მფლობელთათვის.	გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; ჯანდაცვა; სამუშაო ადგილების შექმნა;
	ხანგრძლივი	ადგილობრივი ტურისტული ოფისები	სამეწარმეო შესაძლებლობების მასიური გაფართოება; სამუშაო ადგილების შექმნა;
	ხანგრძლივი	დაჯილდოება კარგი სერვისისათვის და „მომხმარებლისათვის სასიამოვნო გარემოს“ შექმნისათვის	ადგილობრივი B&B სერვისების და ხარისხის გაუმჯობესება;
	ხანგრძლივი	ადგილობრივი საერთო სავაჭრო ნიშნის შექმნა	სამუშაო ადგილების შექმნა; კეთილდღეობის გაუმჯობესების შესაძლებლობები; ახალი ბიზენს საქმიანობების წამოწყება.

სტრატეგიული სფერო	ვადა	სპეციფიური ინტერვენცია	გავლენა/შედეგები
დოლნი ჩიფლიკი როგორც „ახალგაზრდული ქალაქი“	ხანმოკლე	ადგილობრივი შესაძლებლობების მარაგი ახალგაზრების თავისუფალი დროის გასატარებლად	ინფორმაციის დაზუსტება შემდგომი სტრატეგიული დავალებებისათვის;
	ხანმოკლე	კვლევების ჩატარება ახალგაზრდების მოთხოვნებისა და უპირატესობების დასადგენად	ადგილობრივი ინტერესების უკეთესად გაცნობიერება, რაც ახალგაზრდა მოსახლეობის შენარჩუნებისა და დეპოპულაციის ტენდენციების შემცირების საფუძველი გახდება.
	საშუალო	მწვრთნელების და ექსპერტების დანიშნვა ახალი ინიციატივების შესაქმნელად	წინაპირობების უზრუნველყოფა ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად დოლნი ჩიფლიკში
	საშუალო	FB ფან გვერდის შექმნა ადგილობრივი ინიციატივებისათვის	ადგილობრივი „თვითმყოფადობის“ გაუმჯობესება
	საშუალო	ადგილობრივი სპორტის/ივენთების ინფრასტრუქტურის გამოყენების დაგეგმვა ახალგაზრდული ინიციატივებისათვის	ადგილობრივი აქტივობების გამართვა ახალგაზრდა თაობის და მშობლების წახალისების მიზნით
	ხანგრძლივი	სტრატეგია დოლნი ჩიფლიკისათვის „ახალგაზრდული ქალაქი“	ადგილობრივი აქტივობების გაფართოება, ქალაქის მომხიბვლელობის გაზრდა; სისტემატური ზეგავლენის მოხდება სხვა ინიციატივებთან მიმართებაში
	ხანგრძლივი	ყოველწლიური საერთაშორისო მოვლენის - ქუჩის ცეკვების კონკურის დაწესება	ადგილობირივი ბრენდის პოპულარობის ზრდა

ადგილობრივი/რეგიონული ეკონომიკური განვითარების ქსელი როგორც კონკურენტუნარიანობის ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში (LRED NET)

სომხეთის მცირე და საშულო მეწარმეობის განვითარების ეროვნული ცენტრი

აპრილი, 2015 წ.

“წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სომხეთის მცირე და საშულო მეწარმეობის განვითარების ეროვნული ცენტრს და მასში არანაირად არ აისახება ევროკავშირის ხედვა.“

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge